

საქართველოს გარემოსდაცვითი აგროეკონომიკის ინსტიტუტი

1239
2014



ISSN 1512-0880
№1 (54)-2014

საქართველოს

ბიბლიოთეკა



ბავშვი – წიგნი – ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:

თბილისი ვაკედიის ქ.

№18, ბ. 16

ტელ 223-02-98

297-16-83



ქურნალის რედაქცია:

ადექსანდრე ღორია

- მთავარი რედაქტორი

გურამ თაყნიაშვილი

- მთავარი რედაქტორის

მოადგილე, პასუხისმგებელი მდივანი

გუდნარა სფურუა

- სამეცნიერო-მეთოდური და

კორექსონდენტებთან მუშაობის

რედაქტორ-კოორდინატორი



ინლსაწარმო „ალი“

დამფუძნებლები: საქართველოს

პარლამენტის იდია ქავჭავაძის

სახელობის ეროვნული

ბიბლიოთეკა; საქართველოს

საბიბლიოთეკო ასოციაცია.

ქურნალი ბამოლის წელიწადში ოთხჯერ



შინაარსი

საქართველოს ბიბლიოთეკების კვირეული 5

წიგნის ისტორია

მანანა დეკანოსიძე – ქალაღლი და წიგნის ბუჭდვის ისტორია 6

ჩვენი ბიბლიოთეკები

გიორგი კილაძე – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამონვევები 9

შურა მეტრეველი, მანანა კარიჭაშვილი – თბილისის № 42 – ე ბიბლიოთეკის საიუბილეო დღეები 12

კონსტანტინე ალიბეგაშვილი – საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა 15

ფილოლოგიური ძიებანი

მარინა სამაღაშვილი – მზის სიმბოლიკა ნოდარ დუმბაძის შემოქმედებაში 18

მეთოდური მუშაობა

გურამ თაყნიაშვილი – ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხის უარყოფითი მაჩვენებლები 21

ღირსეული მამულიშვილები

მზია ტოგონიძე – „კულტურა და პროგრესი ჟამია წარსულ – აწმყო – მომავლისა“ 23

რუსუდანი ნაქაძე – დიდი მამულიშვილის ღვანლი 24

გრეტა ჩანტლაძე – იდეა კვლავ ცოცხლობს 26

ლია გიგაური – „კაცად იშვა და კაცად მოკვდა“ 28

პროფესია და პროფესიონალები

მანანა დეკანოსიძე – პირველი ბიბლიოთეკარი – თბილისის საპატოიო მოქალაქე 30

ლია ვალიევა – ჩვენი ძვირფასი კოლეგის დიდი ღვანლი 32

სალომე ბებია – „წიგნი არ ჩამოვა თაროდან“ 33

კორესპონდენციები

მზია ივანიძე – „ლექსო ნუ დაიკარგები“ 35

ჯამილა გაჯიევა – მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი თბილისში 36

ლელა ფერაძე – გასული წელი წლევანდელი გადასახედიდან 38

ირმა ქარსელაძე – „ცოცხალი ბიბლიოთეკა – კულტურული ბაზრობა“ 38

ციალა ნებიერიძე – პოეზია სანთლის შუქზე პოეტის გულში ზღვა სინათლეა 40

რუსუდანი ფაღვა – ჩვენი საყვარელი მკითხველი 41

მზია რურუა – ჩიხლაძე – ღირსეული დროულად დავაფასოთ 42

ლარისა როგავა – ბიბლიო – 2013 42

რეცენზია

გიორგი სარაჯიშვილი – ერთი საუკუნით დაგვიანებული ეროვნული წიგნი 44

ინფორმაცია

ახალი პროფესიული ჟურნალი	46
მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული გამოცემა	46
დოკუმენტების სამცომეული	47

ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა	48
--	----

რევიუ

დავით გიგინეიშვილი – „მუსიკოსები ბრემენიდან“	49
--	----

ნაკროლოგი

ნაზი ელიავა	51
-------------------	----

БИБЛИОТЕКА ГРУЗИИ № 1 (54) – 2014**Содержание**

Неделя библиотек Грузии.....	5
------------------------------	---

История книги

Манана Деканосидзе – Бумага и история печатания книги	6
---	---

Наши библиотеки

გიორგი კილაძე – Нивые вызовы Национальной Парламентской библиотеки Грузии	9
შურა მეტრელი, მანანა კარიშავილი – Юбилейные дни Тбилисской 42-ой городской библиотеки	12
კონსტანტინე ალიბეგაშვილი – Библиотека патриархии Грузии	15

Филологические изыскания

მარინე სამადაშვილი – Символика солнца в творчестве Нодара Думбаде	18
---	----

Достойные предшественники

მზია თოგონიძე – Культура и прогресс в призме времени.....	23
რუსუდან ცაკაძე – В память великого предшественника.....	24
გრეტა ჩანტლაძე – Великий сокровищехранитель	26
ლია გიგაურა – Остался до конца человеком	28

Професия и профессионалы

მანანა დეკანოსიძე – Первый библиотекарь – прорётный Гражданини в Тбилиси.....	30
ლია ველიევა – Огромный вклад нашей коллеги.....	32
სალომე ბებია – Книга не сходит с полки.....	33

Корреспонденция

მზია ივანიძე – «Стих не исчезай».....	35
ჯამილა გაджиева – Дом музей Мирза Фатали Ахундова в Тбилиси	36
ლელა პერაძე – Год прошедший глазами настоящего	38
ირმა კარსელაძე – «Живая библиотека- Культурный рынок»	38
ციცია ნებერიძე – Поезия – светочь в сердце поэта	40

Русудани Пагава – Наш любимый читатель	41
Мзия Рура – Чихладзе – Достоянных чтить всегда	42
Лариса Рогава - Библио- 2013.....	42

Рецензия

გიორგი სარაჯიშვილი – На век запоздалая национальная книга	44
---	----

Информация

Новый профессиональный журнал	46
Значительное библиографическое издание трех томных документов	47

Хроника

Хроника библиотечной жизни Грузии, события факты	48
--	----

Ревю

დავით გიგინეიშვილი – «бременные музыканты»	49
--	----

Некролог

ნაზი ელიავა	51
-------------------	----

The Georgian Library N 1 (54)-2014

Content

Georgian libraries week.....	5
------------------------------	---

The history of book

Manana Dekanosidze – The paper and the history of printing.....	6
---	---

Our libraries

George Kiladze – The new challenges of National Parliamentary Library of Georgia	9
Shura Metreveli, Manana Karichashvili – The anniversary of Tbilisi library N42	12
Konstantine Alibegashvili – The Library of georgian patriarchy.....	15

Philological search

Manana Samadashvili – The symbol of sun in Nodar Dumbadze's creation	18
--	----

Deserving patriots

Mzia Togonidze – “The culture and progress is the time of past-present and future”	23
Rusudan Tsakadze – Memory of big patriots	24
Greta Chantladze – The big treasurer	26
Lia Gigauri – “He was born as a man and dead in a same way”	28

Profession and professionals

Manana Dekanosidze – The first librarian - The respectful citizen of Tbilisi.....	30
Lia Valieva – The big merit of our dear colleague.....	32
Salome Bebia – “The book won't be taken from the shelf”	33

Correspondence

Mzia Ivanidze – “Poem, won’t be lost”	35
Jamila Gajieva-Mirza Patali Akhundovi’s house-museum in Tbilisi	36
Lela Feradze – The last year from the current view.....	38
Irma Karseladze – “Live library – cultural market”	38
Tsiala Nebieridze – Poetry on the candle’s light. There is a lot of light in the poet’s heart.....	40
Rusudan Pagava - Our favourite reader	41
Mzia Rurua – We must appreciate the nobel person in time	42
Larisa Rogava – Biblio -2013.....	42

Review

George Sarajishvili – The National book, which is delayed for one century.....	44
--	----

Information

New professional magazine.....	46
An important bibliographic edition	46
Three volumes of documets	47

Chronic

The chronicle of georgian libraries	48
---	----

Review

David Gigineishvili – “Musicians from Bremen”	49
---	----

Obituary

Nazi Eliava.....	51
------------------	----

საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული

უკვე დიდი ხანია, რაც საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის ინიციატივით საქართველოში ყოველწლიურად იმართება საქართველოს საბიბლიოთეკო კვირეული. კვირეულის გამართვის დროდ განისაზღვრა 23–30 აპრილი. 23 აპრილი – ეს წიგნის საერთაშორისო დღედ არის აღიარებული, 30 კი დადგენილია საქართველოს ბიბლიოთეკათა დღედ, რაც ოფიციალურადაა დამტკიცებული. მნიშვნელობა არა აქვს, რომ უეჭველად მოცემულ ვადაში გამოეხმაუროს ყველა ბიბლიოთეკა ამ ღირსშესანიშნავ მოვლენას. მთავარია – წელიწადში ერთხელ – აპრილის ბოლო დღეებიდან მოყოლებული მაისის პირველ დეკადის პერიოდში გარკვეული დღეები ყველა ბიბლიოთეკამ გამოეყოს საბიბლიოთეკო კვირეულად.

საბიბლიოთეკო კვირეულის დროს ყველა ბიბლიოთეკა – რომელი ტიპის, სახისა და უწყებისაც არ უნდა იყოს, მართავს სპეციალურ ღონისძიებებს კვირეულის ფორამის ფარგლებში.

კვირეულში ყველა ბიბლიოთეკა ატარებს სხვადასხვა მასშტაბის ღონისძიებებს, როგორც დამოუკიდებლად, ისე სხვა ორგანიზაცია–დანესებულებებთან ერთობლივად. ღონისძიება შეიძლება გაიმართოს როგორც თანამშრომლებისათვის, ისე ბიბლიოთეკის მკითხველებისა და ფართო საზოგადოებისათვის. არაა გამორიცხული, რომ ამა თუ იმ ბიბლიოთეკის ღონისძიებები ჩატარდეს არა უშუალოდ ბიბლიოთეკაში (თუმცა ეს უმჯობესი ვარიანტია), არამედ სხვა თავშეყრის ადგილებში.

მთავარია მაინც კვირეულის არსი.

საბიბლიოთეკო კვირეულების მთავარი მიზანი მოსახლეობის ფართო ფენების ბიბლიოთეკასთან დაახლოება – მათი გაცნობიერება, დაინტერესება, ინფორმაციის გავრცელება, კითხვის მოთხოვნილების ჩამოყალიბება და სხვა, რაც საბოლოოდ კითხვადობის დონის ამაღლებასა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას იწვევს.

ამიტომაც სასურველია ისეთი ღონისძიებების შერჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეუწყობს ხელს ბიბლიოთეკის თავისი ამოცანების გადაწყვეტაში.

ცნობილია, რომ ბიბლიოთეკის სამომსახურეო უზენაესი, მომხმარებელთა მოთხოვნილებებისა და ინტერესების მიხედვით, ერთნაირი არ არის, ამიტომაც მნიშვნელოვანია, ბიბლიოთეკა კარგად იცნობდეს თავის კონტინგენტს, ითვალისწინებდეს ხალხის სურვილებს, კითხვის სფეროს, შესაძლებლობებს, სპეციფიკას. ღონისძიებათა რესურსები კი უამრავია, როგორც თვალსაჩინო, ისე – ზეპირი: ინფორმაციულ–საცნობო, ანალიტიკურ–სამსჯელო თუ ესთეტიკურ–გასართობი. ძირითადია შედეგი – მომხმარებლის, მკითხველის აქტიური ჩართვა, მისი დაინტერესება, საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმა.

საზოგადოება უნდა იცნობდეს თავის ბიბლიოთეკას; გაიგოს, რომ ბიბლიოთეკა მთელი დატვირთვით ფუნქციონირებს, რომ მას შეუძლია ბევრი სიკეთე მოუტანოს ადამიანებს, უნდა იცოდეს, რა შეუძლია მიიღოს მისგან, როგორ გამოიყენოს, როგორ ისარგებლოს მისი მომსახურებით და ა. შ.

ამჟამად ბიბლიოთეკა სავსებით სხვაგვარია, ვიდრე მანამდე იყო. ის არა მარტო წიგნების დაუნჯებისა და კითხვის ადგილია, არამედ ელექტრონული რესურსების გამოყენების ობიექტი, ინფორმაციის ამოუწურავი ბაზა, სადაც შეგიძლია ისწავლო და დაეუფლო რომელიმე სა-

განს, მიიღო თვითგანათლება, აგრეთვე შეისწავლო ახალი ტექნოლოგიების გამოყენება, მიიღო საჭირო ცოდნა, დააზუსტო შენთვის გაუგებარი საკითხები, შეხვედ და მოუსმინო საინტერესო ადამიანებს, ხელი შეუწყო შენი შემოქმედების გამომზერებას, ჩაება დისკუსიებში, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია – დაისვენო და ამავე დროულად გაერთო გონებრივ–ინტელექტუალურად.

თუ ბიბლიოთეკები ისე აღიჭურვებიან, რომ შეძლებენ ამგვარად მოემზადონ და ისე მოემსახურონ მომხმარებლებს, ბიბლიოთეკას არასოდეს მოაკლდება მკითხველი. მაგრამ მარტო ეს არაა საკმარისი, ბიბლიოთეკა იმას თუ არ ეცადა, როგორმე თავისი საქმიანობა აქტიურად შესთავაზოს საზოგადოებას. ამისათვის მას ჭირდება, დელიკატურად მოუხმოს მასას სათანამშრომლოდ, გაუწიოს ბიბლიოთეკას პროპაგანდა, გახადოს ის პოპულარული. ამიტომაც საჭირო კვირეულის მალალ დონეზე მომზადება, მისი პოპულარიზაცია, სხვადასხვა მეთოდებისა და ხერხების გამოყენება – მხატვრული პლაკატები, პროპაგანდისტული სტენდები, შესაბამისი ტრანსპარანტები, აფიშები, განცხადებები, ყველა ფორმის მედიის საშუალებები. მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაანონსებულ ღონისძიებების შესახებ ინფორმირებას, არამედ კვირეულის შედეგების ფართო გაშუქებასაც. მნიშვნელოვანია ასევე ბიბლიოთეკის წარმოჩენა როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეთა შორის, ასევე ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების წინაშე. ადამიანები უნდა ხედავდნენ რაოდენ მნიშვნელოვანი დაწესებულებაა ბიბლიოთეკა და ყოველ მხრივ სცადონ, ხელი შეუწყონ მას, წარმატებულად იღვანოს ქვეყნის სასარგებლოდ.

კვირეულებში, რამდენადაც შეიძლება, მეტი ადამიანი უნდა ჩაებას. შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ერთი – მასშტაბური ღონისძიება ან რამდენიმე მცირე, მაგრამ მომხმარებელთა დიდ რაოდენობას მოიცავდეს. ამასთან, საჭიროა მსგებობის აქტივობა, თანამდგომთა დახმარება, ხელმძღვანელ ორგანოთა მხარდაჭერა. ბიბლიოთეკამ მათგან შეიძლება მიიღოს როგორც მორალური, ისე მატერიალურ–ტექნიკური დახმარება. სწორედ ეს არის მენეჯერის ერთ–ერთი მთავარი მოვალეობა.

კვირეულის პროცესში სასურველია მაღლიერება გამოვსატოთ იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ადრე თუ ამჟამად მხარში ედგნენ და უდგანან ბიბლიოთეკას, ღვანლმოსილ პიროვნებებს, ბიბლიოთეკის ამაგდართ თუ აქტიურ მკითხველებს.

ბიბლიოთეკებს ევალებათ შექმნან აქტივისტთა ჯგუფები, მიჭდონ კავიერები იქონიონ მათთან. სწორედ ამგვარ ვითარებაში შეიძლება მათი გამოყენება.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საბიბლიოთეკო კვირეულებმა დიდი როლი შეასრულეს ბიბლიოთეკების წარმატებაში. მათი წყალობით ბევრი ბიბლიოთეკა გადაურჩა დახურვას, ზოგს გაუკეთდა რემონტი, მიიღეს შემონარული ლიტერატურა, ფულადი სახსრები... ბევრმა ბიბლიოთეკამ გამოაცოცხლა საქმიანობა, გაზარდა მკითხველთა რაოდენობა და კითხვადობის კოეფიციენტი, გააუმჯობესა მომსახურების ხარისხი და საერთოდ, აამალა მუშაობის დონე.

საბიბლიოთეკო კვირეული – ეს აუცილებელი სამუშაო პერიოდია, რომელიც წინასწარ იგეგმება და მზადდება. მასზე დიდადაა დამოკიდებული ქვეყნად საბიბლიოთეკო საქმის განვითარება.



წიგნის ისტორია

მანანა ღვაწლანიძე

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომსახურების სამსახურის უფროსი

ქალაქი და წიგნის ბეჭდვის ტექნიკა

(ისტორიული ექსკურსი)

წიგნის ბეჭდვის განვითარების საქმეში დიდი როლი ენიჭება ქალაქის წარმოებისა და ბეჭდვის ტექნიკის მიღწევებს. XV საუკუნიდან დღემდე წიგნის პოლიგრაფიულ დონეს, მისი გამოცემის ვადებსა და სიცოცხლისუნარიანობას ქალაქის ხარისხი დიდად განსაზღვრავს.

ქალაქში მისი გამოგონების დღიდან ევროპაში მოსვლას, როგორც ფრანგი მეცნიერი ავენალი წერდა, მეტად დიდი დრო მოანდომა. ქალაქის წარმოება ევროპის ცენტრალური აზიის, არაბეთისა და ეგვიპტის ხალხების მეშვეობით მოხდა.

ევროპაში ქალაქის პირველი სახელოსნოები VIII-XI სს-ში გაჩნდა. ქალაქში დაწერილი ევროპის უძველესი დოკუმენტი 1109 წლით დათარიღებული წერილია. იტალიაში ქალაქი ჩრდილოეთ აფრიკიდან შემოვიდა, ხოლო საფრანგეთში – ესპანეთიდან. VIII საუკუნის ბოლოს უკვე იტალიის ბევრ ქალაქში არსებობდა „ქალაქის წისქვილები“, როგორც მას იმ დროს უწოდებდნენ. საფრანგეთში კი „ქალაქის წისქვილებთან“ ერთად გასართული ხის ფირფიტების დამამზადებელი სახელოსნოები იყო გახსნილი. საბოლოოდ ისე დახელოვნდნენ იტალიელი და ფრანგი ოსტატები ქალაქის დამზადების საქმეში, რომ საზღვარგარეთაც კი გაჰქონდათ თავიანთი პროდუქცია. იტალიელი ოსტატები სპეციალური ფილიგრანით, ნახევარი მთვარის გამოსახულებით ამზადებდნენ ქალაქს მუნიციპალური ქვეყნებისათვის.

გერმანიაში ქალაქი შედარებით გვიან შემოვიდა – XI საუკუნის ბოლოს და XII საუკუნის დასაწყისში. ვაჭრებმა სწრაფად შეაფასეს ქალაქის მნიშვნელობა და იგი საკანცელარიო საქმეში გამოიყენეს.

სულ სხვა ბედი ეწია ქალაქს სახელმწიფო მმართველობაში. იგი სუსტ და არასაიმედო მასალად მიაჩნდათ. ამიტომ 1231 წელს დოკუმენტების წერა მასზე იმპერატორ ფრიდრიხის კანონით აიკრძალა, რაც 318 წლის მანძილზე მოქმედებდა.

გერმანიაში ქალაქის პირველი „წისქვილი“ 1390 წელ სგაიხსნა, შემდეგ მას მოჰყვა რამდენიმე სხვა სახელოსნო. შემონახულია უამრავი თხზულება, საამქრო წესები, ხელშეკრულებები, ფოლკლორული მასალა და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს, წარმოვადგინო ვიკონით გერმანულ სახელოსნოთა შესახებ.

ქალაქის ოსტატებს თავი უბრალო ხელოსნებად კი არ მიაჩნდათ, არამედ მხატვრებად, რომლებიც ხელს უწყობდნენ კულტურის წინსვლას. ასე უყურებდნენ ამ საქმეს ის პირებიც, რომლებიც ხედავდნენ, რომ წიგნის ბეჭდვა და ვაჭრობა სულ უფრო და უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებდა ქალაქის წარმოებას, რომელიც თავის მხრივ, ბევრ ქვეყანაში საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა და, ამრიგად, დიდ შემოსავალსაც აძლევდა სახელმწიფოს.


წიგნის ბეჭდვამ, რომელიც ქალაქის წარმოების საფუძველზე განვითარდა, გერმანიაში ქალაქის მრეწველობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. XVII საუკუნის დასაწყისში გერმანიაში 218 „ქალაქის წისქვილი“ იყო, მაგრამ ესეც არ კმარა ქალაქში გაზრდილი

მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და ამიტომ ქალაქის შემოტანა მეზობელი ჰოლანდიიდან დაიწყო.

ჰოლანდიაში ქალაქის დამზადება XVI საუკუნის ბოლოს დაიწყო, მაგრამ საფრანგეთიდან წასულმა ოსტატებმა მალე ისე წარმართეს ეს საქმიანობა, რომ ჰოლანდია უკვე ქალაქის ექსპორტზე გავიდა. ამას ხელი შეუწყო აგრეთვე ქალაქის მასის დასამზადებლად ახალი აპარატის როლის გამოყენებამ. არის აზრი, რომ ეს აპარატი გერმანელმა ოსტატმა გამოიგონა, თუმცა გერმანიაში არ გავრცელებულა.

ქალაქის მრეწველობაში დღემდე იყენებენ როლს, მიუხედავად იმისა, რომ 370 წლის განმავლობაში მან ბევრი ცვლილება განიცადა. იგი უცნობი გამოგონებლის მიერ იქნა გამოყენებული XVII ს. დასაწყისში და მან ჰოლანდიური ქალაქი თავისი ხარისხით პირველ რიგზე წამოსწია მსოფლიო ბაზარზე.

მიუხედავად ასეთი მიღწევებისა, ქალაქი მაინც



მეორეხარისხოვან საწერ მასალად ითვლება ამ პერიოდში.

ზოგი ძველი ავტორი თავისი თხზულების შესავალში მიუთითებდა, რომ ქალაქი ამ თხზულებისათვის თვითონვე დაამზადა. ეს ფაქტი ორ რამეზე მიუთითებს: ერთი ის, რომ ქალაქს დიდ პატივს სცემდნენ და მეორეც – ის ძალიან ძვირად ფასობდა და ყველას არ შეეძლო მისი შექმნა საჭირო რაოდენობით. ამ უკანასკნელი მიზეზით იყო გამოწვეული გერმანიაში იენისა და გრეიფსვალდის უნივერსიტეტებთან „ქალაქის წისქვილების“ აშენება. XIV ს. მშენებლობა წამოიწყო პარიზის უნივერსიტეტ-მაც, მაგრამ პარიზელმა ქალაქის ოსტატებმა ჩაშალეს

ეს საქმე, რადგან უნივერსიტეტის პრეზიდენტისა და სტუდენტების სახით ისინი კლიენტებს კარგავდნენ.

საკუთარი ქალაქის სანარმოს შექმნის აზრი მარტო უნივერსიტეტებში არ გაჩენილა. ზოგი მეცნიერიც ცდილობდა თავისი თხზულებისათვის საკუთარი ქალაქის წარმოებას, მაგრამ ეს მხოლოდ ერთმა მათგანმა შეძლო – დანიელმა ასტრონომმა ტიხო დი ბრაგემ. დანიურ ლიტერატურაში ვხვდებით ცნობებს მისი „ქალაქის წიგნის“ შესახებ. ტიხო დი ბრაგეს იმ დროისათვის შესანიშნავად მოწყობილი ქალაქის სანარმო ჰქონია. აქ დამზადებულ ქალაქს ჰქონდა თავის ფილიგრანი (ჭვირნიშანი), რომელიც წარმოადგენს ასტრონომიული ობსერვატორიისა და ქალაქის დამამზადებელი ორიგინალური სანარმოს გამოსახულებას.

XVI-XVIII სს. ქალაქის წარმოებას დიდი ტექნიკური პროგრესი არ განუცდია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მცირე გაუმჯობესებას ნედლეულის დაფქვა-დაქუცმაცებაში, რაც თავის მხრივ, ხარისხის გაუმჯობესების საშუალებას იძლეოდა.

XVIII ს. ბოლოს ევროპაში საფაბრიკო კაპიტალიზმის განვითარებამ გავლენა მოახდინა ქალაქის წარმოებაზე. ფრანგმა მუშამ ლუი რობერმა 1799 წელს გამოიგონა მანქანა, რომელიც ქალაქის მიღების საშუალებას იძლეოდა და რომელიც ქალაქის თანამედროვე დამამზადებელი მანქანის უშუალო წინაპარს წარმოადგენს.

ეს მანქანა თითქმის მთლიანად ხისგან იყო დამზადებული. იგი მუშაობდა ორთქლზე და ელექტრონზე. XIX ს. შუა წლებში ქალაქის დამამზადებელი ქარხანა გადაიქცა რთულ აგრეგატად, რომელიც მუშაობდა შეუსვენებელი და პროცესი თითქმის მთლიანად ავტომატიზებული იყო.

ლუი რობერის ქარხანამ შეცვალა მექალაქე მუშების ხელით შრომა. ამასთან დაკავშირებით, დაისვა საკითხი ნედლეულის შესახებ. აქამდე ევროპაში ქალაქს ჩვრებისგან ამზადებდნენ. საბოლოოდ ნედლეული აღარ კმაროდა და აუცილებელი იყო ახალი ნედლეულის ძიება.

საქსონელმა ღარიბმა ფეიქარმა ფრიდრიხ პლერმა გამოიგონა ხის მასალის დამაქუცმაცებელი მანქანა – დექტიბერი, მაგრამ ხის მასაში რჩებოდა ფისი, საქარინი, საღებავი ნივთიერებები და ყველაფერი ეს აფუჭებდა მიღებული ქალაქის ხარისხს. დაიწყო ახალი ძიება ქალაქის გასაწმენდად. საბოლოოდ მეცნიერებმა ქიმიის დახმარებით მიაღწიეს იმას, რომ საჭირო ბოჭკოვანი მასა – ცელულოზა ძირითადი ნედლეული გახდა საბეჭდი ქალაქის მისაღებად, რომელიც, თავის მხრივ დაქუცმაცებული მერქნისაგან მზადდება.

ქალაქს მეტად დიდი გზა ჰქონდა გასავლელი, ვიდრე იგი სტამბაში მოხვდებოდა – ტყიდან ქალაქის ფაბრიკაში და შემდეგ სტამბაში. მაგრამ მოთხოვნილება ქალაქზე სულ უფრო იზრდებოდა. ამჟამად არ არსებობს არც ერთი დარგი, რომელსაც არ სჭირდებოდეს ქალაქი. გარდა ამისა, მსოფლიოში ყოველდღიურად გამოდის მილიონობით ეგ ზემპლარი წიგნი, გაზეთი, ყურნალი და სხვა ბეჭდური პროდუქცია. ამის გამო საფრთხის წინაშე დადგა ტყეების შენარჩუნების საკითხი. ამ მხრივ დიდი მუშაობა ჩატარდა და გარკვეული შედეგებიცაა მიღებული. ასე მაგალითად, ცელულოზის მისაღებად უკვე იყენებენ სხვადასხვა ჯიშის ხეებს. ქიმიის განვითარების თანამედროვე დონე საშუალებას იძლევა, ყოველგვარი მცენარეული ბოჭკო გამოვიყენოთ ცელულოზისათვის. ასე მაგალითად, ჩინეთში იყენებენ ლერწამს, ბალახოვან

მცენარეებს, მარცლოვანთა ბზეს და ა. შ. ინდოეთში იყენებენ ბამბუკს; ჩვენში მეცნიერები მუშაობდნენ ლერწმის გამოყენებაზე, რომლის მარაგი, დღია და საშუალებას იძლევა, დავიცვათ ხის მასივები.

ნედლეულის ძიება კარგა ხანია ხდება სინთეტიური მასალის გამოსაყენებლად. სინთეტიური ქალაქი შედგება ნეილონის, ორლიონის, დაკრონის ან მინის ბოჭკოებისაგან. იგი ხელოვნურად მიიღება და ახლო მომავალში ალბათ შესაძლებელი იქნება ხის მასალის გარეშე ქალაქის დამზადება. შეიძლება მომავალში ქალაქი სხვა უკეთესი მასალითაც შეიცვალოს.

ქალაქის გამოგონება წინ უსწრებდა საბეჭდი დაზღვის გამოგონებას და ქალაქის დამამზადებელმა მანქანამაც გაუსწრო საბეჭდ მანქანების გამოგონებას. გუტენბერგის გამოგონებიდან თითქმის ორ საუკუნეზე მეტისნის განმავლობაში ბეჭდვის ტექნიკა იგივე რჩებოდა, მიუხედავად წიგნის სახის ცვლილებისა.

XVIII საუკუნე და XIX ს. დასაწყისი ხასიათდება სანარმოო ძალების არაჩვეულებრივი განვითარებით. საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ გამოაღვიძა ფეოდალური საზოგადოების წიაღში მთვლემარე ძალების წარმატება, რაც ძირითადად ხელით შრომაზე იყო დამყარებული და თანდათანობით მანქანებით შეიარაღდა. დიდმა აღმოჩენებმა მეცნიერების სხვადასხვა დარგში გავლენა იქონია პოლიგრაფიის განვითარებაზეც. კერძოდ, პოლიგრაფიაში ქიმიური მეთოდების დანერგვამ ბეჭდვის ახალი სახის – ლითოლოგრაფიის გამოყენება გაომიწვია. ეს გამოგონება ეკუთვნის ალოიზ ზენეფელდბერს. ამ გამოგონებამ მთელი მსოფლიო დაიპყრო. XIX ს. დასაწყისში ლითოგრაფიები გაიხსნა ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, რუსეთში, აშშ-ში და ა. შ.

ამ დროისათვის – XVIII ს. ბოლოს საბეჭდი დაზღვა წიგნის ბეჭდვის გაზრდილ მოთხოვნებს უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა.

საბეჭდი დაზღვის მექანიზაცია გააუმჯობესა ფრიდრიხ პენიგმა. მან პირველმა შეძლო მსოფლიოში იმ პირობებთან შეფარდებით მინიმალური დროის დახარჯვით ანაბეჭდების მაქსიმალური რიცხვის მიღება (800 ანაბეჭდი საათში) პენიგის მანქანამ მთელი მსოფლიო მოიარა.

საბეჭდი დაზღვის ასეთი წინვლის შემდეგ პოლიგრაფია ახალ მეთოდებს იყენებს. ახლა უკვე სხვა სახით იყენებდნენ მატრიცასა და სტერეოტიპს. წარმოიშვა პოლიგრაფიული ტექნოლოგიის ახალი სახე – სტერეოტიპია. სტერეოტიპია უცებ არ გაჩენილა. იგი საუკუნეთა განმავლობაში მუშავდებოდა, ვიდრე XIX ს. პირველ ნახევარში არ მიიღო დაახლოებით დღევანდელი სახე.

XIX ს. 60-იან წლებში დაიწყო საროტაციო მანქანის აგება, რომელიც შემდეგ მთლიანად ავტომატიზებული გახდა. მანქანიდან გამოდიოდა მთლიანად დასრულებული პროდუქცია – ბეჭდვიდან დაწყებული კინძვით დამთავრებული.

ბეჭდვის ტექნიკის მიღწევათაგან არ შეიძლება არ აღინიშნოს მექანიკური სტრიქონჩამოსხმელი მანქანა „ლინოტოპი“, რომელიც 1886 წ. გერმანელმა გამოგონებელმა რ. მენჰელჰალერმა დაამზადა. 1892 წ. კი შეიქმნა მექანიკური ასოთჩამომხსნელი მანქანა „მინოტოპი“.


განვითარდა ილუსტრაციის საქმეც, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის ფოტოგრაფიას. შემუშავებულ იქნა წიგნის ბეჭდვის ფოტომექანიკური პროცესები. უკვე XIX ს. 70-იან წლებში შეიმუშავეს ფოტოციკლოგრაფიის წესი, შემდეგ კი ავტოტოპია.

XIX ს. 90-იან წლებიდან გავრცელდა ე. წ. სამფერი ბე-



ჭდვა. შეიქმნა ფოტოლითოგრაფია, გამოგონებულ იქნა მრავალჯერადი საბეჭდი მანქანა და ა. შ.

დიდი ცვლილებები მოხდა აგრეთვე წიგნის გარეგანი სახის განვითარებაში. შინაარსის მიხედვით განსხვავებული წიგნები გარეგნობითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან: საანბანო წიგნი, ენციკლოპედია, კალენდარი, ალბომი, გეოგრაფიული ატლასი თავისებურადაა შემოსილი, თავისებური გარეგნობა და თავისებური მხატვრული გაფორმება აქვს. მხატვარ-გამფორმებლები ითვალისწინებდნენ წიგნის შინაარსის მნიშვნელობას, ენას, სტილს, მკითხველის ასაკს, განათლებასა და პროფესიას. ამიტომ ბევრი საზრუნავი ჰქონდათ მხატვრებსა და პოლიგრაფებს. წიგნის გარეგანსა და ყდას ძველთაგანვე ექცეოდა დიდი ყურადღება. ხელნაწერები ამის საუკეთესო დადასტურებას წარმოადგენს. გარეგანის პრაქტიკული მხარე რომ იცავდა წიგნს დაზიანებისაგან, კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული ჩვენს წინაპრებს. ამიტომ ხის, ტყავისა და ლითონის ყდები ხშირად იყო გამოყენებული



მკინძავთა პრაქტიკაში. ბიბლიოთეკაში დაცულია დიდი რაოდენობა ძველი წიგნებისა. მათი საშუალებით თანამედროვე პოლიგრაფისტები ეცნობიან წიგნის დამზადების ძველ ხერხსა და მეთოდებს.

საერთოდ, წიგნის დამზადების ხელოვნება დიდი საქმეა და მისი მეთოდები ასეული წლის განმავლობაში იქმნებოდა. ადამიანი ისწრაფოდა შეექმნა ისეთი წიგნი, რომელიც დააკმაყოფილებდა მის ესთეტიკურ მოთხოვნას. წიგნის ხელოვნება თანდათანობით ხელოვნებათმცოდნეობის დარგად იქცა.

თანამედროვე წიგნის სახე უცებ არ ჩამოყალიბებულა. გუტენბერგის მიერ გამოცემულ წიგნებში არ იყო არც ტიტული, არც ილუსტრაციები, ცდილობდნენ მაქსიმალურად გაეუმჯობესებინათ ბეჭდვის ტექნიკა, რომელიც XVIII საუკუნემდე თითქმის არ შეცვლილა, მაშინ, როდესაც დიდი ცვლილებები განიცადა წიგნის გაფორმებამ, შეიცვალა ფორმატი, შრიფტი და ილუსტრაციის ხერხები.

მთავარი ადგილი წიგნის გაფორმებაში შრიფტს ენიჭება. იგი წიგნის ენა და წიგნის გაფორმების ერთ-ერთ ელემენტსაც წარმოადგენს. იყენებდნენ უამრავ შრიფტს პერიოდისა და წიგნების გამოცემის საქმეში. გაზეთის ერთ ნომერში სხვადასხვა შრიფტი შეიძლება ყოფილიყო სათაურის, ქვესათაურის, მონინავე სტატიის, ქრონი-

კისა და სხვა ელემენტებისათვის. ძველ გამოცემებში ასეთი მრავალფეროვნება არ არსებობდა. XVI საუკუნეში გამოყენებული იყო ე. წ. „შუბახური“ შრიფტი, რომელიც ყველაზე მეტი პოპულარობით სარგებლობდა. მის შექმნას მიაწერენ გუტენბერგის მონაფეს პეტერ შეფერს, ხოლო იტალიელმა მბეჭდავებმა სვენჭეიმმა და პანარტცმა, პირველად გამოიყენეს ლათინური შრიფტი „ანტიკვა“. რამდენიმე წლის შემდეგ ძმებმა ვენდელინებმა შემოიღეს კითხვის ნიშანი, მათვე დანომრეს წიგნი არაბული ციფრებით. მაქსიმ გრეგო თავის მოგონებებში წერს ალდუს მანუციუსზე, რომელმაც ორჯერ შეამცირა წიგნის დაწესებული ფორმატი და განიზრახვა წიგნის ძელი სისქის შენარჩუნება. ეს მიღწეულ იქნა განსაკუთრებული შრიფტის შემოღებით, რომელიც დაამუშავა იტალიის ქალაქ ბოლონიის მოქალაქემ ფრანჩესკომ და ეს შრიფტი შემდეგში კუროსიგის სახელწოდებით გამოიყენება. მანუციუსის საქმე გააგრძელეს ფრანგმა ეტიენტებმა, ბელგიელმა პლანტინებმა და პოლანდიელმა ელზევირებმა. მათი წიგნები ძალიან წმინდა შრიფტითაა დაბეჭდილი და როგორც გადმოგვცემენ, ელზევირის საგამომცემლო ფირმა ამ შრიფტს ვერცხლისგან ასხამდა გამოსახულების მაქსიმალურად სუფთად მიღების მიზნით.

თანდათანობით დაიწყო შრიფტის ზომის მონესრიგება, დაიწყო შრიფტის თეორიის დამუშავება. XVIII ს. ფრანგმა შრიფტის ჩამომსხმელმა ფურნიემ შეიმუშავა სასტამბო შრიფტის ზომის სისტემა, რომელიც შემდეგ ფრანგი მესტამბისა და შრიფტის ჩამომსხმელის ფირენ დიდოს შესწორებით გამოიყენებოდა თითქმის მთელ მსოფლიოში.

შრიფტის მეურნეობის დახასიათებისას არ შეიძლება არ მოვიგონოთ პარმის საპრეტოგოს მბეჭდავი ჟან-ბატისტა ამადონი, რომელიც ასევე ცნობილია სახელით „მბეჭდავი მეფე და მეფეთა მბეჭდავი“. ამადონიმ შექმნა ლათინური შრიფტის 544 ნიმუში და პირველმა დაამტკიცა, რომ შრიფტების სწორი შერჩევითა და განლაგებით შეიძლება წიგნის ტიტულის შედევრების მიღება.

შრიფტის შემდეგ წიგნის პოლიგრაფიული ხარისხისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ილუსტრაციას. ქსილოგრაფია, რომელიც წიგნის ტექსტისა და ილუსტრაციისათვის იყო გამოყენებული მოძრავი ლიტერებით ბეჭდვის გამოგონების შემდეგ, მხოლოდ ილუსტრაციების საბეჭდად გამოიყენებოდა. ასეთი წიგნი პირველად გამოიქცა გერმანიის ქალაქ ბამბერგში ალბერტ პუისტერის მიერ. გრავიურა ხეზე მალე შეიცვალა გრავიურით ლითონზე, რომელიც თავის მხრივ, მსგავსად ქსილოგრაფიისა, წინ უსწრებს წიგნის ბეჭდვას. ლითონზე მუშაობა გაადვილდა მას შემდეგ, რაც დაიწეს აზოტის მჟავის გამოყენება, რასაც ფრანგულად „ოფორტ“-ს უწოდებენ. მისი პირველი ნიმუშები დათარიღებულია XVI ს. დასაწყისით. არაა ცნობილი, ვინ გამოიგონა ეს ხერხი. ყველაზე ძველი ოფორტი დათარიღებულია 1513 წლით და მას ხელს აწერს შვეიცარიელი გრავიორი ურს გრაფი. შემდეგში ოფორტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესა პოლანდიელმა მხატვარმა რემბრანტმა.

უფრო გვიან ისევ ქსილოგრაფია გამოიყენება თავისი ილუსტრაციისათვის ცნობილმა გერმანელმა მხატვარმა დიურერმა, რომელიც ფლობდა სპილენძზე გრავიურებისა და ოფორტის ხელოვნებას.

ამრიგად, XVIII-XIX სს. მეტად ნაყოფიერი შეიქმნა პოლიგრაფიული ტექნიკის განვითარებისათვის, მან საფუძველი ჩაუყარა იმ დიდ მიღწევებს, რომელიც თანამედროვე პოლიგრაფიას გააჩნია.

ჩვენი ბიბლიოთეკი

ბიორგი კილაძე

პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი გამოწვევები

(პროექტი: „სამოქალაქო განათლება მოსწავლეებსა და სტუდენტებს“)

სამეცნიერო ლიტერატურაში(1) სამართლიანადაა აღნიშნული, რომ სისტემის – თქვათ „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“ – მართვის ხარისხის გაუმჯობესება არ არის მზა მიდგომა ან პროგრამა, რომელსაც თავისი სანყისი, შუა და ბოლო წერტილი გააჩნია. სისტემის მართვა სტრატეგიულ ხასიათს ატარებს და მიმდინარეობს დიაგნოზით, არის ციკლური ოპერაცია (ინცეპა, სრულდება და აქვს უკუკავშირი), მისწრაფის წინასწარობისკენ და ეძებს ოპტიმიზაციის ხერხებსა და საშუალებებს.

რეალურად სისტემა არის ურთიერთდაკავშირებულ ელემენტთა ინტეგრირებული „ანყოფა“, წინასწარ განსაზღვრული ფუნქციის ერთობლივი განხორციელების მიზნით.

ამასთან, ორგანიზაციაზე (სისტემაზე) საუბრისას ელემენტებად მოიაზრება ადამიანების, პროცესების, ტექნოლოგიების, რესურსების სიმრავლე, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ფუნქციის შესასრულებლად შექმნილი. ასე რომ, სისტემის მართვისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მიზნების სწორად განსაზღვრვას, ხშირ შემთხვევაში, ზუსტ ფორმულირებას.


ვიდრე „ბიბლიოთეკის“ მიზნებზე ვისაუბრებდეთ, აუცილებელია გავიხსენოთ თავად ბიბლიოთეკის (საჯარო) განსაზღვრება.

1994 წელს გამოქვეყნებულ IFLA/UNESCO-ს „საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტში“, საჯარო ბიბლიოთეკა განისაზღვრება როგორც „ინფორმაციის ადგილობრივი ცენტრი, რომელიც ხელმისაწვდომს ხდის მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციასა და ცოდნას“. (2).

მკითხველისათვის ყველა სახის ინფორმაციისა და ცოდნის გადაცემის აუცილებლობაზე ასევე მკაფიოდ მიუთითებს საჯარო ბიბლიოთეკებისთვის IFA/UNESCO-ს სახელმძღვანელო მითითებებში განსაზღვრული ძირითადი მიზნები: „საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი მიზნებია ცალკეული მოქალაქეებისა და ჯგუფებისათვის განათლების, ინფორმაციისა და პიროვნების განვითარების სფეროებში სხვადასხვა საშუალებების, მასალებისა და რესურსების შეთავაზება. საჯარო ბიბლიოთეკები თითოეული ადამიანისათვის ცოდნის, იდეებისა და მრავალფეროვანი შეხედულებების ხელმი-

სანვდომობის უზრუნველყოფით მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დემოკრატიული საზოგადოების შენარჩუნებასა და განვითარებაში“ (3).

„ყველა სახის ინფორმაციასა და ცოდნის“ ხელმისაწვდომობა გულისხმობს სამოქალაქო განათლების სფეროში დაგროვილი ცოდნის შესაძლებლობის ფარგლებში დაგროვებასა და დამუშავებას და, რაც მთავარია, გადაცემას მომხმარებელთა ამა თუ იმ კატეგორიისთვის ხელმისაწვდომ ფორმატში. IFA/UNESCO-ს სახელმძღ-



ვანელო მითითებებში განსაზღვრულ ძირითად მიზნებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სხვადასხვა რესურსების შეთავაზების პრობლემებსა და დემოკრატიული საზოგადოების განვითარების პროცესში საჯარო ბიბლიოთეკების ჩართულობის გადრმაგვას.

„სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების და დემოკრატიული სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესების ხელშეწყობა“ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ამ ამოცანის უზრუნველსი შემსრულებლის ეროვნულ ბიბლიოთეკაში სამოქალაქო განათლების განყოფილება გახლავთ.

აქვე უნდა გავიხსენოთ ბიბლიოთეკის ძირითადი მისია: „მუდმივი განათლების ან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის პირობების უზრუნველყოფა“. ამასთან, „მუდმივი განათლების ან მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისთვის პირობების უზრუნველყოფა“ (4) არ არის მხოლოდ საჯარო ან მსგავსი ტიპის ბიბლიოთეკების ძირითადი მისია. სპეციალურ ლიტერატურაში სამარ-

თლიანად არის აღნიშნული: „ყველა ტიპის ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანა არის, დაეხმაროს მომხმარებელს განათლების მიღებაში“ (5). უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ეტაპზე ბიბლიოთეკის, როგორც ერთიანი სისტემის – მეცნიერულ შესწავლას დიდი ყურადღება ექცევა, რაც შეეხება ცალკეული ქვესისტემების (დეპარტამენტების, განყოფილებების) შესწავლას მეცნიერთა თუ პრაქტიკოს ბიბლიოთეკართაგან, ყურადღების მიღმა რჩება(6).



დეპარტამენტების, განყოფილებების, როგორც სისტემის, შესწავლის საკითხებს სხვა დროს განვიხილავთ, ახლა კი, ვიდრე სამოქალაქო განყოფილებაში მიმდინარე სამუშაოების ურთიერთმიმართების საკითხს განვიხილავთ, სისტემის მარტივ სამფუნქციური მოდელზე ვისაუბროთ. (იხ. ნახ.)

სამფუნქციურ სისტემაში შესვლა გარემოს გააზრებით იწყება; დამუშავების პროცესზე მუშაობენ ადამიანები, რომ-

ლებიც ანალიზისა და გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, სხვადასხვა ტექნოლოგიასა და მეთოდებს იყენებენ. მიღებული შედეგი წარმოადგენს სისტემის პასუხს შენატანზე/რესურსზე. ამასთან, სისტემის მუშაობას უზრუნველყოფს ისეთი ქვესისტემები, როგორებიცაა: „დაგეგმვა, ინფორმაცია, კომუნიკაცია, ტექნოლოგიები და პროცესებზე კონტროლი“.

პირველ სქემაზე წარმოდგენილი პირველი ელემენტი – გააზრება, უპირველეს ყოვლისა, ეხება რესურსს, რომელზეც რეაგირებას ახდენს სისტემა, ჩვეულებრივ, ეს რესურსი სისტემის გარედან მომდინარეობს და მჭიდროდ უკავშირდება საკუთარი მომხმარებლის/სპონსორის მოთხოვნილებას ან სხვა ორგანიზაციის საუკეთესო მახასიათებლების განსაზღვრას. მეორე ელემენტი – „ანალიზი და გადაწყვეტილება“ ითვალისწინებს სისტემის გარედან მიღებული ინფორმაციის დამუშავებას; ანალიზისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი ეხება ხელმძღვანელობას, დასაქმებულთა ჩართულობას, სამუშაო პროცესების გაუმჯობესებას; მესამე ელემენტი – „პასუხი“, არის სისტემის შედეგი, რომელიც ორგანიზაციული გაუმჯობესების კონტექსტში უნდა ემსახუროდეს მომხმარებლებზე ორიენტირებული პროდუქციის წარმოებასა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნებს.

სამოქალაქო განათლების განყოფილების (სისტემის) შესახებ საუბრისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სულ მცირე ორი გარემოება: 1. მართვის ობიექტად მოიაზრება თავად განყოფილება; მართვის თითქმის ყველა ფუნქცია (დაგეგმვა, ორგანიზაცია, კორდინაცია, კონტროლი, მოტივაცია, კადრებთან მუშაობა), ერთადერთი ფუნქცია, რაც, ბუნებრივია, მსგავს სისტემებში ვერ განხორციელდება (საშუალო დონის მენეჯერთა დონე), არის კადრების შერჩევა „ბიბლიოთეკის“ ან სხვა სისტემიდან; 2. მართვის ობიექტი ანუ პროექტი – სამუშაო, რომელიც ქმნის რაღაც ახალს,



ორიგინალურს, აქვს დასაწყისი და დასასრული.

სტატიის ფორმატი არ იძლევა საშუალებას, ყველა პროექტის, თუნდაც მეტ-ნაკლებად, სრულად განვიხილვისა, ამიტომ მათ სამოქალაქო განათლების განყოფილების მოკლე ისტორიის ფარგლებში განვიხილავთ.

სამოქალაქო განათლების განყოფილება 1999 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში იმჟამინდელი გენერალური დირექტორის – ლევან ბერძენიშვილის ინიციატივით დაარსდა და ეს იყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში „ახალი ერის“ დასაწყისი.

განყოფილების შექმნისთანავე გამოიკვეთა საქმიანობის ძირითადი მიზნები, რომლებიც საქართველოში სამოქალაქო განათლების დონის ამაღლებას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, სამოქალაქო უფლებების დაცვის საქმის ხელშეწყობას, სამოქალაქო განათლების სფეროში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და გამჭვირვალების უზრუნველყოფას ითვალისწინებს.

წიგნების, ჟურნალების გაციფრებისას განსაკუთრებით დიდი ყურადღება მიექცა „გაციფრებაზე საავტორო უფლების“ დაცვას. „საავტორო უფლების მისაღებად განყოფილება თანამშრომლობს სხვადასხვა გამომცემლობებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მუდმივად ავსებს ბაზას ახალი ლიტერატურით.

2008 წლიდან „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ციფრულ ბიბლიოთეკას“ გამოეყო „ქართული პერიოდულ გამომცემების ციფრული კოლექცია“, რომელშიც განთავსდა საქართველოში მოქმედი სხვადასხვა არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ინსტიტუტებისა და ფონდების მიერ გამოცემული ჟურნალები, სერიული გამოცემები, სტატიები, ანგარიშები, ბიულეტენები, ტრენინგის მასალათ კრებულები, მიმოხილვები, ანალიზი.

მიმდინარე პროექტმა განყოფილებას მუდმივად განახლებად ლიტერატურასთან ერთად, სამოქალაქო სფეროსთან დაკავშირებით გამოცემული სპეციალიზებულ ლექსიკონების ციფრული ბაზის შექმნას მისცა ბიძგი. ბაზაში განთავსდა ადამიანის უფლებათა დაცვის, სოციოლოგიის, პოლიტოლოგიის, ეკონომიკის, დიპლომატიის, იურისპრუდენციის, სახელმწიფო მართვისა და სხვა თემებთან დაკავშირებული განმარტებითი ლექსიკონები და გზამკვლევები. 2007 წლიდან ლექსიკონების ბაზას დაემატა „სამოქალაქო განათლების ენციკლოპედიური ლექსიკონი“, რომელიც გულისხმობს სამოქალაქო განათლების სფეროში ქართულ და თარგმნილ ლიტერატურაში არსებული სპეციფიკური სამოქალაქო ტერმინოლოგიის დახმარებით „ენციკლოპედიური ლექსიკონის“ შექმნას. ლექსიკონების ბაზა ხელს უწყობს სამოქალაქო ცოდნის გარღმავებასა და სამოქალაქო განათლების პროფილთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას.

2009 წელს სამოქალაქო განათლების დეპარტამენტმა ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში“ კიდევ ერთი განაცხადი წარადგინა და მოიპოვა გრანტი პროექტზე „საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერნეტული

(შიდა) ბიბლიოთეკა“. შიდა ციფრული ბიბლიოთეკა გულისხმობს საქართველოში სამოქალაქო განათლების სფეროში მომუშავე იმ ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებული ლიტერატურის განთავსებას ციფრულ კოლექციაში, რომელზეც ვერ მოხერხდა საავტორო უფლების მოპოვება.

სამოქალაქო განათლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით, აგრეთვე სამოქალაქო სფეროს პოპულარიზაციის მიზნით, განყოფილებამ დაიწყო მუშაობა ახალ მასშტაბურ პროექტზე, რომელიც უკვე ნებისმიერი ინტერნეტ-მომხმარებლისათვის გახდა ხელმისაწვდომი; 2012 წელს სამოქალაქო განათლების განყოფილებამ გახსნა გვერდი სოციალურ ქსელ ფეისბუქში. სადაც მოკლე ინფორმაციების სახით ყოველდღიურად თავსდება სამოქალაქო განათლების სფეროსთან დაკავშირებული თემები, ცნობილი პიროვნებების ბიოგრაფიები, ისტორიული მოვლენების აღწერა, მნიშვნელოვანი თარიღები და დეფინიციები. აქვე თავსდება ეროვნული ბიბლიოთეკის ინტერნეტ-ტელევიზია Geolib TV-ის სამოქალაქო განათლების სფეროში განყოფილების მომზადებული სხვადასხვა შემცენებითი ვიდეო-აუდიო მასალები.

2013 წელს შეიქმნა სამოქალაქო განათლების ბლოგი, სადაც სამოქალაქო განათლების სფეროსთან დაკავშირებულ სტატიებთან ერთად თავსდება სასკოლო ლექსიკონი.

მომზადდა საგრანტო პროექტი სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტთან ერთად „ჟურნალისტიკა სამოქალაქო განათლებისათვის“.

განყოფილების შემდგომი სამომავლო აქტივობა უკავშირდება საქართველოში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთიანი ბაზის შექმნას. აღნიშნულ ბაზაში დაინტერესებული პირები შეძლებენ მათთვის საინტერესო, კონკრეტულ საკითხებზე ორიენტირებული ორგანიზაციების მოძიებას და ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებას, მათ წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის მიზნით. (მომხმარებელი შესაძლოა იყოს ძალადობის მსხვერპლი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ტრეფიკინგის მსხვერპლი, უმცირესობების წარმომადგენელი, მიუსაფარი და ა. შ.). ბაზა მიმართულებას მისცემს მომხმარებელს იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რომელი ორგანიზაცია მუშაობს მისთვის საჭირო საკითხებთან დაკავშირებით.

სამოქალაქო განვითარების განყოფილების მიერ 1999–2012 წლებში შესრულებულ სამუშაოთა თვალის ერთი გადავლენითაც ადვილად დავრწმუნდებით, რომ სამოქალაქო განათლების განყოფილება ორ ძირითად ფუნქციას ასრულებდა: 1. ქმნიდა რესურსს (ელექტრონულს) და 2) ემსახურებოდა მომხმარებელს (მკითხველს, ელექტრონული რესურსების მომხმარებელს).

ასე რომ, სამოქალაქო განათლების განყოფილების თანამშრომლები არა მხოლოდ ქმნიან ახალ რესურსებს, არამედ, შესაძლებლობის ფარგლებში, თავად უზრუნველყოფენ ამ რესურსთა გამოყენების სწავლებასა და გავრცელებას, ამის ნათელი დადასტურება არის ქალაქ თბილისის 92-ე სკოლაში ჩატარებული ღონისძიება(7).

1. <http://techdigest.jhuapl.edu/td1604/potocki.pdf>

2. საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი: – თბ., 1995. გვ. 16.

3. საჯარო ბიბლიოთეკის მანიფესტი: – თბ., 1995. – გვ. – 19.

4. იქვე – გვ. 14.

5. ბუნებრივია, ზოგადი განათლება თავის თავში სამოქალაქო განათლებასაც მოიაზრებს.

6. მიგვანია, რომ საბიბლიოთეკო სისტემის განვითარების თანამედროვე ეტაპზე თითოეული დამოუკიდებელი ერთეულის შესწავლა გადაუდებელ საქმედ უნდა იქცეს.

7. <http://www.youtube.com/watch?v=hzbQq4iGd4>

პურა მატრაველი
მანანა კარიჭაშვილი

ქ. თბილისის №42 ბიბლიოთეკის თანამშრომლები

თბილისის №42 ბიბლიოთეკის საიუბილეო დღეები

1973 წელს ნაძალადევის რაიონში ლოტკინის დასახლების მცხოვრებნი დიდი ინტერესით ელოდებოდნენ მშენებლობის დასრულებას. ამ სპეციალური პროექტით აშენებულ ორსართულიან ლამაზ შენობაში უკვე 40 წელია, რაც ფუნქციონირებს №42 ბიბლიოთეკა.

ლოტკინი ძველი უბანია თბილისში, თბილისის ზღ-

მოზრდილთათვის და მეორე საბავშვო. მოზრდილთათვის ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე ჯაფარიძის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკა. ხოლო საბავშვო საბიბლიოთეკო სისტემის მთავარ ბიბლიოთეკას წარმოადგენდა ნინო ნაკაშიძის ცენტრალური ბიბლიოთეკა. 1996 წელს მოხდა ორი ცენტრალიზებული

საბიბლიოთეკო ქსელის გაერთიანება და ამის შედეგად ბიბლიოთეკას 42-ე ნომერი მიენიჭა.

1996 წლამდე ბიბლიოთეკის სტრუქტურაში შედიოდა ცალკე ბიბლიოთეკა მოზრდილთათვის, რომლის პირველი გამგე იყო ალექსი ნამორაძე და ცალკე საბავშვო, რომელსაც ხელმძღვანელობდა თამარ ხიდაშელი. მათი ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით ხდებოდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება. გაერთიანების შემდეგ 42-ე ბიბლიოთეკის პირველი გამგე იყო ალექსი ნამორაძე. თავისი არსებობის 40 წლის მანძილზე ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდნენ: ლილი ხუციშვილი, თინათინ საგინაშვილი, თამარ ხიდაშელი, ომარ შოთაშვილი.

ბიბლიოთეკა წლების განმავლობაში მძიმე მდგომარეობაში იყო, ჩამოდიოდა წვიმის წყალი. ამიტომ თბილისის მერიის ინიციატივით 2007 წელს შენობა მთლიანად განახლდა, შეიცვალა სახურავი, აღიჭურვა ცენტრალური გათბობის სისტემით და სხვა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით. მკითხველებს ახლა უკვე ვიდეოთეკით და ინტერნეტით სარგებლობაც შეუძლიათ. ინტერნეტის საშუალებით კი შესაძლებელია



ვის ახლოს, ნაძალადევის რაიონში. მოსახლეობა მრავალეროვანია. ქართველებთან ერთად, აქ ცხოვრობენ იეზიდები, აზერბაიჯანელები, სომხები, რუსები, ბოშები და სხვა. ამ დიდ დასახლებაში ბიბლიოთეკის აშენება წარმოადგენდა ზემოჩამოვლილი ეთნიკური ჯგუფისთვის ერთ-ერთ სულიერ და კულტურულ ცენტრს.

ქ. თბილისის №42 ბიბლიოთეკა მდებარეობს წერონისის ქ. №164-ში. 1971 წელს აღნიშნულ ტერიტორიაზე დაიწყო ბიბლიოთეკისათვის სპეციალურად შემუშავებული პროექტით მშენებლობა, რომელიც დამთავრდა 1973 წელს. საქართველოში ბიბლიოთეკებისათვის სპეციალურად აშენებული შენობები ძალიან მცირე რაოდენობითაა. რამდენად სასიამოვნოა, რომ ჩვენი ბიბლიოთეკაც სპეციალურად ამ ფუნქციისათვის არის განკუთვნილი. შენობის მეორე სართულზე განთავსდა მაშინდელი №54 ბიბლიოთეკა-ფილიალი და პირველ სართულზე ნინო ნაკაშიძის სახელობის №12 საბავშვო-ბიბლიოთეკა ფილიალი.

1996 წლამდე ქალაქ თბილისში არსებობდა ორი ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემა: ერთი



მოძიებული მასალის ამოზეჭდვა. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დედაქალაქის ბიუჯეტიდან 270 ათას ლარამდე დაიხარჯა.

რეაბილიტაციის შემდეგ ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 20 000-მდე ეგზემპლარს, მკითხველთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, აუცილებელი გახდა ფონდის შევსება, გადახალისება და განახლება. ბიბლიოთეკის დირექტორის ომარ შოთაშვილის, თანამშრომლების: მანანა კარიჭაშვილის, ქეთევან აფაქიძის, შორენა ბერიშვილის, ეკატერინე ლაპიაშვილის დაუღალავი შრომით თბილისის სხვადასხვა ბიბლიოთეკებიდან გამონათვისუფლებული ლიტერატურიდან შერჩეულ იქნა ჩვენი ბიბლიოთეკისათვის საჭირო პროფილური და აქტუალური ლიტერატურა.

დღეისათვის ბიბლიოთეკის სტრუქტურულ ერთეულებს შეადგენს: აბონემენტი, დარბაზი, საბავშვო და ბიბლიოგრაფიული განყოფილებები, რომლებიც ემსახურებიან 2000-მდე მკითხველს. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დღეისათვის შეადგენს 60 000-მდე ეგზემპლარ წიგნსა და პერიოდიკას. 2012 წელს ბიბლიოთეკას შეემატა გაუქმებული №31 ბიბლიოთეკა-ფილიალის ფონდი 25 000 ეგზემპლარი. ფონდი მოიცავს მეცნიერების ყველა დარგს, რადგან ბიბლიოთეკის პროფილი ითვალისწინებს ყველა კატეგორიის მკითხველთა მომსახურებას. ბიბლიოთეკა ემსახურება მიკრო რაიონში მდებარე 129-ე, 190-ე, №8 საჯარო წმ. კეთილმსახურ თამარის სახელობის სკოლებს, გურამ თავართქილაძის სახ. უნივერსიტეტს, პროფესიულ სასწავლებელს „ორიენტირი“ და მიკრო-რაიონში მცხოვრებ მოსახელობას. აღსანიშნავია საბავშვო განყოფილების მიერ ჩატარებული მრავალფეროვანი სასწავლო-აღმზრდელობითი, ინტელექტუალური და კულტურული ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება ბავშვთა წიგნითა და საბიბლიოთეკო კითხვისადმი დაინტერესებულს. ბიბლიოთეკაში ხშირად ტარდება კონკურსები, ბავშვთა ნახატების გამოფენები, ინტელექტუალური თამაშები, რომლებიც ხელს უწყობენ ბავშვთა მოზიდვას ბიბლიოთეკაში. გარკვეული პერიოდულობით ტარდება სოციოლოგიური გამოკვლევები როგორც ბავშვთა, ისე მოზრდილთა შორის, რაც ხელს უწყობს ბიბლიოთეკის თანამშრომლებს გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების დასახვასა და მკითხველთა სხვადასხვა კატეგორიის მოზიდვაში. ამ მიზნით, საყურადღებოა ქალბატონ ელენე გოგოლაძის მიერ წარმოებული ბიბლიოგრაფიული აღრიცხვის უურნალი და გაცემულ ცნობათა არქივი, რაც საფუძვლად დაედო პერსონალური ბიბლიოგრაფიული ცნობების კატალოგს, რომელიც მიმდინარე წელს გაკეთდა ბიბლიოთეკაში.

ბიბლიოთეკის მატერიალურ ტექნიკური ბაზა დიდ



შესაძლებლობას იძლევა მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩასატარებლად.

2008 წლიდან ბიბლიოთეკაში ჩატარდა არაერთი ღონისძიება. განსაკუთრებით აღსანიშნავია თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ინიციატივით ჩატარებული ღონისძიება „ნიჭიერი“. აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ბიბლიოთეკის ნიჭიერმა მკითხველებმა, მათ სხვა ბიბლიოთეკებიდან არჩეულ ნიჭიერ მკითხველებთან ერთად, გაიმარჯვეს და დაიმსახურეს სიგელები და დიპლომები. ბიბლიოთეკა ტრადიციულად არა მარტო ჩვენი ბიბლიოთეკის მხატვარ მკითხველებს მასპინძლობს, არამედ ნაძალადევის რაიონში მცხოვრებ მხატვრებს, რომელთა ნახატების გამოფენებიც ეწყობა ბიბლიოთეკის ფოიეში, მაგალითად, მოეწყო მხატვრების: გოჩა ბასიაშვილის, ლელა თეთრაძის, მაია ქუთათელაძის, თამარ დვალის, ბესო მთიულიშვილის, მარი ლელაშვილის, თამარ ტყემელაშვილის, ნიკა შაიშველაშვილის, სალომე მაკარიძის, თაკო ტატუაშვილის, თინათინ მუჯირიშვილის და სხვათა ნახატების, თექის და ორიგამის გამოფენები.

ბიბლიოთეკა დიდ ყურადღებას უთმობს წიგნის პროპაგანდას, ახალი ლიტერატურის გამოფენებს, ლიტერატურის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვებს, სოციოლოგიურ გამოკვლევებს და სხვადასხვა წიგნის პოპულიზაციასთან დაკავშირებულ ღონისძიებებს.

დღეს ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ქალბატონი მანანა საგანელიძე, რომელიც აქ 2012 წლიდან მუშაობს და ხელმძღვანელობს 13 თანამშრომელს: შურა ბერიშვილი-მეტრეველისა, მარინა სამადაშვილი, ელენე გოგოლაძე, მანანა კარიჭაშვილი-აღდგომელაშვილისა, ქეთევან აფაქიძე, შორენა ბერიშვილი, რუსუდან დაუთაშვილი, გოგი მეშვილიძეშვილი, ეკატერინე ლაპიაშვილი, ლამარა ქსოვრელი, ნუნუ ჭედელიძე, მზია ტოგონიძე და მანანა ლომსაძე. თანამშრომლები ერთ მუშტად შეკრულ თანამოაზრეებს წარმოადგენენ, მათი პროფესიონალიზმი, საქმისადმი თავდადება და

ერთგულება იძლევა გარანტიას მკითხველთა მომსახურების, ბიბლიოგრაფიული მუშაობის, კითხვადობისა და ბრუნვადობის კოეფიციენტების ამაღლებისა. ამის საწინდარ წარმოადგენს ბოლო ორ წელიწადში საბიბლიოთეკო კითხვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ბიბლიოთეკის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, მთავარ ბიბლიოთეკასთან არსებობს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გაერთიანებაში მომუშავე არასპეციალისტ თანამშრომლებისათვის. აღნიშნული კურსები სხვადასხვა წლებში გაიარეს ჩვენი ბიბლიოთეკის ახალგაზრდა თანამშრომლებმა: ქეთევან აფაქიძემ, შორენა ბერიშვილმა და ეკატერინე ლაპიაშვილმა.

დევიზით „იპოვე შენი თავი ბიბლიოთეკაში“ – ქალაქ თბილისის მთავარმა ბიბლიოთეკამ 2012 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩაატარა ღონისძიება ჩვენს ბიბლიოთეკაში. პროექტს ხელმძღვანელობდა მთავარი ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე ქალბატონი ლელა ასკურავა. აქტიური მხარდაჭერა ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებისათვის აღმოუჩინა ბიბლიოთეკის გამგემ მანანა საგანელიძემ. მისივე ინიციატივით და მხარდაჭერით ბიბლიოთეკას მუდმივი საქმიანი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აქვს არამრატო ზემოაღნიშნული სკოლებისა და სასწავლებლების მკითხველებთან და თანამშრომლებთან, არამედ თბილისის

საბიბლიოთეკო ასოციაციის წევრებთან: პროფესორ ალექსანდრე ლორიასთან და ბატონ გურამ თაყნიაშვილთან, რომლებიც ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები არიან და არ იშურებენ თავიანთ ცოდნას და გამოცდილებას ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომელთათვის საბიბლიოთეკო დარგში მიმდინარე უახლესი ცვლილებების გასაცნობად, აღსანიშნავია მთავარი ბიბლიოთეკარის მარინა სამადაშვილის აქტიური მონაწილეობა უურნალ საქართველოს ბიბლიოთეკის რედაქციასთან, მის მიერ გამოქვეყნებულია სტატიები მიძღვნილი ქართველ მეცნიერთა და მწერალთა შემოქმედებისადმი. მკითხველთა მოზიდვის ერთ-ერთ აქტუალურ ფაქტორად რჩება ბიბლიოთეკარ ეკატერინე ლაპიაშვილის მიერ მრავალგზის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები, რომელთა ანალიზი №42 ბიბლიოთეკას საშუალებას აძლევს მკითხველთა ინტერესების შესწავლისა და მათი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილებისათვის.

მიმდინარე წელს უდიდესი სამუშაო ჩატარდა №31 ბიბლიოთეკიდან გადმოტანილი ფონდის გახსნასა და საინვენტარო უურნალებთან მისი შედარებისათვის. ეს მძიმე და შრომატევადი სამუშაო გაკეთდა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლის უშუალო მონაწილეობითა და მხარდაჭერით. 2014 წელს ამ ფონდის შეერთება ბიბლიოთეკის არსებულ ფონდთან საშუალებას მოგვცემს კიდევ უფრო ავამაღლოთ ბრუნვადობისა და კითხვადობის კოეფიციენტი.



კონსტანტინე ალიკვაშვილი
საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ბიბლიოგრაფი

საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა (ისტორიული ექსკურსი)

თანამედროვე საქართველოს საპატრიარქოს ბიბლიოთეკის დაარსების თარიღად შეიძლება ჩაითვალოს XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისი, როდესაც სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით თბილისის მართლმადიდებლური ეკლესიებიდან გაფანტული წიგნების შეგროვება დაიწყო. ამჟამად დროს თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკამ საპატრიარქოს რელიგიური თემატიკის ძველი რუსული წიგნები გადმოსცა. ამას მიემატა უწმიდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პა-

ტრიარქოს ძველ რეზიდენციაში, მაგრამ მისი მდიდარი წიგნადი ფონდის მონესრიგება ისე, რომ მკითხველებისთვის ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ვერც იქ მოხერხდა. იმხანად (1995-1998 წ. წ.) ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ბატონი ირაკლი ლომოური.

დასახელებული სათავსოები თავისი პირობების გამო შეუსაბამო იყო ბიბლიოთეკისთვის (მცირე ფართი, სინესტე, სინათლის ნაკლებობა და ა. შ.).

1998 წლის მაისში უწმიდესისა და უნეტარესის, კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის ბრძანებით საქართველოს



ტრიარქის ილია მეორის მიერ ბათუმიდან და სოხუმიდან ჩამოტანილი პირადი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი.

მაშინ საპატრიარქოს ბიბლიოთეკა საპატრიარქოს არქივთან ერთად თბილისის წმიდა ნიკოლოზის სახელობის ორთაჭალის ტაძარში იყო განთავსებული. დაიწყო წიგნების ინვენტარიზაცია და კატალოგის შედგენა. ბიბლიოთეკის სამ თანამშრომელს (თინა ყანდარელს, თამარ გერმანიშვილს, ნანა კაჩუხაშვილს) სამუშაოს შესრულებაში ეხმარებოდნენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკიდან მონვეული ბიბლიოთეკარები. შეგროვებული წიგნების ფონდით ძირითადად სასულიერო პირები სარგებლობდნენ.

ამის შემდეგ საბიბლიოთეკო ფონდმა რამდენჯერმე შეიცვალა ადგილი. ბიბლიოთეკა ჯერ საპატრიარქოს რეზიდენციაში (ერეკლე II-ის მოედანი №1) პირველ სართულზე განათავსეს, შემდეგ იგი გადაიტანეს სიონის ეზოში, საპა-

საპატრიარქოს რეზიდენციაში ფართი (მეორე ფლიგელის IV სართული მთლიანად) ბიბლიოთეკისთვის გამოიყო. ბიბლიოთეკა ახალ შენობაში გადავიდა და მას (1998-2003 წ. წ.) ხელმძღვანელობდა ბატონი გრიგოლ რუხაძე. ბიბლიოთეკას ორი თანამშრომელი მიემატა: კონსტანტინე ალიბეგაშვილი და ნატო იოზაძე. ჩატარდა წიგნების ინვენტარიზაცია, გაგრძელდა კატალოგის შედგენა. ბიბლიოთეკას მიეცა სამკითხველო დარბაზის შექმნისა და მკითხველთა მომსახურების საშუალება.

2000 წლის სტატისტიკური მონაცემებით, ბიბლიოთეკის ფონდი შეადგენდა 70.000 წიგნს, 1217 დასახელების პერიოდულ გამოცემას. ყურნალ-გაზეთების ანალიტიკური დამუშავება დაწყებული იყო 1996 წლიდან. ბიბლიოთეკის ფონდი შეიცავდა წიგნებს 72 ენაზე. 50.000 წიგნი უკვე კატალოგში იყო შეტანილი. წიგნების აღრიცხვა და ბიბლიო-

გრაფიული დამუშავება მთლიანად ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. შექმნილი იყო სამუშაო ანბანური და სისტემური კატალოგი ქართულ, რუსულ, ინგლისურ, ბერძნულ, ფრანგულ, იტალიურ, ესპანურ, სომხურ, ფრანგულ ენებზე. ბიბლიოთეკაში განვერიანებული იყო 1.500 მკითხველი (ძირითადად სასულიერო პირები, სტუდენტები, მრევლი, ასევე ბიბლიოთეკით სარგებლობდა ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე).

2003 წლიდან ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობდა ილუმენია ნინო (გრიგოლაძე). ამავე წელს ეროვნული ბიბლიოთეკიდან მოწვეულ იქნა კონსულტანტი ქალბატონი კლარა რამიშვილი. ბიბლიოთეკას კიდევ ორი თანამშრომელი დაემატა: ბიბლიოთეკარები ნანა ჭუმბაძე და თეკლა ალიბეგაშვილი. შეიქმნა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია მეორისადმი ნაჩუქრობის წარწერით გამორჩეული წიგნების კატალოგი.

2009 წელს ბიბლიოთეკას დაემატა ორი თანამშრომელი: ბიბლიოთეკარი ინგა ნანიტაშვილი და რესტავრატორი ლია კლარჯიშვილი. მისი მეშვეობით შესაძლებელი გახდა დაზიანებული წიგნების აღდგენა, განახლება, მონესრიგება.

2012 წელს საპატრიარქოს ბიბლიოთეკა უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, გა-



ფართობისა და კეთილმოწყობის მიზნით გადავიდა საპატრიარქოს ტელეხედვის „ერთსულოვნების“ შენობაში და განთავსდა მთლიანად მესამე სართულზე, ეწოდა „წიგნის სავანე“, რომელიც წმიდა ნინოს სახელობისა და უშუალოდ ექვემდებარება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს. 16 მარტს ბიბლიოთეკის დირექტორად დანიშნულ იქნა სამონაზვნე მართა (ნაჭყვია).

ბიბლიოთეკის კეთილმოწყობაში, მის აღჭურვასა და მატერიალურ უზრუნველყოფაში უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ჭყონდიდელ მიტროპოლიტს, საპატრიარქოს ტელეხედვის დირექტორს, მეუფე პეტრეს (ცაავას).

2012 წლის აპრილის თვეში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მთლიანად დალავდა. ახალ პირობებში არსებობს ორი საცავი: წიგნების და პერიოდიკისათვის; მისაღები – ანბანური, სისტემატური და საგნობრივი კატალოგებით; სამკითხველო და ცალკე სამეცნიერო კომპიუტერებით აღჭურვილი დარბაზები, სარესტავრაციო; კაბინეტები კათალიკოს-პატრიარქის, ბიბლიოთეკის დირექტორისა და ბიბლიოგრაფებისათვის, გახსნილია ლიტერატურული კაფე.

2012 წლის 6 ივლისს ბიბლიოთეკას ეწვია მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც საპატრიარქოს ტელ-

ეხედვის და ბიბლიოთეკის თანამშრომლები დალოცა.

მისასალმებელი სიტყვა შეხვედრისას მისი უწმინდესობისადმი წარმოსთქვა ჭყონდიდელმა მიტროპოლიტმა, საპატრიარქოს ტელევიზიის დირექტორმა მეუფე პეტრემ: – „თქვენო უწმინდესობა, მინდა მოგილოცოთ დღევანდელი დღე, საპატრიარქოს „წიგნის სავანის“ გახსნა, უკვე სრულყოფილად, მისი ლიტერატურული კაფეთი.

თქვენო უწმინდესობა, თქვენი ლოცვა-კურთხევითა და ღვთის შეწევნით შევძელით ეს. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისა და ეკლესიისათვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს. გუშინ წმიდა სინოდის სხდომაზე ერთ-ერთი მთავარი თემა იყო თქვენს მიერ დაყენებული საკითხი მომავალი თაობის, ბავშვების სწორად აღზრდის შესახებ; დაგვახალეთ, რომ ვიფიქროთ, შეიქმნას წიგნი, რომელშიც იქნება აღწერილი და მოცემული მითითებები, თუ როგორ უნდა იფიქროს ერთად მომავალი თაობის გადარჩენასა და მათ სწორ აღზრდაზე ქვეყანამ, ერმა და ბერმა. ვფიქრობ, რომ თქვენი ლოცვა-კურთხევით დაარსებული „წიგნის სავანე“ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ამ საქმეში.

დღეს მინდა გავახშიანო, რომ ოფიციალური შეხვედრა შედგა საპატრიარქოს მეუფეებისა საქართველოს პარლამენტში და მომავალი წელიწადი გამოცხადდა პატრიარქის საიუბილეო წლად. 80 წლისთავი მისი დაბადებიდან და 35 წელი მისი პატრიარქობისა. ბედნიერია ქართველი ერი, რომელიც ამ თარიღს აღნიშნავს და დიდია წყალობა ჩვენზე, თქვენო უწმინდესობა, რისთვისაც ვმადლობთ ღმერთს და მრავალჯამიერ სიცოცხლეს გისურვებთ, გაიხარეთ. დიდი მადლობა“.

შეხვედრისას ისტორიული სიტყვა წარმოსთქვა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ: – „მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მეუფეო, მამანო, ძმანო, ქალბატონებო, ბატონებო, მე ყველაფერს ველოდებოდი ჩემს პატრიარქობაში, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდი, რომ იმასაც მოვესწრებოდი, რომ საპატრიარქოს ექნებოდა თავისი ასე მშვენივრად მოწყობილი ბიბლიოთეკა. მე მახსენდება ჩემი სწავლის წლები მოსკოვის სასულიერო სემინარიაში და აკადემიაში. ერთი პროფესორი ჩვენ გვეუბნებოდა, რომ აკადემია არ მოგცემთ თქვენ მთელ განათლებას, აკადემია მოგცემთ თქვენ გასაღებს და თქვენ უნდა შეხვიდეთ წიგნთან სამყაროში და იქ მიიღოთ განათლება და ცოდნა. – და მართლაც, როგორც კი მთარგმნებოდა ჩვენი ლექციები და იმის შემდეგ სადილი იყო, სადილის შემდეგ ჩვენ მივდიოდით ბიბლიოთეკაში და ჩვენ ვეძებდით წიგნებს, ვისაც რა აინტერესებდა. ესე იგი, მთელი კურსი სტუდენტებისა იყო გაყოფილი შუაზე, ერთი ჯგუფი განსაკუთრებით სწავლობდა კონსპექტებს და მეორე ჯგუფი ნაწილობრივად კონსპექტებს და მეორე მივდიოდით ბიბლიოთეკაში და იქ ვეძებდით ჩვენთვის საინტერესო წიგნებს.

მყავდა შესანიშნავი ამხანაგი, მეგობარი, რომელიც დაინტერესებული იყო ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, მხატვრული ლიტერატურით და მეც როგორც ჩამითრია ამ კითხვაში და ჩვენ ვეძებდით წიგნებს. შედარებაც არ შეიძლებოდა, იმდენად განსხვავდებოდნენ ის სტუდენტები, რომელნიც კითხულობდნენ წიგნებს იმათგან, რომელნიც სწავლობდნენ მხოლოდ მასალას კონსპექტების მიხედვით. ჩვენ ვცხოვრობთ ისეთ დროს, როდესაც წიგნის ფასი არ ესმის მრავალს და დღევანდელ მიჯაჭვულ არიან ტელევიზორებთან ან ინტერნეტთან. მე მინდა ვთხოვო ყველას, ჩვენს სტუდენტებს, ახალგაზრდობას, ხანდაზმულებს, რომ ყველაზე კარგი მეგობარი არის წიგნი. წიგნი უნდა იყოს თქვენი უახლოესი მეგობარი და, აი, ჩემი ასეთი ლოც-

ვა-კურთხევაა, რომ თქვენ ყოველდღე იკითხთ წიგნები. ვერავითარი ტელევიზორი და ინტერნეტი და სხვა თანამედროვე საშუალება ვერ შეცვლის წიგნს. მე მახსენდება – არ ვიცი, მეორე თუ მესამე კლასში ვიყავი – ვილაცამ მაჩუქა ფული, წავედი წიგნის საყიდლად. ჩვენთან ახლოს იყო წიგნების მაღაზია, შვედი და უნდა ვიყიდო წიგნი, მაგრამ არ ვიცოდი რომელი წიგნი უნდა მეყიდა. ვუყურებ, რომელი წიგნია უფრო ლამაზი... ჰოდა, ერთი რალაც ლურჯფედიანი იყო, რომელსაც ზედ ეწერა „ვოლგა, ვოლგა...“ აი, ის წიგნი ვიყიდე, პირველი წიგნი, ჰოდა ძალიან მიყვარდა ის წიგნი. სანამ სწავლას დავიწყებდით, მე ძალიან დიდ პატივს ვცემდი განათლებულ ადამიანებს და ხშირად მელანს თითებზე ვისმევდი, რომ სხვებს ეფიქრათ, რომ მწიგნობარი ვიყავი და წერაც ვიცოდი. აი ესეთი დამოკიდებულება მქონდა.

მე გილოცავთ ამ დიდებულ მოვლენას, მე ვიტყვოდი – მოვლენას. ჩვენთან თითქმის უკვე აღარ იყო ბიბლიოთეკა და, აი, ეს შეგროვდა ამ ოცდათხუთმეტი წლის განმავლობაში. ცოტათოდნი დამხვდა წინა პატრიარქებისგანაც, ბეჭედ-იც დამხვდა, ალბათ გინახავთ ამ წიგნებზე. კალისტრატეს ჰქონდა ყველაზე მეტი წიგნი და ეს ყველაფერი შევკრებთ და არის აქ.

შესანიშნავი მოვლენაა, რომ კაფე თუ სატრაპეზო გახსენით აქ. ჩვენს სამონაზვნოს კარგი აზრი მოუვიდა და მე მინდა გთხოვოთ, რომ სტუდენტები, რომელნიც შემოვლენ თქვენთან და არ ექნებათ ფული, მაინც უნდა გაუმასპინძლდეთ და მე გადავიხდი ამ ფულს. და აი, ეხლავე გაძღვეთ სამას დოლარს, როცა გაგითავდებთ, მითხარით და კიდევ შემოვიტან.

ღმერთმა დალოცოს მეუფე პეტრე, რომელმაც შექმნა ეს სიმყუდროვე, ეს შესანიშნავი სავანე და მე ვეცდები, რომ ხშირი სტუმარი ვიყო თქვენი. ღმერთმა დალოცოს უპირველესყოფლისა მუშაკები, მე ყველას ვიცნობ, დიდი დამახსურებული ადამიანები ბრძანდებით და გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს და მრავალი ადამიანი გაახარეთ თქვენი კეთილი საქმით. მე მინდა დავლოცო მეუფე პეტრე, დირექტორი ამ ბიბლიოთეკისა სამონაზვნე მართა, მე იმედი მაქვს, რომ მალე მონაზონიც გახდება და ყველას გილოცავთ, მთელ საქართველოს ვლოცავ, ეს რალაც ისეთი ნიშანია, ღმერთი გვაძლევს ჩვენ ნიშანს, რომ მშობიობა, სიხარული და სიყვარული გველოდება წინ. ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო და მალე გვენახოს საქართველო გამთლიანებული. ამინ!”

2013 წლის მონაცემებით ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი 80.000 ეგზემპლარს შეიცავს. შეიქმნა ელექტრონული კატალოგის პროგრამა და დაიწყო ელექტრონული კატალოგისა და მონაცემთა ინტერნეტ-საიტისთვის. ახალ პირობებში შესაძლებელი გახდა უმეცნიერების, ძველი, პარიტეტული წიგნების ძირითადი ფონდიდან გამოყოფა და ცალკე, ხელუხლებელ ოქროს ფონდში სათანადო სახით შენახვა.

2013 წლის 12 მარტს, პირველად საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ისტორიაში ოფიციალურ დონეზე გაიმართა ოქროს ფონდში დაცული უძველესი (1559–1840 წლებში გამოცემული) წიგნების გამოფენა. ბიბლიოთეკას ეწვია მისი უწმინდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ჭყონდიდელი მიტროპოლიტი, მეუფე პეტრე, სამღვდლოება, სტუდენტობა და ინტელიგენცია. გამოფენაზე დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ: – „თქვენო მაღალყოვლადუსამღვდლოესობავ, ჩვენო სულიერო შვილებო, ქალბატონებო, ბატონებო, მე გულითადად მოგესალმებით ამ შესანიშნავ დაწესებულებაში, „წიგნის სავანეში“, ჩვენ თუ გვინდა, რომ გვყავდეს



განათლებული ხალხი, განათლებული ახალგაზრდობა, აუცილებელია, ადამიანი კითხულობდეს წიგნებს, ის პირობები, რომელიც შეიქმნა ინტერნეტის სახით და პრესის სახით, ეს არის მეტად ზედაპირული და ხშირად არასასურველი, აი, ამიტომ მე ვისხენებ ჩემს სტუდენტობას, სტუდენტობის წლებს. ჩვენი სტუდენტები იყვნენ გაყოფილი შუაზე, ერთი ნაწილი კითხულობდა ლექციებს, ხოლო მეორე ნაწილი კი, როგორც კი მთავრდებოდა ლექციები მივდიოდით ბიბლიოთეკაში და იქ ვეძებდით ჩვენთვის საინტერესო წიგნებს. ძალიან განსხვავდებოდა განათლების დიაპაზონი. აი ამიტომ, მე სპეციალურად მივეცი ლოცვა-კურთხევა, რომ დღეს სტუდენტებიც ყოფილიყვნენ ჩვენთან ერთად და თქვენ უნდა გაითავისოთ, თქვენ ხშირი სტუმრები უნდა იყოთ, სტუმრები კი არა, მასპინძლები უნდა გახდეთ.

მე განსაკუთრებით დიდ მადლობას ვუხდით მეუფე პეტრეს, რომელმაც ასე შესანიშნავად მოაწყო ეს ბიბლიოთეკა და ეს არის სამაგალითო საქართველოში კი არა, საერთოდ სამყაროში და მე მინდა დავლოცო ჩვენი ღვანდომოსილი თანამშრომლები ბიბლიოთეკისა, მე ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, თქვენ ნამდვილად გმირები ხართ, რომ დარჩით ერთგული წიგნისა.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ჩვენს ახალგაზრდობას შევაცვართო წიგნები და ეს ყველაფერი უნდა დაიწყოთ ბავშვობიდან, ყრმობიდან. თქვენ იცით, რომ არსებობს განწყობის თეორია დიმიტრი უზნაძისა და ეს განწყობის თეორია, უნდა იყოს გამოყენებული წიგნის მიმართ, განათლების მიმართ და, აი, ჩვენ წამოვაცენთ ისეთი იდეა, რომელიც ჯერ არ ყოფილა მსოფლიოში; უნდა დავუდგათ ძველი განწყობის თეორიას. მე გუშინ მქონდა შეხვედრა მინისტრთან, მინისტრის მოადგილესთან, არქიტექტორთან და მხატვართან, ამ ძველის შესახებ. საერთოდ, ყოველი საქმე, ინყება განწყობით. განწყობა – ეს მთავარია. თუ არ არის განწყობილი ადამიანი ამა თუ იმ საქმის მიმართ, ის საქმე ბოლომდე არ იქნება მიყვანილი.

ღმერთმა დაგლოცოთ, ჩვენი საქართველო დალოცოს და გილოცავთ... ეს არის ნამდვილად წიგნის სავანე და ხშირად მობრძანდით აქ. ჩვენთან არს ღმერთი, არს და იყოს. ამინ!”

2013 წლის ორ ივნისს, საპატრიარქოს ბიბლიოთეკას გადმოურცა ქართულ-სომხური სადაო „ნორაშენის“ ეკლესიაში არსებული მეცნიერებათა აკადემიისა და ქალაქის სხვადასხვა ბიბლიოთეკის შერეული წიგნადი ფონდი. ამავე დღეს მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ ილია მეორემ ჩვენს ქვეყანაში დაანესა ყოველი შაბათი დღე – „წიგნის დღე“. ამასთან დაკავშირებით, მ ივნისს, შაბათ დღეს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე ეწვია საპატრიარქოს ბიბლიოთეკას – „წიგნის სავანეს“ და კიდევ ერთხელ დალოცა კოლექტივი.

ფილოლოგიური ძიებანი

მარინა სამადაშვილი

42-ე ბიბლიოთეკის მთავარი ბიბლიოთეკარი

მზის სიმბოლიკა ნოდარ დუმბაძის უემოქმედებაში

ნაკვეთი 1.

ქვეყნად უამრავი სასწაული არსებობს... „ცის დიდი თვალი“ სასწაულთა სასწაულია. „მზე თუ ამოვა, ყველა კაცისას მივაო“ – უთქვამს ხალხს და უდიდესი სიბრძნე ჩაუქსოვია ამ ნათქვამში. „მზით ავსება“ სიკეთით ავსებას ნიშნავდა. შემთხვევითი არაა, რომ ფუძის ანგელოზს დღესაც „მზის ჩამოხარდნას“ ევედრება ქართველი კაცი. ათასგვარი სიკეთე მიენერება მზეს... ღამით მთვარის ნათებაც მზის სიკეთეს მიენერება ღამით მთვარის ნათებაც მზის სიკეთე ყოფილა. რამდენგვარ მზეს არ გაიგონებს ადამიანი, რანაირად აღარ მოიხსენიებენ მას: „ცხრათვალა მზე“ და „ცის დიდი თვალი“; „მსოფლიოს გული და მსოფლიოს სული“; „მზე თიბათვისა“ და „მზე შემოდგომისა“.

... კაშკაშა მეზ რომ აცხუნებს და თანაც წვიმა ცრის, იტყვიან ხოლმე: „მზე პირს იბანსო“. მოკრიალებული ზეცა საავდროდ რომ გამეზადება და სხივებს მაინც უხვად უგზავნის დედამიწას, – მზე იკბინებაო, ჩამავალი მზე ქიტონს რომ სისხლისფრად შეიღებავს, წითლდება და „ბნდება“, ხალხი ამბობს: მკვდრის მზე ანათებსო; გახარებული და გაცინებული მზეც არსებობს თურმე. ეს სხივმფენი სასწაული თავისი სითბოთი უზარმაზარ ორგანიზმს აცოცხლებს. მზე სიცოცხლის თესლია.

მზის წყალობაა სიცოცხლის არსებობა. მზისკენ ღტოლვა სიცოცხლისკენ ღტოლვაა. მცენარის ამ თვისებისთვის ჰელიოტროპიზმი უწოდებიათ ბოტანიკოსებს.

მზის სასწაულებრივი ძალის აღიარება თითქმის ყველა ხალხის მითოლოგიასა და ზეპირსიტყვიერებაში ასახულია.

მზისადმი, როგორც სიცოცხლის წყაროსადმი, თაყვანისცემა უხსოვარი დროიდანვე უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ქართულ მწერლობაში მზეს კუთვნილი ადგილი უკავია...

მზეს, როგორც ღმერთს, ქართველი მთიელები თაყვანს სცემდნენ უკანასკნელ დრომდე. „ქართველი ხალხის რწმენას ახლაც შემონახული აქვს მზის თაყვანისცემა და ფშავ-ხევსურთა დეკანოზები თავიანთ ლოცვაში ყოველთვის ამბობდნენ ხოლმე: „დიდება მზესა, იმის მყოლს ანგელოზსაო“. მამასადამე, მზეს

თავისი „მყოლი ანგელოზიცა“ ჰყოლია.

ძველ ქართულ წარმართულ რელიგიაში მზეს, მართლაც, სჭერია პირველი ადგილი. ეს პირველობა დაკავშირებული ყოფილა მზის თაყვანებასთან. ქართველთა ღმერთი ყოფილა მზე. მზე ყოფილა ქართველი კაცის საფიცარი: „ჩემმა მზემ“... „დაღლილი მზის მადლს გეფიცებო“ – ახლაც გაიგონებთ ქართველი გლეხკაცისაგან.

„მზე იყო ის არსება, რომლის წინაშე კაცი ფიცს წარმოთქვამდა და თავის სიტყვას სიმართლის ბეჭედს აკრავდა. მზის წინაშე ფიცი იყო წმინდა, დაურღვეველი, გაუტყებელი და ეს ფიცი სავალდებულოც იყო.

მზის მიმართ ფიცის თქმა საქართველოში დღესაც გავრცელებულია, ოღონდ მას წმინდა ხასიათი ანუ საკრალური ბუნება დაკარგული აქვს.

მირიან მეფეს, ნადირობად გასულს, მზე რომ დაუბნელდა და გზის გაგნება შეუძლებელი გახდა, შეძრწუნებულმა მეფემ ეს მოვლენა ღვთის რისხვად ჩათვალა და ღმერთს შეწევნა სთხოვა, მაგრამ არმაზმა არ უსმინა. მაშინ მან ლოცვა აღავლინა ნინოს ღვთაებისადმი და ანაზდეულად

მზემ გამოანათა.

გაქრისტიანების შემდეგაც ვერავინ დაივიწყა მზე. „შემდეგაც, როცა მისი ღმერთობა ღარ სწამდათ, სილამაზის და მშვენიერების წყაროდ მაინც მზე მიაჩნდათ. უმზეოდ სილამაზე ვერ იქნებაო, – ამბობდა ხალხი. ამიტომ იყო, რომ ნათელი და მშვენიერი ერთი და იგივედ ჩათვალეს.

სულ ადრეც, როცა მატრიარქატი იყო და ქალი უფროსობდა, მზე ქალ-ღვთაებად მიაჩნდათ. ქალს, დედამშობელს, მზეს ადარებდნენ იმიტომ, რომ მზეც ყოველივე სიკეთის მშობელიაო ამქვეყნად. კვლავ გავიდა დრო და ისევ მიიჩნიეს ერთადერთ მთავარ ღვთაებად. ამის შემდეგაც, ყოველგვარი მშვენიება მზეს დაუკავშირეს. საბოლოოდ დამკვირდა მზისა და ნათლის ესთეტიკა“.

ქართული მეტყველება აუარებელ მასალას შეიცავს ჩვენში ერთ დროს მზის თაყვანისმცელობის არსებობისა... მზიური მშვენიერს ნიშნავდა. ადამიანის მშვენიებაც მზიური იყო. ღამაზ ქალიშვილებსა და ჭაბუკებს, თითქოსდა მზით გასხივოსნებულთ, მზე-ჭაბუკი, მზექალა, ქალთამზე, მზევინარი... ერქვათ.



„კვირიაკეში მეშვიდე დღე მზისათვის ჰქონდათ შეწირული და მეგრულად დღესაც ჰქვიან ამ დღეს ბუაშდლა (მზის დღე) ანუ გერმანელთა შოონტაგ“.

მზის სილამაზეს ოჯახშიც დაუსადგურებია. გლეხური სახლის ლამაზად მოხატულ დედაბოძში ღვთიური აზრი და მზის სიმბოლიკა ყოფილა გასხვივოსნებული. კერა თუ არ ჩაქრებოდა, მზეც არ მოაკლდებოდა ამ ოჯახს, მზე, რომელიც დედაბოძიდან დაჰყურებდა სახლს და, თავის მხრივ, იმ მაღალი მზის სიმბოლო იყო. მზიანი ოჯახი კი აღვსილი იქნებოდა სიკეთითა და მშვენიერებით.

ასე აღამაზებდა მზის ესთეტიკა ქართველთა უძველეს ყოფას.

ქრისტიანულ მწერლობაში მზე კარგავს ღვთაებრივ მნიშვნელობას და სიმბოლოდ იქცევა. აქ, უდავოა, მზე არ არის ღმერთი... ქრისტიანულ მწერლობაში მზე გამოყენებულია ვითარცა პოეტური შესამკობელი და მზით დასურათებულია ბრწყინვალეობა, მშვენიერება, სიმართლე, ჭეშმარიტი ბედნიერება, შეუცვლელიობა, კეთილობა, თანასწორობა და ღმერთის პირდაპირაც ეწოდება მზე (და ფარი).

მზეს შეედარება ქრისტი, წმინდა სამება, თვითონ ქრისტი არის მზე; თვითონ სამება არის მზე.

მზე – სიმბოლო ხშირად იხსენიება როგორც საეკლესიო მწერლობაში, ისე საერო ლიტერატურაში. „ვეფხისტყაოსანი“ შემკულია მზის მეტაფორული სახეებით. პოემაში ნახსენები „ომზე – ხატი ღმერთისა“ არის არა ფიზიკური მზე – მნათობი, არამედ მზის სული, ქრისტი, ლოგოსი, ძე...

რუსთველის ასტრალურ ჰიმნში მზისადმი მზე „უძღვლესთა მძლეთა მძედ“ არის მიჩნეული. იგი ერთია და უზენაესი. რუსთველს სწამს მზისა, როგორც „ერთარსებისა ერთისა“.

დ. გურამიშვილთანაც მზე არის ხატი ღმერთისა, მზეთამზე კი მამა ღმერთი, უფალთა-უფალი საბაოთია...

... ბარათაშვილი მზედ ყოფნას ნატრობდა („მინდა მზე ვიყო“), ვაჟა კი ერთგან წერდა: მე თვალს მივაპყარ დასავლეთს და მკვდარი გავცოცხლდი. საუცხოო მნათობი ანათებდა, ერთ ადგილს გაჩერებული, მზე იყო, მაგრამ ის მზე არა, დილით რომ ამოდის და მიეშურება საღამოზედ გორას რომ მიეფაროს; იმ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისათვის, თვალდამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს. მე, გიჟივით, გონებად-აბნეული შევხაროდი, შევსტრფოდი მნათობს და მუხლს ვუყრიდიო.

გაოცებული კითხულობდა ვაჟა-ფშაველა: „რით შეადრება უკუნი, დღეს მოვარვარეს, მზიანსა“.

გ. ტაბიძე კი მოუწოდებდა: „ასწიეთ ფარდა, მზის დამფარავი“.

იშვიათია მზისადმი ისეთი რთული, ნაირგვარი და ჰუმანისტური დამოკიდებულება, მზის ისე შეგრძნება, როგორც ნ. დუმბაძეს აქვს. მის შემოქმედებაში მზე არის არა თემა, არამედ არსი. მზე განაგებს

ამქვეყნიური ცხოვრების წესსა და დინებას. მზე არის მისი წარმოსახვის მასაზრდოებელი წყარო.

მზემ არ იცის მიკერძობა. იგი სამართლიანია.

„თავიდანვე მზეს დიდი აზრობრივი მნიშვნელობა მიენიჭა და იგი ყველგან სამართლიანობის დამადგენლად და მართლის მბრჭოველად ითვლებოდა“.

ნ. დუმბაძის რომანში „მზიანი ღამე“ – მზე სამართლიანობის სიმბოლოა მაშინ, როდესაც თემურისთვისაც ისევე ამოდის, როგორც სხვებისთვის: „თემურაზ ბარამიძე, მზე ამოდის და მზე ჩადის შენთვის, როგორც სხვისთვის. „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან, მზე სწორად მოეფინების...“

სამართლიანობის სიმბოლოდვე გვესახება მზე რომანში „თეთრი ბაიარალები“ იმ დროს, როდესაც უდანაშაულოდ ციხეში მჯდარი ზაზა ნაკაშიძე ნამყვანს რომ ევედრება, უსაშველოდ ნათელ მზეს. სამართალი ვერ უპოვია ზაზას გამომძიებელ გაგუას ხელში. ნაკაშიძის უმანკოების დადგენას მხოლოდ მასავით მზიური სულის ადამიანი შეძლებს... ასეთია სწორედ ახალი გამომძიებელი ხელაძე.

უსამართლობით შეძრული ზაზა საყვედურით მიმართავს მზეს – სამართლიანობის დამადგენელს: „ან შემოდი და დარჩი, ან სულ ნუ შემოხვალ და საერთოდ ნუ გამოჩნდები... შემიცოდე მზეო!... მხოლოდ შენ ერთს შეგიძლია, გაალო ციხის ცხრავე კარი... გემუდარები... ნუ დამტოვებ, ნამიყვანე მზეო!“

მხოლოდ მზით სავსე პიროვნებას შეუძლია მზესთან მეგობრობა. „თეთრი ბაიარალების“ გმირი ზაზა ნაკაშიძე მზის წილია. ამიტომაც ხშირად სტუმრობს მას თავისი მნათობი: „ღამით მე ისევ მზე მეახლა... და თავისკენ მიმიზიდა... თეთრი ბაიარალი მომანოდა... მე ვავშალე ბაიარალი, მაღლა ავნიე და ავხედე: ქვეყნიერების თავზე თეთრი ბაიარალი ფრიალებდა, როგორც სიკეთის, სათნოების და სიყვარულის სიმბოლო“.

ოცნების სამეფოში ზაზა ნაკაშიძე მზეს მიჰყავს და ეს გარკვეულ კანონზომიერებას ექვემდებარება: „მსგავსი მსგავსს მიელტვის“.

ნ. დუმბაძისთვის უცხო არ არის სიტყვისა და მოვლენის სიმბოლოს ხარისხში აყვანა. ამის ნიმუშია ნანარმოების სათაური „მზიანი ღამე“.

„თავისებურია ნ. დუმბაძის რომანის სათაური „მზიანი ღამე“. აქ ჯერ გასარკვევია ტერმინის აზრი, მერე კი ასახსნელია, თუ რატომ უწოდა თავის რომანს ასე“.

ტერმინი „მზიანი ღამე“ რთული სიმბოლოა. იგი არც მზის ცნების გამომხატველია და არც ღამისა. ამ სიტყვათა შეკავშირება გვაძლევს ახალ ცნებას, რომელიც არც დღეა და არც ღამე. ამ ტერმინის შესახებ იმდენი დანერვილა და თქმულა, ახალს ვერაფერს ვიტყვით. „მზიანი ღამე“ გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“.

„იტყვის: „ჰე, მზეო, ვინ ხატად ვთქვეს მზიანისა დამისად,

ერთარსებისა ერთისა, მას უჟამოსა ჟამისად...“

პოემაში ნახმარი „მზიანი ღამე“ სპეციალისტთა მიერ სხვადასხვაგვარადაა ახსნილი... თეიმურაზ ბაგრატიონი „მზიან ღამეს“ ქრისტიანული თეოლოგიის საფუძველზე ხსნიდა: „ღმერთი არის მზე დაუბადებელი და უნივთო ნათელი, ხატი და სახე არს მზიანის ღამისად, ე. ი. განმანათლებელ არს ღამისა, ე. ი. ღამე უმეტრებას ნიშნავს და მზე ნათელსა ცნობისასა“.

შ. ხიდაშელმა „მზიანი ღამის“ კვლევა დაუკავშირა „უჟამო ჟამის“ საკითხს.

„უჟამო ჟამის“ საკითხი უკავშირდება ქრისტეს ორ ბუნებას – ღვთაებრივსა და ადამიანებს. უჟამოა, ჟამზე ადრეა შობილი მამისგან და თავად შემოქმედი, მაგარმ ამასთანავე ქვეყნის შემოქმედი ჟამში განხორციელდა. მის მიერვე შექმნილ სამყაროში განსხეულდა და ჟამში მოექცა“.

გოლგოთის მისტერიამდე ეზოტერული ტრადიცია მზეს მიიჩნევდა კოსმიური ლოგოსის ხატად. გოლგოთის მისტერიის შემდეგ კი აღმოსავლურმა ეზოტერულმა ტრადიციამ ისტორიული ლოგოსის, ქრისტეს ხატად აღიარა.

ღამით მზის ხილვა იყო სულიერი გამოცხადების ერთ-ერთი ეტაპი. „შუალამის მზის ხილვას არაფერი ჰქონდა საერთო ფიზიკური თვალთ ხილვასთან. ეს იყო აპოკალიპსური ცნობიერების ერთ-ერთი ეტაპი, ზეგრძნობადი განცდა, რომლის აღწერაც ძალზე რთულია, რადგან გამოცხადების შედეგად შემეცნებული არ შეიძლება გამოიხატოს არავითარი ადამიანური ენით. ადამიანმა უნდა მიმართოს უფრო სრულყოფილ და ამაღლებულ სიმბოლოებს“.

არსებობს ღამის მზე, შუალამის მზე, რომლის ხილვა მხოლოდ უმაღლესი განცდითა და გონებრივი თვალის დაჭიმვით, მისტიურად შეიძლება.

„მზიანი ღამის“ მისტერიები ხდებოდა ზამთარში, როცა უმოკლესი დღეები დგას. ინიციაციისთვის მომზადებული მისტები თავის სულიერ ძალებს მზისკენ მიმართავდნენ. ეს ხდებოდა დააძხლოებით ქრისტეუმობის დღესასწაულობის პერიოდში. ნათელხილვის გზით ხდებოდა მზის სულიერი არსის, მზიური ლოგოსის წვდომა“.

რუსთველის მიხედვით, მზე არის ხატი „მზიანისა ღამისა“ – ქრისტესი, მზე არის ხატი „ერთარსებისა ერთისა“ – წმინდა სამებისა და, ამდენად, ქრისტესიც, მზე არის ხატი „უჟამისა ჟამისა“ – ქრისტესი.

„დიონისე არეოპაგელის მიხედვით ღმერთი არის ჩვენთვის უხილავი, უცნობი და მიუწვდომელი ნათელი. იგი ჩვენთვის არის ღამე, რადგან მისი მზერა შეუძლებელია. ეს წყვილია ღამე ბრწყინავს უდიდესი ნათელით, რომელიც ისე კაშკაშებს, რომ თვალს გვჭირის და ვერ ვხედავთ. ეს წყვილია უფრო მანათობელია, ვიდრე ნათელი. ამიტომ ვრწმუნდებით, რომ ეს ყოველი ცნობის მიღმაა. აი, ეს არის მზიანი ღამე, ხოლო ხილული მზე მისი ხატია... არეოპაგელის ახსნით, მზიანი ღამე არის ღმერთი, რომლის ხილვაც

შეუძლებელია ზებუნებრივი სიკაშკაშის გამო“.

მზე საქრისტიანო მწერლობაში რომ ითვლებოდა ღვთის ხატად, ეს ნაჩვენებია აქვს მრავალ ავტორს. ბიბლიაზე, ჰიმნოგრაფიასა და გურამიშვილს პოეზიაზე დაყრდნობით კ. კეკელიძე დაასკვნის, რომ „ღვთაების სინათლედ, მზედ აღიარება და წარმოდგენა შაბლონური მეტაფორაა ქრისტიანობაში“.

დღეს სადავო არაა, რომ ქრისტიანობაში მზე ხატია ღვთისა. შუალამის მზე გვხვდება უახლოესი დროის მწერლობაშიც. განსაკუთრებით კი სიმ-



ბოლისტებთან.

ანდრეი ბელი შუალამის მზეს ახსენებს დამასკოს გზაზე პავლეს მოქცევისა და საიდუმლო სერობის გვერდით.

უოტ უიტმენი წერს: „ჩემში განფენილი შუალამის მზე ამოდის ჰორიზონტზე და ისევ ჩადის“.

სიკეთის მზესთან იყო შეფიცული გალაკტიონი და „ცეცხლოვანი აზარფეშებით“ სვამდა მზის სადღეგრძელოს.

მზე გალაკტიონისთვის შთაგონების წყაროა, პოეტური შეგრძნება, სითბო და სინათლე. ეს კარგად ჩანს როგორც მისივე შემოქმედებიდან, ისე ნ. დუმბაძის „მზიანი ღამიდან“. „ინტურისტის“ ბაღში თემურ ბარამიძე და მისი მეგობარი გურამი შეხვდებიან და გაეცნობიან გალაკტიონს: „აღტაცებულები და დაბნეულები უადგილო კითხვებსაც აძლევენ... გურამის კითხვაზე, როგორ წერთ ლექსებს ბატონო გალაკტიონო, იგი უპასუხებს:

„მე ზღვა მიყვარს ძალიან. ზღვა და მზე... ყოველ ზაფხულს ჩავდივარ სოხუმში, ამოვთხრი დიდ ორმოს სილაში, ... ჩავიმარხები კისრამდე. მერე ვიზამ პირს მზისკენ და ვხუჭავ თვალებს... ჯერ ბნელა, მერე ჩნდება რგოლები, ნითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, მერე ნათდება... და მზე ჩამოდის თვალეში, დიდი, უდიდესი ნათელი მზე... მზე ყველაფერში ატანს, სამარეში ატანს მზე, მერე ციდან ეშვება თეთრი ანგელოსი, ღამაზი, თეთრი ანგელოსი, ეშვება ჩემს ყურთან და მკარანახობს ლექსებს“.

(გარძელება შემდეგ ნომერში)

მეთოდური კიეხანი

გურამ თაყნიაშვილი

ბიბლიოთეკის მუშაობის ხარისხის უარყოფითი მაჩვენებლები

ნებისმიერი ტიპისა და უწყების ბიბლიოთეკა, როგორც კულტურულ-საგანმანათლებლო, აღმზრდელი და საინფორმაციო დაწესებულება, პერიოდულად უნდა აანალიზებდეს ჩატარებული მუშაობის შედეგებს, ცალკეულ საბიბლიოთეკო პროცესებისა და ციკლების მიმდინარეობის სისწორეს, რათა გამოავლინოს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებები და დასახოს მათი დაძლევის გზები და საშუალებები. სწორი მენეჯმენტის პირობებში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი არ უნდა დაკმაყოფილდეს მიღწეული შედეგებით, იმ დადებითი რაოდენობით მაჩვენებლებით, რომლებიც ახასიათებს ბიბლიოთეკის მუშაობას; ბიბლიოთეკა საზოგადოებრივი ცხოვრების ცოცხალი უჯრედი; მისი საქმიანობა ხასიათდება დინამიური ცვალებადობით, რომლის შინაარსს შეადგენს წიგნისა და კითხვისადმი საზოგადოების ინტერესის მაქსიმალურად გათვალისწინება. ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააანალიზოს, რომელი გარემო ფაქტორები განაპირობებენ ბიბლიოთეკის უარყოფითი საბიბლიოთეკო მაჩვენებლების ზრდას; საერთოდ, გარემო ფაქტორებს განეკუთვნება: ბიბლიოთეკის დაფინანსება, ადგილობრივ ხელისუფლებასთან და ბიბლიოთეკის დამფუძნებლებთან ურთიერთობა, ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საკადრო პოლიტიკის წარმართვა და ა. შ. ბიბლიოთეკის მუშაობაზე გარემო ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენის შემცირების მიზნით, ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი არ უნდა კმაყოფილდებოდეს მხოლოდ ოფიციალური მასალებით. დიდი მნიშვნელობა აქვს ტაქტიკის და გააზრებულ ურთიერთობას, პირად კონტაქტებს. გამოცდილი მენეჯერი უნდა იყოს აღჭურვილი მკითხველი საზოგადოების საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნების გააზრებული ცოდნით. საბიბლიოთეკო პრაქტიკაში გვექნება მაგალითი, როდესაც ბიბლიოთეკა არ დახურეს საზოგადოების აქტიური პროტესტის შედეგად. დახურული ბიბლიოთეკების რაოდენობა პირდაპირ აისახება მოსახლეობის საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მომსახურების დონეზე. ბიბლიოთეკის დაფინანსების წილი პირდაპირ ზეგავლენას ახდენს ბიბლიოთეკის სოციალურ მდგომარეობაზე, დაკომპლექტების ხარისხზე, რაც საბოლოო ჯამში არსებით ზეგავლენას ახდენს მკითხველებთან მუშაობაზე. ამ მიმართულებით ერთ-ერთი ძირითადი უარყოფითი მაჩვენებელია მოსახლეობის საბიბლიოთეკო კითხვაში ჩაბმის დაბალი პროცენტი, რომელიც გამოიანგარიშება მოსახლეობის ოდენობასა და ბიბლიოთეკის მკითხველთა რაოდენობის პროცენტის შესაბამისობით.

იმ ბიბლიოთეკებმა, რომელთაც წინასწარ იციან მომსახურების ზონაში მცხოვრებთა ან უწყებაში დასაქმებულთა რაოდენობა უნდა თავიდანვე იზრუნონ, ჩაბმის პროცენტი გაზარდონ, მოსახლეობის კითხვაში ჩაბმის დაბალი მაჩვენებელი საჯარო ბიბლიოთეკებში რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. ერთი, და მთავარი ფაქტორთაგანია, საბიბლიოთეკო ფონდების განახლების დაბალი მაჩვენებელი. ქართულ საბიბლიოთეკო პრაქტიკაში კითხვა დონისა და ჩაბმის დაბალი მაჩვენებელი

ნათლად მეტყველებს შესაბამისი ტიპის ბიბლიოთეკებში ფონდების დაკომპლექტების არასწორ პოლიტიკაზე. ეს ფაქტორი ბევრწილად ნაკლებად არის დამოკიდებული თვით ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობაზე. თანამედროვე პირობებში ბიბლიოთეკები აწარმოებენ მიზნობრივ დაკომპლექტებას, რაც ადრე ნაკლებად ხდებოდა.

ბიბლიოთეკებში ერთ-ერთი ყველაზე არსებითი ხასიათის უარყოფითი მაჩვენებელია უარების სიმრავლე. ეს მაჩვენებელი პირდაპირ მიუთითებს არსებულ ხარვეზებზე, საცნობარო აპარატის ორგანიზების დაბალ დონეზე. უარების ზრდა შეიძლება გამომწვეული იყოს ე. წ. პასიური, ნაკლებგამოყენებული საბიბლიოთეკო დოკუმენტების რაოდენობით; ეს მომენტი თავისთავად დაბლა სწევს ფონდების ბრუნვის მაჩვენებელს. ბრუნვის კოეფიციენტი საჯარო ბიბლიოთეკებში აღწევს ორს, ერთნახევარს; ერთი წიგნის საშუალო წლიური ბრუნვადობის მაჩვენებელიც მიუთითებს დაკომპლექტების ხარისხზე; საჯარო ბიბლიოთეკებში ეს ციფრი შედარებით აპრობირებული და პრაქტიკით დადასტურებული მაჩვენებელია, რაც თავისთავად მიუთითებს საჯარო ბიბლიოთეკებში ფონდების დინამიკის ხასიათზე. დაკომპლექტების პოლიტიკა ოდითგანვე ემყარებოდა ერთ წესს, რომელიც ჩამოყალიბდა როგორც სახელმძღვანელო და როგორც აქსიომა – რაც უფრო დიდი განსხვავება საბიბლიოთეკო დოკუმენტების შინაარსსა და მკითხველთა საბიბლიოთეკო მოთხოვნებს შორის, მით უფრო დაბალია კითხვადობაც და ბრუნვის მაჩვენებელიც. თანამედროვე ეტაპზე არც ერთ ბიბლიოთეკას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარი საბიბლიოთეკო რესურსებით დააკმაყოფილოს მკითხველთა გაზრდილ საბიბლიოთეკო და საინფორმაციო მოთხოვნები. საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების წარმატებით გამოყენება ხელსაყრელ პირობებს ქმნის ფონდების ურთიერთგამოყენებისათვის. ეს პროცესი, ერთი მხრივ, ამცირებს უარების რაოდენობას და მეორე მხრივ, ბიბლიოთეკას საშუალებას აძლევს, იზრუნოს დაკომპლექტების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ფონდების განახლების დაბალი მაჩვენებელია ერთ-ერთი უარყოფითი ხარისხობრივი მაჩვენებლის ნებისმიერი ტიპის ბიბლიოთეკისათვის. უარების რაოდენობის ზრდაზე პირდაპირ ზეგავლენას ახდენს გაცემული საბიბლიოთეკო დოკუმენტების დაგვიანება, ზოგი, საერთოდ, არც კი ბრუნდება დაგვიანებით დაბრუნება, დაკარგვა, მითვისება, დაზიანება, რაც მკითხველთან მუშაობაში დღენიდაგ ვლინდება, უარყოფითად აისახება კითხვადობაზე, ფონდების ბრუნვაზე და ისეთ პროცესებზე, რომლებიც ნიშანდობლივად იწვევს მკითხველთა სამართლიან უკმაყოფილებას.

ბიბლიოთეკის მუშაობაში განსაკუთრებით საყურადღებოა ისეთი მაჩვენებელი, როგორიცაა მკითხველთა წიგნით უზრუნველყოფის კოეფიციენტი. ფონდების საერთო რაოდენობის გაყოფით მკითხველთა რაოდენობაზე მიღებული მაჩვენებელი მაინც შეფარდებითი ამიტომაც შეიძლება უზრუნველყოფის კოეფიციენტი მაღალი იყოს, მაგრამ მან არსებითად ვერ იმოქმედოს

კითხვადობის დონის ამაღლებაზე, თუკი ერთი მკითხველზე არსებული დოკუმენტების რაოდენობა ანუ უზრუნველყოფის კოეფიციენტი თავისი შინაარსით ნაკლებად შეესაბამება მკითხველთა საკითხზე ინტერესს. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ წიგნით უზრუნველყოფაში მთავარია არა რაოდენობითი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებელი. ფონდების ხელოვნური, მექანიკური ზრდა ანუ დაკომპლექტება არაპროფილური გამოცემებით არსებითად დააშორებს მის შინაარსს მკითხველთა ყოველდღიური მოთხოვნილებებთან, რაც საბოლოოდ მკითხველთა უკმაყოფილებას იწვევს.

ფონდების ბრუნვისა და კითხვადობის უარყოფითი ხარისხობრივი მაჩვენებელი შეიძლება გამოიწვიოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების არასწორმა, სტანდარტების შეუსაბამო ასახვამ ბიბლიოთეკის საცნობარო აპარატში. თუ საბიბლიოთეკო დოკუმენტი თავისი სახელწოდებითა და შინაარსით მხოლოდ ერთხელ არის ასახული კატალოგებში, ეს, იმას ნიშნავს, რომ დოკუმენტი არ არის ჯეროვნად შესწავლილი, დოკუმენტის მრავალმხრივი ასახვა ბევრწილად ამცირებს უარების რაოდენობას. მკითხველი წიგნს თუ სხვა მასალას ეძებს კატალოგების საშუალებით, ბიბლიოთეკების დიდი ნაწილი სათანადოდ ყურადღებას არ აქცევს კრებულების, მრავალტომეული და სერიული გამოცემების შინაარსის გახსნას. ეს იწვევს მკითხველისათვის ამ მასალის მიუწვდომლობას. დოკუმენტების მრავალმხრივი ასახვა შესაძლებელია როგორც ტრადიციულ, ასევე ელექტრონულ კატალოგში. საჭიროა მისი დამუშავება აღწერილობისა და სისტემატიზაციის პრინციპების თანმიმდევრული დაცვით. ასეთ საკითხებზე იმიტომ ვამახვილებთ ყურადღებას, რომ მას პირდაპირი კავშირი აქვს მკითხველთა მომსახურების ხარისხობრივ მაჩვენებლებთან: სამეცნიერო, სასწავლო-სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკებში წარმოებული საცნობარო – ბიბლიოგრაფიული მუშაობა ხასიათდება ორი სახის ნაკლოვანებით – პირველი, ეს შეიძლება იყოს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ნაკლებობა, ფონდების ერთფეროვნება და, მეორე – ბიბლიოგრაფის დაბალი კვალიფიკაცია. იმ ბიბლიოთეკებში, სადაც აკადემიურ დონეზეა ორგანიზებული საცნობარო-ბიბლიოგრაფიული აპარატი, არის შესაფერისი შინაარსის ფონდი და გამოცდილი ბიბლიოგრაფი, ნაკლებია თემატური უარები. პრაქტიკაში ვხვდებით მაგალითებს, როდესაც ამა თუ იმ საკითხებზე წერილობითი ბიბლიოგრაფიული ცნობის გაცემა შეიძლებოდა საკუთარი საბიბლიოთეკო რესურსებით, მაგრამ ბიბლიოგრაფმა ვერ შეძლო მიგნება იმ პირველწყაროებისა, რომლებიც მის ბიბლიოთეკაშია დაცული. გამოცდილი ბიბლიოთეკარები წარმატებით იყენებენ მეორადი ინფორმაციის წყაროებს – ცნობარებს; ენციკლოპედიებს, ინტერნეტის საშუალებით ეძებენ შესაბამის ინფორმაციას სხვა ბიბლიოთეკებში და ა. შ. დღეს, როდესაც საჯარო ბიბლიოთეკა მიჩნეულია როგორც ღია სარკმელი ინფორმაციის უკიდვრად სივრცეში, მკითხველის ყოველი კონკრეტული, დაზუსტებული თუ დაუზუსტებელი მოთხოვნა საჭიროებს ოპერატიულ და სრულყოფილ პასუხს; ამ პროცესში გადამწყვეტ როლს თამაშობს ბიბლიოთეკარის პროფესიული კვალიფიკაციის დონე. ბიბლიოთეკის მუშაობაში არსებული ყველა უარყოფითი მაჩვენებელი არ არის განპირობებული მხოლოდ გარეემე ფაქტორებით. უარების დიდი ნაწილი მოდის ფონდების მართვის არასწორ მენეჯმენტზე, საბიბლიოთეკო

რესურსების შესაძლებლობების უცოდინრობაზე.

წიგნის გზა დაკომპლექტებიდან საცავამდე გადის გარკვეულ პროცესებს. მისი დამუშავების ხარისხზე დიდად არის დამოკიდებული ბიბლიოთეკის მთავარი ამოცანის – მკითხველთა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, რითაც საბოლოო ჯამში განიზომება ნებისმიერი ბიბლიოთეკის მუშაობა. ბიბლიოთეკარის დამოკიდებულება მკითხველზე დადებითად მოქმედებს, განსაკუთრებით ბავშვთა და მოზარდთა კატეგორიის პიროვნებებთან, თუ უტაქტოდ, მბრძანებლურად მოემსახურებიან მათ, ეს მხოლოდ აზიანებს ბიბლიოთეკის ავტორიტეტს, ლახავს ბიბლიოთეკარის პროფესიულ ღირსებას. მომენტი შეიძლება ვერ გამოიხატოს უერთგოთარი შეფარდებითი მაჩვენებლით, მაგრამ იგი ერთდროულად უარყოფითად აისახება მკითხველთან ურთიერთობაში. ბიბლიოთეკაში შემოსულ მკითხველებს, პირველად განსაკუთრებით კეთილად განაწყობს ბიბლიოთეკარის დახვედრა. ბიბლიოთეკარმა საუბარი უნდა წარმართოს ბუნებრივი ტონით, პედაგოგიური ტაქტით; მკითხველს შეიძლება ვერ გავატანოთ საჭირო წიგნი, მაგრამ იგი მაინც კმაყოფილი დარჩეს ბიბლიოთეკაში შექმნილი ატმოსფეროთი. ბიბლიოთეკის დაბალი აქტიურობა და საზოგადოებასთან პასიური დამოკიდებულება უნებლედ ზრდის უარყოფითი მაჩვენებლებს. თავის თავში ჩაკეტილი ბიბლიოთეკარი, რომელიც პასიურად ელოდება მკითხველს, ვერ აღწევს ვერავითარ წარმატებას. აქ გადამწყვეტ სიტყვას ამბობს ბიბლიოთეკარ-მენეჯერის ბრძოლისუნარიანობა, ტაქტი, პროფესიონალიზმი, თანამშრომლებთან ურთიერთობის ხელოვნება.

ბიბლიოთეკაში ჩატარებული მასობრივი ღონისძიებების ესა თუ ის ფორმა, თუ იგი კარგადაა ორგანიზებული და შეესაბამება დამსწრეთა ინტერესს, მკვეთრად ზრდის მკითხველთა რაოდენობას. ღონისძიება ოდითგანვე ნაცადი და აპრობირებული მეთოდია საზოგადოებასთან ურთიერთობისა, ღონისძიების ყოველი ფორმა წარმატებულია, თუ მას მოყვა გარკვეული ეფექტი, რაც არ შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ რაოდენობითი მაჩვენებლებით.

აქ მითითებული და თუნდაც ზედმეტად გაანალიზებული ხარისხობრივი უარყოფითი მაჩვენებლები დამახასიათებელია ნებისმიერი ბიბლიოთეკისათვის. ბიბლიოთეკა ყოველგვარი საშუალებით უნდა ეცადოს მათ შემცირებაში. ამ მიმართულებით მთავარია ადამიანური რესურსების ამოქმედება, პროფესიონალიზმი, საზოგადოებასთან ცოცხალი ურთიერთობა. ის, რომ დღეს ჩვენს ქვეყანაში დაბალია კითხვადობისა და წიგნიერების დონე, ბევრწილად განპირობებულია საბიბლიოთეკო ქსელის ორგანიზაციის დაბალი დონით. აქ ორი მხარეა მხედველობაში მისაღები: – პირველი – ბიბლიოთეკარების მცდელობითა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერით შენარჩუნებული ბიბლიოთეკების კიდევ უფრო განვითარება, მათი აღჭურვა თანამედროვე ტექნოლოგიებით და მეორე – ბიბლიოთეკა-ფილიალების აღდგენა იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც ამჟამად მხოლოდ ცენტრალური და თითო-ოროლა ფილიალია შენარჩუნებული. საჯარო ბიბლიოთეკებისათვის დამახასიათებელი ეს ნაკლოვანება უარყოფითად აისახება მოსახლეობის საბიბლიოთეკო მომსახურების ხარისხზე. ბიბლიოთეკებში მუშაობის უარყოფითად მახასიათებელ მაჩვენებლების ანალიზი ნათლად მიუთითებს ქვეყანის საბიბლიოთეკო პოლიტიკაში არსებულ ხარვეზებზე.

ღირსეული მამულიშვილები

ზინა ტომონია

მელიტონ კელენჯერიძე - 150

„კულტურა და პროგრესი შამია წარსულ – აწმყო-მომავლისა“


„წარსული პირუტყვისათვის არაა საჭირო! ადამიანისათვის კი წარსული ნიადაგია, აწმყო-ჰაერი და მომავალი!...“ ეს ამონარიდია 60-იანელთა ღირსეული წარმომადგენლის მელიტონ კელენჯერიძის ნაშრომიდან. მას გულის ფიცარზე ეწერა ილიასეული მცნება – „მამული, ენა, სარწმუნოება“ და ამ მცნების რეალიზაციისათვის მთელი სიცოცხლის მანძილზე გულმოდგინედ იღვანა.

მელიტონ კელენჯერიძე 1864 წლის 5 თებერვალს დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ტაბაკონში განათლებული დიაკვნის ოჯახში და, არაა გასაკვირი, რომ იგი მამის გზას გაჰყვა. დაწყებითი განათლება დეიდების ოჯახში მიიღო, შემდეგ ქუთაისში ვასილ პეტრიაშვილის სკოლაში მიაბარეს. ეს სკოლა შემდგომში სასულიერო სასწავლებელს შეუერთეს, რომელიც წარჩინებით დაამთავრა, 1890 წლიდან კი კიევის სასულიერო აკადემიის მსმენელი გახდა. მელიტონ კელენჯერიძემ, როგორც წინგნის მოყვარულმა და განათლებულმა პიროვნებამ,

ფოლკლორულ ნიმუშებს. 1915 წელს „ტონკმელის“ ფსევდონიმით ცალკე კრებულად გამოსცა ზღაპრები, აფორიზმები და გამოცანები. მელიტონ კელენჯერიძე არ იფარგლებოდა მხოლოდ მოსწავლეების მიერ შეგროვებული კორესპონდენციებით. იგი თავად აგროვებდა ქართული ხალხური ფოლკლორის იშვიათ ნიმუშებს რაჭველ მესტიერებთან და მოხეტიალე მუსიკოს ილიკო ქურხულთან ერთად. ამ პერიოდში მოძიებული მასალიდან ლექსი „ხორველა“ პეტრე უმიკაშვილის ხალხური სიტყვიერების პირველ ტომში შევიდა.

„სახალხო პოეზია არის ერის ნაციონალური მისწრაფება, მისი ერვონული მეობის დამამტკიცებელი საბუთი“. „ენა არის სული და მისი სული არის მისი ენა“. აღნიშნული ფრაზები მხოლოდ მცირე ამონარიდებია მელიტონ კელენჯერის ნაშრომებიდან, რომელთაც ღრმა კვალი ამჩნევია წიგნიერებისა და მშობლიური ქვეყნის სიყვარულისა. განსაკუთრებით ეს იგრძნობა მის ნაშრომში „სახალხო პოეზია და მისი საპედაგოგო, საესთეტიკო და სამეცნიერო მნიშვნელობა“.

მელიტონ კელენჯერიძე სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად სასულიერო პირიც იყო, რაც მის შემოქმედებით მოღვაწეობაზეც აისახა. ამ ხასიათის ნაშრომებიდან აღსანიშნავია „ქართული საკათალიკოსო ეკლესიის მოკლე ისტორია“, რომლის წინასიტყვაობაში იგი წერდა: „ქართული ერის სახელი მსოფლიო ისტორიაში მსხვილი ასოებით ჩანერა, მაღალკულტუროსან ასურეთს, არაბეთსა და ბიზანტიას გვერდში ამოუყენა და მსოფლიო ერების კულტურისაგან დაფასებული უნდა იყოსო“. აღნიშნული ნაშრომის გარდა მელიტონ კელენჯერიძემ რუსულ ენაზე გამოსცა მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ნაშრომი „სიმაართლე ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაზე“, რომელიც



აკადემიაში ქართული წიგნსაცავი შექმნა, გამოიწერა გაზეთი „ივერია“ და მის შინაარსს სტუდენტებს აცნობდა, აქვე კითხულობდა ლექციებს საქართველოს ისტორიისა და ზეპირსიტყვიერების შესახებ. კიევშივე დაასრულა საინტერესო ნაშრომი „საქართველოს ეკლესიის ისტორია მე-18 საუკუნეში“. ამავე თემაზე დაიცვა დისერტაცია და მოიპოვა ღვთისმეტყველების კანდიდატის ხარისხი. სამშობლოში დაბრუნებული, ქუთაისსა და ფოთში მასწავლებლობდა.

მეტად საინტერესოა მელიტონ კელენჯერიძის მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების სფეროში: ქუთაისში და ფოთში მასწავლებლობის უამს კრებდა და აქვეყნებდა

დღემდე არ არის თარგმნილი. მელიტონ კელენჯერიძის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სხვა მრავალ ნაშრომს მოიცავს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თუმცა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ მისი უაღრესად მნიშვნელოვანი ნაღვანი „გაბრიელი – ეპისკოპოსი იმერეთისა“, რომელიც საკმარისი იქნებოდა მისი მოღვაწეობის უკვდავსაყოფად.

ბოლშევიკები არ წყალობდნენ პატრიოტებს. მელიტონ კელენჯერიძე თითქმის უსახსროდ დატოვეს და იგი, როგორც ანაფორიანი, საპენსიო სიდიდანაც კი ამოიღეს, მასწავლებლობიდან გაანთავისუფლეს და მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი – მეუღლე და ექვსი შვილი საშიმ-



მილოდ გაიმეტეს. იგი მთარგობას წერილობით თხოვდა პენსიონერთა სიაში მოხვედრას, რომ ამით ერთადერთი იმედი შემოსავლისა არ მოშლოდა, მაგრამ უშედეგოდ – მისი დამსახურება და ღვაწლი ქართული ერისა და ეკლესიის წინაშე ღირსეულად ამ დრომდე არ დაფასებულა. ცხრა წლის განმავლობაში ლოგინსმიჯაჭვეული, მიძიმედ დაავადებული მელიტონ კელენჯერიძე 1942 წლის 12 აგვისტოს აღესრულა.

მისი ღვაწლის შესაფასებლად საკმარისია სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქის ილია II-ის სიტყვები მოვიშველიოთ: „ჩვენმა სამღვდლოებამ წმიდა ილია მართალთან და სხვა დიდ მამულიშვილებთან ერთად უდიდესი ღვაწლი გასწია ქართული ენის, ქართული კულტურის პრაქტიკულად ყველა დარგის გადასარჩენად. ამ პირთა შორის გამორჩეული ადგილი უკავია დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეს, რომელმაც თამამად შეიძლება ითქვას, სიცოცხლე შესწირა ქართული ერის სულიერებისათვის ზრუნვას და თაობებისათვის დარჩა ვითარცა მაგალითი მწყემსი კეთილისა და სოფლის მნათობისა“.

მიმდინარე წელს მელიტონ კელენჯერიძეს დაბადებიდან 150 წელი შეუსრულდა. მისაბაძია ის ფაქტი, რომ ქართულმა საზოგადოებამ ამ თარიღს დიდი ყურადღება დაუთმო. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულმა უნივერსიტეტმა საიუბილეო საღამო გამართა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა აღნიშნული უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. დეკანოზ მელიტონ კელენჯერიძეზე ისაუბრა მეუფე თადეოზმა (მირიან იორამაშვილი). მისი სულის საოხი პანაშვიდი აღასრულა წმიდა მკურნალ პანტელეიმონის ტაძრის დეკანოზმა დავით შენგელიამ. მისი ნაშრომების მიმოხილვა და მეცნიერული ანალიზი დამსწრეთ წარუდგინა ზემოთ აღნიშნული უნივერსიტეტის ახალგაზრდა პროფესორმა თამარ ფხალაძემ. მელიტონ კელენჯერიძის ღვაწლსა და დამსახურებაზე ილაპარაკეს პროფესორებმა ელდარ ბუბულაშვილმა და ლევან ფრუიძემ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერ-



სიტეტის პროფესორმა მაია ახვლედიანმა, ჟურნალისტმა ოთარ ციციშვილმა – ფანასკერტელმა.

დამსწრეთა დიდი ინტერესი გამოიწვია მელიტონ კელენჯერიძის მელიტონის, თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის „საგულისონის“ ხელმძღვანელის ქალბატონ ცისანა ქოჩიჩაშვილის მოგონებებმა.

აღნიშნული წერილი გვინდა დავამთავროთ მელიტონ კელენჯერიძის სიტყვებით: „თუ ხალხს დაეკარგა ეროვნული შემეცნება, რომელიც არის პირველი ფაქტორი ერის გალძიერებისა და თვითარსებობისა, რომელზეც არის აგებული ყოველის ერის სიცოცხლე, თუ ეს ყოველივე გამოქარდა ხალხის გონებიდან, მაშინ ვერაფერი ვერ დაიჭერს ქვეყანას და ცემისაგან, გათახსიერებისაგან. ეს დაცემა იქნება უკანასკნელი, დიდი, სამუდამო; იქნება ძილი გაუღვიძებელი... თუ ხალხმა ვერ წარმოიდგინა თავისი იდეალები, გმირები, პრინციპები დაივიწყა, თუ წარსული ვეღარ წარმოიდგინა, ვეღარ გაიხსენა, იგი სრულიად მოკვდება, გაქრება...“

რუსუდან ნაქაძე

რეფიქსი ერისთავი - 190

დიდი მამულიშვილის ღვაწლი

რაფიელ ერისთავი 1824 წლის 21 აპრილს ქართლში – სოფელ ქისტაურში დაიბადა.

პოეტის წინაპრები არაგვის ერისთავები იყვნენ. ქვეყნის ერთგული სამსახურისათვის ერეკლე მეორეს მათთვის საცხოვრებლად სოფელი ქისტაური უბოძებია. პოეტის მამა – დავითი და დედა ნინო ამილახვარი, მნივნილოვანი ტრადიციებზე აღზრდილი პიროვნებები ყოფილან და მდიდარი ბიბლიოთეკაც ჰქონიათ.

რაფიელს ბავშვობა სოფელში გაუტარებია. აქვე შეასწავლა წერა-კითხვა დედამ. რუსული ენის შესასწავლად კი მასწავლებელი დაუქირავეს. 7 წლის რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში მიაბარეს, თუმცა აქ გამეფებულმა სასტიკმა რეჟიმმა მამამისი აიძულა, შვილი სასწავლებლიდან გამოეყვანა.

შემდეგში მომავალი პოეტი შუამთის მონასტრის წინამძღვარს – ფილადელფოს კიკნაძეს დაუმონაფეს, რომელიც მოგვიანებით (1832) შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დააპატიმრეს. 1833 წლიდან რაფიელი

გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა. 3 წლის შემდეგ კი თბილისში გადავიდა საცხოვრებლად; 1844 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის კლასიკური გიმნაზია. გიმნაზიის დასრულების შემდეგ მომავალი პოეტი თარჯიმნად მოეწყო თუშ-ფშავ-ხევსურეთში, მოგვიანებით კი კავკასიის მთავარი სამმართველოს კანცელარიაში დაიწყო მუშაობა. 1951 წელს კი ამავე დაწესებულებაში მაგიდის უფროსის თანამდებობა მიიღო.

1852 წელს ჟურნალ „ცისკარში“ პირველად გამოჩნდა რაფიელ ერისთავის ლექსები. პოეტი აქტიურად თანამშრომლობდა ჟურნალ „კავკაზთან“ – ბექდავდა მიმოხილვებს, ეთნოგრაფიულ-ისტორიულ, მხატვრულ ნარკვევებს.

1853 წელს რაფიელი ქუთაისში განსაკუთრებულ დავალებათა უფროსის მოხელედ დაინიშნა. 1857 წლიდან 1867 წლამდე ზუგდიდში მაზრის უფროსის თანამდებობა ეჭირა. სწორედ ამ დროს შექმნა სტატიების

ციკლი „წერილები იმერეთიდან“, რომელიც ხალხის მძიმე სოციალურ ყოფას ეხებოდა.

ორმოცდაათიანი წლებიდან რ. ერისთავი თანამშრომლობდა რუსულ პრესასთანაც. მან აღმანახ „ზურნაში“ გამოაქვეყნა მოთხრობები: „ბეჩავი“, „ნინო“.

1862 წელს რ. ერისთავი დაქორწინდა თავად დავით ერისთავის ასულ თეოდოსიაზე.

ამ პერიოდს ეკუთვნის მისი გამოკვლევა „ბატონყმობა სამეგრელოში“.

1867 წლიდან რ. ერისთავი კვლავ ქუთაისში გადაიყვანეს, ამჯერად გუბერნიის სამმართველოს განყოფილების უფროსის თანამდებობაზე. 1871 წელს პოეტი თბილისში გადმოდის და ვექილად იწყებს მუშაობას. 1884 წელს დრამატული საზოგადოების თავმჯდომარედ აირჩიეს. ილია ჭავჭავაძემ სწორედ რაფიელ ერისთავს და აკაკი წერეთელს ანდო ქართული თეატრის განახლება და დასის შეკრება.

რ. ერისთავმა დიდი ამაგი დასდო ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშთა შეკრებისა და გამოცემის საქმეს. 1873 წელს მან ილიასთან ერთად გამოსცა კრებული: „გლეხური სიმღერები, ლექსები და ანდაზები“.

მან ერთ-ერთმა პირველმა წამოიწყო პოეტური ზეპირსიტყვიერი ნიმუშების შეკრება და ბეჭდვა, რ. ერისთავის მიერ შეკრებილი ფოლკლორული მასალა 2-3 ტომს მაინც შეადგენს.

რ. ერისთავის ღვანღია ისიც, რომ თავის ლექსებში ბევრი „გლეხური სიტყვა“ შემოიტანა, რომელიც შემდგომ სალიტერატურო ენამ მიიღო და დაამკვიდრა.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ენათმეცნიერული მოღვაწეობის შესახებ. ილიასთან, აკაკისთან და იაკობ გოგებაშვილთან ერთად ჩამოაყალიბა ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის კონცეფცია.

რ. ერისთავის რედაქტორობით 1884 წელს პირველად გამოიცა სულხან-საბა ორბელიანის „ქართული ლექსიკონი“, რომელიც დაიბეჭდა ალექსანდრე ეპისკოპოსის ხარჯით. აგრეთვე მისივე შედგენილი ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა შესახებ.

იმ პერიოდში არ გამოსულა ჟურნალი და გაზეთი, რომელშიც რაფიელ ერისთავს თავისი ნააზრვეი არ დაებეჭდოს. პოეტმა არაერთი ლექსი და სტატია მიუძღვნა ქართული ენის, თეატრის, განათლების პრობლემებს, ქართველ მწერალთა ცხოვრებას და შემოქმედებას. მას სიყვარულით „თავად-გლეხ“ პოეტს უწოდებდნენ და დიდად აფასებდნენ თანამედროვე გენიოსები: ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი.

ერისთავი ჩინებული მთარგმნელია რუსი პოეტებისა. მაგ: - ქართულად თარგმნა პუშკინის „ძუნწი რაინდი“, ასევე ოგარიოვის, მიცკევიჩის, ლერმონტოვის, ტიუტჩევის ნაწარმოებები.



იგი აქტიურად იყო ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში. დიდა მისი წვლილი ქართული ეროვნული ბიბლიოთეკის დაარსებაში. რაფიელმა თავისი მეტად მდიდარი ბიბლიოთეკა აჩუქა ქართულ წიგნსაცავს. ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების საისტორიო და სალიტერატურო ძეგლების შეგროვებისა და შესწავლის მიზნით, რ. ერისთავმა საკითხი აღძრა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე, შეეკრიბა ოჯახებში იშვიათი გამოცემები. მან 20-ზე მეტი ოჯახის სია მიაწოდა საზოგადოებას, სადაც ძველი ხელნაწერები ეგულეობდა.

ჩვენი წერილი მიზნად არ ისხავს და ვერც შეძლებს რაფიელ ერისთავის ღვანღისა და ამაგის სრულად ასახვასა და წარმოჩენას, დაეძენთ მხოლოდ, რომ ამ ქართველი მოღვაწის გასაოცარი ნაყოფიერებით აღსავსე ცხოვრების გზა ქართული საზოგადოებრივი აზრის სრულქმნისა და მომწიფების გზაც იყო, რომელიც ეროვნული ცნობიერების გაღვიძლებას ემსახურებოდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

სილოვან ხუნდაძე. რაფიელ ერისთავი. - ქუთაისი, 1918

საერო დღესასწაული: თ. რა. ერისთავის იუბილეს გამო; - მბ., გამოცემა ექვთიმე ივანეს ძე ხელაძისა, 1899.

ქართველ მწერალთა ბიოგრაფიები /შემდგ. ოლეგ გოლიაძე და ელ. ნიჟარაძე.- თბ., „ლიტერა“, 2004.

წერილები: თ. ჯაგოდნიშვილის წინასიტყვაობით. - თბ., 1986.

რ. ერისთავი. პოემები. თბ., სახელგამი, 1936.



ბრატა ჩანტლაძე – პაქრაძე

ამერიკის საინფორმაციო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი

იდეა კვლავ ცოცხლობს

(ე. თაყაიშვილის საიუბილეოდ)

გასრულდა 2013 წელი, რომელიც იუნესკომ ექვთიმე თაყაიშვილის წლად გამოაცხადა. მაგრამ ინტერესი უდიდესი მეცნიერისა და სზოგადო მოღვაწის მიმართ არ შენელებულა, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და პერიფერიულ გაზეთებში კვლავ გრძელდება სამეცნიერო თუ პუბლიცისტური სტატიების გამოქვეყნება დიდი ექვთიმე თაყაიშვილის მეტად მძიმე, მაგრამ ძალზე საინტერესო ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. კიდევ ბევრი რამ დარჩა მოსაძიებელი და დღის სინათლეზე გამოსატანი, რაც იკრძალებოდა მისი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში მიზეზთა სხვათა და სხვათა ტაბუდადებულ თემებს აეხსნა აკრძალვის ნიშანი. ბევრი რამ შეიცვალა ჩვენს ქვეყანაში და ისევ მიუზრუნდა ქართველი ხალხი მათი სასიქადულო შვილების ცხოვრების რეტროსპექციას.




თქვენი შესანიშნავი ჟურნალის საშუალებით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა ვუთხრა ცნობილ ბიზნესმენსა და მეცენატს, პარლამენტის ყოფილ წევრს ბატონ ზაზა სიორიძესა და მის მეუღლეს პროფ. ნინო მამარდაშვილს, რომელთა ინიციატივითა და მატერიალური უზრუნველყოფით დაარსდა ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმი თავისსავე სახელობის ქუჩაზე, ვერის უბანში. აქვე მინდა ორიოდვე სიტყვით გავიხსენო ის არაჩვეულებრივი ღონისძიება, რომელიც ჩაატარა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელმა ქალბატონმა ცისანა ქოჩერაშვილმა და მისმა კოლექტივმა მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორის, თბილისის საპატიო მოქალაქის ქალბატონი ციალა კალმახელიძის ხელშეწყობით.

კარგახანს არ დაავიწყდება დამსწრე საზოგადოებას ის დღესასწაული, რომელიც შედგა ვერის უბანში 2013 წლის 25 ოქტომბერს. ძალიან საინტერესოდ წარიმართა ქართული ლექსისა და სიმღერის დღესასწაული, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მომღერლებმა რამინ და იური მიქაბერიძეებმა, მათი ხელმძღვანელობით წმინდა ექვთიმე ღვთისკაცის სახლ-მუზეუმი აჟღერდა მის სადიდებლად ავლენილი საგალობლები, უსინათლოთა საზოგადოების შესანიშნავი ანსამბლი „კრწანისის“ შესრულებით. ექვთიმე თაყაიშვილს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს ქართული სიტყვის ოსტატმა ქალბატონმა

ელდინო სალარაძემ და ცნობილმა ხელოვანმა და პოეტმა ბატონმა მირზა უკლებამ; წმინდა ექვთიმეს ტროპარი აღავლინა საქართველოს დამსახურებულმა არტისტმა ქალბატონმა ლამზირა ჩხეიძემ. საინტერესო ლექსი წაიკითხა ბიბლიოთეკის აქტივისტმა მარიამ ქამუშაძემ. ბოლოს სამადლობელი სიტყვებით გამოვიდნენ ქალბატონი ნინო მამარდაშვილი-სიორიძისა, მთავარი ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე ქალბატონი მანონ ხორავა და სხვები. ღონისძიება მიჰყავდათ ქალბატონ ცისანა ქოჩერაშვილსა და თქვენს მონა-მორჩილს. ჩვენ გზადაგზა მოვუთხრობდით დამსწრე საზოგადოებას ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის ამსახველ ეპიზოდებს, მის ურთიერთობას ცნობილ მეცნიერებთან.

უფრო დანვრილებით მინდა გვუამბო თქვენი ჟურნალის მკითხველებს ორი დიდი მეცნიერის, ბავშვობისა და სიჭარბაგის პერიოდის მეგობრის, შოტლანდიური წარმოშობის ქართველი (დედა ჰყავდა მალულარიას ქალი) – ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის ურთიერთობის შესახებ. ყველა თავის სამრეკლოდან რეკავს და მეც მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება ამ ორი უდიდესი მეცნიერის მიმართ. მოგეხსენებათ, ნიკო მარი სხვა მრავალ სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, აქტიურად მუშაობდა ბასკთა და ქართველთა სავარაუდო ნათესაობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. 30-იან წლებში მისი მოწაფე გახლდათ აკად. შოთა ძიძიგური, რომელიც ასევე მუშაობდა ბასკურ-ქართველურ ენობრივ ურთიერთმიმართებებზე ასპირანტობის პერიოდში. მას ორი მნიშვნელოვანი სტატიაც აქვს გამოქვეყნებული ლენინგრადში (ახლანდელ პეტერბურგში) ბასკური ენის დიალექტის (საფრანგეთის ტერიტორიაზე გავრცელებული ბასკური ენის ერთ-ერთი დიალექტია) თავისებურებათა შესახებ (ქართველური მასალის გათვალისწინებით). მოგვიანებით ნიკო მარის მიმართ შეიცვალა დამოკიდებულება (ცნობილი დისკუსიების შემდგომ...), ამის გამო მისი სურვილის მიუხედავად, ბასკურ-კავკასიური კვლევა-ძიება დროებით შეწყვიტა ბატონმა შოთამ და საქართველოში დაბრუნების შემდგომ მუშაობა განაგრძო ქართული დიალექტოლოგიაში. 70-იან წლებში ბატონმა შოთამ კვლავ დღის წესრიგში



დააყენა ბასკურ-ქართველურ ურთიერთმიმართებანი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა „ბასკურ-ქართველური კვლევა-ძიების სამეცნიერო ცენტრი“. 1972 წელს ბატონი შოთას რეკომენდაციით გავხდით მისი აპსირანტი. ასპირანტობის პირველივე წელს ჩემმა ხელმძღვანელობამ მიმავლინა ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკის ნიკო მარის მე-800 ფონდზე სამუშაოდ. მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ბოლომდე „რეაბილიტირებული“ ნიკო მარის შრომები. ნიკო მარის მონაწილეობის – პროფ. იოსებ მეგრელიძისა და პროფ. ალექსანდრე ლლონტის დახმარებით მოვიპოვე, ფონდზე მუშაობის უფლება. სარეკომენდაციო წერილი მომცა აგრეთვე ჩემმა მეცნიერ-კონსულტანტმა, მსოფლიოში ცნობილმა ბასკოლოგმა, პროფ. იური ზიცარმა (იგი პროფ. შოთა ძიძგურთან ერთად 20 წელი ხელმძღვანელობდა ბასკურ-ქართველურ ცენტრს თსუ-ში).

ამ პრეამბულის შემდგომ მინდა გაიამბოთ ნიკო მარისა და ექვთიმე თაყაიშვილის მიმოწერის ერთი ფრაგმენტის შესახებ, რომელმაც ძალიან დამაინტერესა, მითუფრო რომ წერილში მსჯელობა იყო ბასკური დროშის („იკურინიას“) შესახებ. იმ დროისათვის მონანილეობა უნდა მიმედო სიმპოზიუმზე ჩრდილოეთ კავკასიაში (ჰერალდიკის საკითხზე), ამდენად, ჩემთვის ეს წერილი იყო ძალიან მნიშვნელოვანი. მაშინ არ იყო ქსეროქსი, ფოტოპირის უფლებაც არ მომცეს. მოკლე შინაარსის გადმოწერა შეეძელი, რაც ძალიან გამომადგა მოხსენებისათვის.

წერილში ექვთიმე თაყაიშვილი ატყობინებს ნიკო მარს, რომ საფრანგეთში გაიცნო ბასკი ეთნოგრაფი ვინმე ხუან არაბურუ, რომელსაც საინტერესო ისტორია უამბნია მისთვის ქრისტეს მონაფთა შორის უპირატესად აღიარებულ მონაწილეზე – ანდრია პირველწოდებულზე: როდესაც ღვთისმშობლის თხოვნითა და მაცხოვრის ბრძანებით ანდრია პირველწოდებულმა იქადაგა სახარება საქართველოში, იგი დაბრუნდა პირინეის ნახევარკუნძულზე, გზად შეჩერებულა ბასკეთის უძველეს დედაქალაქ გერნიკაში, სადაც თავის სახელზე დაურგავს მუხის ნერგი, რომელიც მომავალში გამხდარა ბასკეთის ქვეყნის სიმბოლო, ბასკეთის გერბზე არის ეს მუხა გამოსახული. ამ მუხის ქვეშ იკრებიებოდა ბასკეთის უზუცესთა საბჭო, სადაც წყდებოდა ქვეყნისათვის საჭირობო საკითხები. ბასკ ეთნოგრაფს ესპანელებსა და ბასკებს შორის ერთი ბრძოლის ისტორიაც უამბნია. 876 წლის 13 დეკემბერს ესპანეთის ბასკეთში, „თეთრი ქვების“ ხეობაში, გამართულა დიდი ბრძოლა. ესპანელების უზარმაზარ არმიას ხელმძღვანელობდა ლეონ II, ხოლო მცირერიცხოვან ბასკ მეომრებს წინ მიუძღოდა ბასკების გმირი ხუან სურია („თეთრი ბატონი“). ერთდღიანი უთანასწორო ბრძოლა სასწაულებრივად მოიგეს ბასკებმა, მათ ლეონ II-ის მეომრები კუდამოძებულები გაყარეს ბრძოლის ველიდან, თუმცა ბასკეთისგან ძალიან დიდი იყო მსხვერპლი. თეთრი ქვების ხეობა წითლად

შეიღება. უზუცესთა საბჭოს გადაწყვეტილებით, ეს ღდე რომ არ დავიწყებოდათ ბასკებს, საბრძოლო ბატალიების აღგილს შეუცვალეს სახელი და დაარქვეს „წითელი ქვები“, ხოლო ბასკურ დროშას, რომლის სიმბოლიკა იყო წმინდა გიორგის თეთრი ჯვარი, მიუმატეს კიდევ ორი ფერის სიმბოლო, ფონად წითელი, სისხლისფერი და ანდრია პირველწოდებულის მწვანე ჯვარი, რადგანაც სისხლისღვრა მოხდა სწორედ ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღეს – 13 დეკემბერს. ასე რომ, ბასკებსა და ქართველებს საერთო წმინდანი ჰყოლიათ, ამიტომ ჩვენ ვალია, მოვიხილოთ ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევი და საქართველოში, სოფელ დიდაჭარაში (სადა „მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა... და შემდგომ შევიდა ქვეყანასა ქართლისა, რომელსა დიდ აჭარა ეწოდების და იწყო ქადაგება სახარებისა“).



უპირველესი მოციქულის მიერ აშენებული ტაძრის ნანგრევებზე უნდა ავაგოთ ანდრია პირველწოდებულის ეკლესია – წერს ექვთიმე თაყაიშვილი მის მეგობარსა და თანამოაზრეს ნიკო მარს. ცნობილი მიზეზების გამო ორი მეგობრის ოცნება ოცნებად დარჩა. მხოლოდ 2000 წელს ქრისტიანობის ქადაგების 20-საუკუნოვან იუბილეზე გადაწყდა ანდრია პირველწოდებულის ტაძრის აღდგენის საკითხი, ამ თარიღთან დაკავშირებით ხულოს რაიონის სოფ. დიდაჭარაში ბათუმის უნივერსიტეტისა და კვლევითი ინსტიტუტის ინიციატივით ჩატარდა სიმპოზიუმი, სადაც მეც გახლდით მინვეული. ნავიკითხე მოხსენება „ანდრია პირველწოდებული ბასკეთა და ქართველთა საერთო წმინდანი“. ექვთიმე თაყაიშვილის ზემოაღნიშნული ფრაგმენტი გამოვიყენე, რომელიც 45 წლის წინ მოვიპოვე ნიკო მარის მე-800 ფონდში, დღეს კიდევ ერთხელ გადავხედე ძველ ფოლიანტებს, რომლებიც ძალიან გამომადგა ამ წერილის დაწერისას. რაც შეეხება დიდაჭარაში „თარანგელოს“ (მთავარანგელოზის) გზაზე ანდრია პირველწოდებულის ტაძრის ნანგრევების აღდგენას – „ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა“ – დარჩა. იქნებ ზაზა სიორიძის მსგავსად რომელიმე ზიზნესმენმა თავი გამოიჩინოს გულისხმიერებით და აუსრულოს ორ დიდებულ მეცნიერს – ნიკო მარსა და ექვთიმე თაყაიშვილს ოცნება... „ნეტარ არიან მორწმუნენი!“

ლია გიგაური

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წამყვანი სპეციალისტი

„პაცად იშვა და პაცად მოკვდა“

ჩვენი სამშობლოსადმი ოვანეს თუმანიანი დიდი გრძნობა არის ის უდიდესი პირობა, რომელიც ყოველთვის გვიბიძგებს იქითკენ, რომ სომეხ-ქართველთა უზადო „საერთო პოეტი“ კეთილად მოვიხსენიოთ. ორი მეზობელი ხალხის შემაკავშირებელ-შემეერთებელი მწერალი იმავდროულად დიდი საზოგადო მოღვაწე და თავისი ერის სულიერი მამაც იყო. ყოველთვის უფლებდა ყურს თავისი ქვეყნის მაჯისცემას და „დრო-ჟამის შესაფერად“ იქცეოდა. ოვანეს თუმანიანს, მრავალ თვისტომთა მსგავსად, წილად ერგო, ორივე ქვეყნის მოქალაქე ყოფილიყო. მას უმადური და სამონყალოდ თავშეფარებული მოღალატე თანამემამულენი თვითონაც სასტიკად სძულდა და ციხის შიგნიდან გამტეხთ მკაცრად ამუნათებდა. სომხეთისა და საქართველოს საზიარო შვილები იყვნენ: გაბრიელ სუნდუკიანი, ავეტიკ ისაკიანი, ვაჰან ტერიანი, რაფი შირვანზადე, ნარ-დოსი და სხვ.

ოვანეს თუმანიანის შემოქმედებაში საქართველოსა და ქართველ ხალხს ეძღვნება არაერთი ლექსი, ესეი, სტატია, ზღაპარი, ლეგენდა და პოემა. მისი შედეგების უმეტესობა თბილისში შეიქმნა. თბილისშია მათი საარსებო და სოციალური გარემო. თბილისია მათი სიუჟეტების ფონი. ამას ემატება პოეტის ისეთი შესანიშნავი ქმნილებანი, როგორცაა: „ფარვანა“, „დავით სასუნელი“, „თმოგვის ციხის აღება“, „ანუშ“, რომელთა მასაზრდოებელ წყაროდ მესხეთ-ჯავახეთი, კერძოდ, აბასთუმანი, ბაკურიანი, ბორჯომი და ახალქალაქი იქცა.


ოვანეს თუმანიანი ძირძველ ქართულ მიწაზე, ერთ დროს საქართველოში შემომავალ ლორის წმინდა ტერიტორიაზე დაბადებულა 1869 წელს. აქ ბევრი ეკლესია და მონასტერია, რომელსაც ქართული ასომთავრულით შესრულებული წარწერები ამშვენებს.

ოვ. თუმანიანი 19 წლისა უკვე ოჯახს მოეკიდა და მალე დაწვრილშვილდა. ერთხანს სხვადასხვა დანესებულებაში იმუშავა, თუმცა ვერ გაუძლო იქ მომსახურე ადამიანთა ურთიერთობებში დაბუდებულ მლიქვნელობასა და უპირობას, „ჭუჭყსა და ქაოსს“, თავი მიანება სამსახურს და მთლიანად ლიტერატურულ საქმიანობას მიჰყო ხელი. მას მხარში ამოუდგა ქართულ-სომხური კულტურისა და ლიტერატურული საზოგადოების წარმომადგენლებიც.

ოვ. თუმანიანმა თავის თავზე მუშაობით უფრო მაღალ მწვერვალზე მიაღწია. შესანიშნავად შეისწავლა შექსირი, ბაირონი, პუშკინი, ლერმონტოვი და განსაკუთრებული გულისყურით მოეკიდა მსოფლიოს ხალხთა ეპოსს, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისი თავისთავადობისათვის, საკუთარი ფოლკლორის უზადო მცოდნე, ხალხის გულიდან ამოზრდილი, ტრადიციების დამცველი დარჩა ბოლომდე. მას, როგორც სახალხო პოეტს, ღრმა და შეუმცადრი ალლო ჰქონდა, რაც მის შემოქმედებას

უცხო გავლენისაგან იცავდა. „მე მუდამ მყავდა ერთგული საიმედო მეგზური, ჩემი ინტუიცია“, – წერდა პოეტი.

1890 წელს გამოიცა ოვ. თუმანიანის პირველი ლექსების კრებული. ლიტერატურაში ფეხის შედგმისთანავე იგი მთელი სომხური პროზისა და პოეზიის ტონის მიმცემად იქცა – აფასებდნენ, ბაძავდნენ და მიაჩნდათ, რომ მან ახალ საფეხურზე, ახალ ეპოქაში გადაიყვანა მშობლიური მწერლობა. უმთავრესი კი, რითაც იგი დიადი და შეუდარებელი გახდა, იყო ხალხის სიყვარული და ის, რომ მან პოეზია ხალხს დაუკავშირა. ხალხი იყო მისი შთამაგონებელი, სოფლის ხალხი, მისი ცხოვრება თავისი ძველი და ახალი ტრადიციებით. ამიტომ გახდა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მის შემოქმედებაში „ანუშ“ და „გიქორ“ – პოეზიისა და პროზის მწვერვალი შედეგები. მხატვრულად გადამუშავდა ხალხური ეპოსის ბრწყინვალე ნიმუში „დავით სასუნელი“, ასევე ისტორიულ გადმოცემაზე აგებული „თმოგვის ციხის აღება“, ხალხურ ლექსზე დამყარებული პოეზიის მარგალიტად



ქცეული „ფარვანა“, საუკეთესო ზღაპარი „გულადი ნაზარა“ და სხვ.

ოვანეს თუმანიანის ხელში პოეზია ხალხს დაუახლოვდა. უფრო გასაგები და მისაღები გახდა. „ხელოვნება ისეთი გასაგები და გამჭვირვალე უნდა იყოს, როგორც თვალი და თანაც მასავით რთული“, – ამბობდა იგი. პოეტის ენა უბრალო და მარტივი იყო, აზრი-ბრძნული. ამიტომ მისი ფრაზები აფორიზმებად და ანდაზებად იქცა.

ოვ. თუმანიანი სომეხი ხალხის ეროვნულ პოეტად

მოიხსენება. სომეხთა მეორე დიდი ვარპეტი ავეტიკ ისაკიანი წერდა: „ოვანესი ნიაღვარივით მოვარდა ლეგენდარული ლორის მთებიდან და მუდამ მოვლენების ცენტრში იყო კავკასიური დაპირისპირებების, პირველი მსოფლიო ომის, თურქეთში სომეხთა გენოციდის, რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების დროს, ხალხის ტყვიანი სტიქიოდა“.

1905–07 წლებში მან მონაწილეობა მიიღო სომეხ-თათართა კონფლიქტებში და მათ შერიგებას ცდილობდა. „შური, ბოღმა, სიძულვილი, შურისძიება – ეს ადამიანური გრძნობები, მისთვის უცნობი იყო, მისი გული და სული ბროლივით სუფთა და გამჭვირვალე იყო“, – წერს აკად. ედვარდ ჯერბაშიანი.

1907 წელს ლორეში მან შეაჩერა სომეხ და აზერბაიჯანელ ხალხს შორის მომნიჭებული ომი. შეაჩერა თავისი მოსიყვარული, კაცთმომოყვარე გულით და ყველას აჩვენა, თუ რა შეუძლია კეთილგანწყობას, სიბრძნეს, სიღარბაისლეს, თუნდაც ერთი გამოჩენილი კაცისას. შემდეგში თვით ოვანესი წერდა: „და დღესაც მე იმით კი არ ვარ კმაყოფილი, რომ რაღაც გავაკეთე ლიტერატურაში, არამედ იმით, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ აღმდგარი ხალხი დაევაშოშინე. ხმალი ქარქაშში ჩავაგებინე და ამით გადავარჩინე უდანაშაულო ხალხის დიდი უმრავლესობა“.

პოეტის ქალიშვილი იხსენებს, თუ როგორ ცდილობდა ოვანეს თუმანიანი, ბოლო მოეღო 1918–1920 წლებში ქართველ-სომეხთა სამარცხვინო ომისთვის. მისი ინიციატივით შეიქმნა ორმხრივი კომისია და მომზადდა ზავის პროექტი. პოეტს მიაჩნდა, რომ დანაშაულის მთელი სიმძიმე ქართველი მენშევიკების, სომეხი დაშნაკებისა და მათი წამქეზებელი ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების მხრებზე იყო. მან მოუწოდა ყველას და, მათ შორის, თავის შვილებს, რომ მონაწილეობა არ მიეღოთ ძმობაშეკვეთვით ომში.

ოვანეს თუმანიანს საქართველოსა და მის მოსახლეობასთან მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდა. ჭაბუკობიდან მოყოლებული, თბილისში ცხოვრობდა და მის ჭირვარამს იზიარებდა. სომხური პოეზიის პატრიარქს ბინა სოლოლაკში, დავითაშვილის ქუჩაზე ჰქონდა დაქირავებული. აქ ცხოვრობდა იგი თავის მრავალშვილიან ოჯახთან ერთად. აქვე უწოდებდნენ მას „ადამიანური დისციპლინის, კეთილშობილების, სამართლიანობის საზომს“. აქვე დაფუძნდა ბებუთოვის 44–ში ჩამოყალიბებული საზოგადოება „ვერნატუნი“ – შემოქმედებით-ლიტერატურული სალონი. „თუმანიანის სახლი“ – ასე უწოდებდნენ მის ბინას დავითაშვილზე. აქ თავს იყრიდნენ: ავეტიკ ისაკიანი, დერენიკ დემირჭიანი, ლევონ შანთი, ლაზაროს ალაიანი, პერჭ პროშიანი, ნიკოლ ალბალიანი, ალექსანდრე შირვანზადე, ნარდოსი, ვრთანეს ფაფაზიანი, ვაჰან ტერიანი, ლეო, სტეფან ლისიციანი, მარიამ თუმანიანი, გევორქ ბაშინჯალიანი... მასთან დადიოდნენ „ცისფერყანწლეები“. აქ გაიცნო იგი ტიცინამა, რომელიც შემდეგში სინანულით იხსენებდა ოვანესს: „ის მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე გვიქადაგებდა ჩვენ, კავკასიის ხალხებს, რომ გვეყვარებოდა ერთმანეთი. ის იოანე ღვთისმეტყველს ჰგავდა, რომელიც სიკვდილის წინ მისმა მონაფეხმა ხალხის წინაშე დააყენეს და რომელმაც ცრემლმომდგარმა მიმართა ხალხს: „გიყვარდეთ ერთმანეთი“.

ოვანეს თუმანიანი ისე უყურებდა თბილისს, როგორც კავკასიის ზოგადკულტურის შემომქედს. ამიერკავკასიის პოეტები ერთად იყვნენ ყველა ლიტერატურულ ღონისძიებაზე, ერთად მართავდნენ დისკუსიებს – სრული ინტერნაციონალიზმი სუფევდა. 1916–19 წლებში მან

არაერთი ლექსი უძღვნა საქართველოს: „ქართველი“, „საქართველოს სულში“, „ქართველ პოეტებს“. ძმობის პიძინივით ისმის მისი სიტყვები:

„დავრჩეთ, ქურუმნო, ძმა და მეგობრად,
შევექმნათ ოჯახი ამხანაგურ
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად,
ყველამ მივზიდოთ თითო აგური“.

ოვ. თუმანიანს მუდამ თან სდევდა რუსთაველის სახე-ბა. მისთვის არის შთაგონებული პოეტის არაერთი ლექსი. ოვანესს ვერ წარმოედგინა იმ ერის დამცრობა, რომელმაც ასეთი გენია მისცა მსოფლიოს („მამ, რუსთაველურად დავეკრათ ჩანგს ხელი, თავში მოვექცეთ მსოფლიო კიბეს“). მას „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა სურდა და კრიტიკულად ეკიდებოდა სხვა მწერალთა მიერ შესრულებულ პნკარედებს. ცნობილია, რომ თუმანიანს თავისი ბიბლიოთეკის საწერ მაგიდაზე ედგა ორი ქანდაკება – რუსთაველის და დანტესი.

მსურვალე გრძნობით მიულოცა ოვ. თუმანიანმა ქართველ ინტელიგენციას თბილისის უნივერსიტეტის გახსნაც, რომლის საძირკვლის ჩასაყრელად თავისი დანაზოგიდან თვითონ ხელმოკლემ 100 მანეთი მიიწვ გაიღო.

ოვ. თუმანიანს განსაკუთრებულად უყვარდა ვაჟა-ფშაველა, რადგან მასთან მეტი სულიერი ნათესაობა აკავშირებდა. ვაჟას მსგავსად ისიც უხვად სარგებლობდა ხალხური სიუჟეტებითა და მოტივებით. სიკვდილის წინაც მოუნახულებია თუმანიანს ქართველთა ბუნების მგოსანი, ტკბილად უსაუბრიათ და ერთმანეთი გაუმხნეებიათ. შემდეგ, 1915 წლის 8 აგვისტოს, ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მას ერევნიდან ქართველი მწერლებისთვის სამძიმრის დეპეშმა გაუგზავნია. (1912–1921 წლებში თუმანიანი სომეხ მწერალთა კავკასიის კავშირს ხელმძღვანელობდა).

„ქართველები სულთი არასოდეს დაცემულან, კავკასიის ხალხებს შორის ყოველთვის პირველი მოქალაქეები იყვნენ... მთელი დედამიწის ზურგზე ქართველები მეზობლობაში საუკეთესონი არიან. ჩვენი მოძმე ქართველი ხალხი, რომელთანაც ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარე... ყოველთვის განსაკუთრებით ძლიერად მიყვარდა, – ეს სიტყვები გულს გარეთ წარმოთქმული ნამდვილად არ ყოფილა. იგი საქმით უმტკიცებდა თავის ერთგულებას საქართველოს. ამიტომაც ასე ტკბილია მისი შემოქმედება ქართულ ენაზე დიდი ქართველი პოეტის, თუმანიანის მეგობრის – იოსებ გრიშაშვილის თარგმანებში.

ოვანეს თუმანიანი დაუნდობლად ებრძოდა თავისი საუკუნის უზნეობებს – საზოგადოების მორალურ დაავადებებს. მისი სტატია „განაწყენებული ხალხი“ ბევრ ისეთ საჭირობოროტო საკითხს მიმოიხილავს, რომელიც დღესაც აქტუალურია. ამ სტატიის კარგად გაცნობა ბევრს დააფიქრებს იმაზე, თუ რატომ კინდებდა ერი („თუ საიდან, როგორ, როდის, ეს ომები რისთვის მოდის“) და რატომ ვარდება სხვის კაბალაში. თვით სომეხი საზოგადოების საღად მოაზროვე ნაწილი მიიჩნევს, რომ სომეხებს ისე, როგორც არასდროს, სჭირდებოდათ დღეს თუმანიანის მსოფლალქმა, მისი დამოკიდებულება ადამიანისა და სიცოცხლისადმი, სწრაფვა ერთიანობის, სოლიდარობის, სიყვარულისა და სამართლიანობისაკენ.

თუმანიანი ო. რჩეული ნაწერები. – ტფ., 1924.

თუმანიანი ო. პოემები. – ტფ., 1930.

თუმანიანი ო. გიქორ. – ტფ., 1929.

თუმანიანი ო. ლექსები და პოემები. – თბ., 1969.

თუმანიანი ო. ირმის სიკვდილი. – თბ., 1969.

პროფესია და პროფესიონალები

მანანა დეკანოზიძე

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომსახურების სამსახურის უფროსი

პირველი ბიბლიოთეკარი – თბილისის საპატიო მოქალაქე

მე მინდა ერთ არაჩვეულებრივ ქალბატონზე მოგიტხროთ – ციალა კალმახელიძე – მის სახელთან ასოცირდება პროფესიონალიზმი, საქმისადმი თავდადება, სიკეთე, ქველმოქმედება, მეგობრობა, სიყვარული და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი კარგი თვისება, რაც ადამიანს გააჩნია.

ქალბატონი ციალა არის პირველი ბიბლიოთეკარი, რომელიც ასე დააფასა ქალაქის მერიამ 2013 წ.



იგი აირჩიეს ქ. თბილისის საპატიო მოქალაქედ. მისმა მართლაც განუსაზღვრელმა ადამიანურმა თვისებებმა ამ მაღალ ჯილდომდე მიიყვანა. არ მეფულება თანამშრომელთა შორის ვინმე, რომლისთვისაც მას დახმარების ხელი არ გაეწვდინოს.

მასზე ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ მე მინდა კიდევ ერთხელ ვისაბურო ამ ქალბატონზე, რომლის ადამიანური ღირსებებით მე პირადად გაცეზებული ვარ. ნუთუ შეიძლება ჩვენი პროფესიის ბიბლიოთეკარის შემოსავლით ამდენი სიკეთე თქვო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევო“.

დაიბადა თბილისში. ბავშვობიდანვე უყვარდა წიგნთან ურთიერთობა. სწავლობდა №53 სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ა. ს. პუშკინის სახ. პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიბლიოცოდნობა – ბიბლიოგრაფიის სპეციალობით. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო შიომღვიმელის სახელობის საბავშვო ბიბლიოთეკაში მეთოდისტად. 1975 წლიდან კი თბილისის ცენტრალურ საქალაქო ბიბლიოთეკაში მიიწვიეს მთავარ მეთოდისტად. თითქმის ყველა განყოფილება მოიარა, განსაკუთრებით კარგად ახსენდება დაკომპლექტების განყოფილება.





1981 წელს შეიქმნა ამჟამინდელი საქალაქო მასობრივი ბიბლიოთეკების გაერთიანება. მას იგივე მოვალეობა დაეკისრა მთელი სისტემის მასშტაბით. სწორედ აქ კიდევ უფრო მეტად გამოვლინდა მისი ნიჭი. იგი ზუსტად მკითხველთა მოთხოვნის მიხედვით აკომპლექტებდა მთელი ქსელის ბიბლიოთეკებს.

1989 წ. 24 დეკემბერს დაინიშნა არჩევნები ქსელის დირექტორის თანამდებობაზე. სანამ აირჩევდნენ, ერთ-ერთმა თანამშრომელმა ჰკითხა: რა პროგრამა გაქვთ ბიბლიოთეკის განვითარებასთან დაკავშირებით. ქალბატონმა ციალამ უპასუხა: „ჯერჯერობით არავითარი პროგრამა არა მაქვს, მაგრამ სამსახურში, რომ სიხარულით ივლით, ამას გპირდებით“. დანაპირები სრულად შეასრულა. იმ დღიდან მოყოლებული, ქალბატონ ციალას საზრუნავი, ბიბლიოთეკის განვითარებასა და წინსვლასთან ერთად, თანამშრომლებისთვის უკეთესი პირობების შექმნაც იყო. „მეც მიყვარს აქ მოსვლა და თანამშრომლებსაც“, – მითხრა ქალბატონმა ციალამ საუბრისას.

ქალბატონი ციალა მეტად თავმდაბალი ადამიანია. საუბრისას ცდილობდა, მოკრძალებულად ეპასუხა ჩემს კითხვებზე, რომლებიც მის ქველმოქმედებას შეეხებოდა. ამიტომ იძულებული გავხდი, გავსაუბრებოდი ქალბატონ მანონ ხორავას ბიბლიოგრაფიული სამსახურის უფროსს, რომელმაც ამომწურავად უპასუხა ჩემს კითხვებს.

– ქალბატონ ციალას დაარსებული აქვს მისივე სახელობის ფონდი. 18 მაისი არის საქალაქო ბიბლიოთეკის დაბადების დღე. ყოველი წლის 18 მაისს ქალბატონ ციალა თავის ექვს თანამშრომელს აჯილდოებს ფულადი პრემიით.

კათარზისში ეხმარება პენსიონერებს არა მარტო საკვებით, არამედ ყურსასმენი აპარატებითაც. წიგნადი ფონდით ეხმარება სკოლების, კოლეჯების, უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებს. დახმარება გაუწია ციხეების ბიბლიოთეკებსაც, იაშვილის სახ. ბავშვთა საავადმყოფოში ლეიკემიით დაავადებულ ბავშვებს უსასყიდლოდ გადასცა საბავშვო წიგნები.

ყველაზე დიდი პროექტი, კომფორტულად კეთილმოწყობილი რვა ოთახი, სადაც ცხოვრობენ უსახლკარო ბიბლიოთეკარები. თითო ოთახში არის ორი სანოლი, ტელევიზორი. ქალბატონებს აქვთ სარეცხის მანქანა და მაცივარიც. გერმანიიდან ჩამოსული სტუმრები გაოცებულნი დარჩნენ „სათნობის სახლი“-ს ნახვით, რამდენიმე ბიბლიოთეკარი, იქვე მუშაობს მეორე სართულზე ბიბლიოთეკაში, დანარჩენები კი საქალაქო ბიბლიოთეკის სხვადასხვა ფილიალებში არიან დასაქმებულნი.

მე გაოცებული ვარ ქალბატონი ციალას ასეთი შემართებით, ქველმოქმედებით, მის კეთილ საქმეებზე შეიძლება დაუსრულებლად ისაუბრო.

90-იანი წლები! აფხაზეთის ომი! ქალბატონი ციალა და მისი თანამშრომლები დაჭრილთა სამ პალა-

ტას ინახავდნენ საავადმყოფოში – წამლებით, პროდუქტებით, ფინანსებით.

ქალბატონ ციალას ქველმოქმედებით აიგო ეკლესია რაჭაში სოფ. დილოში; მისი ფინანსური დახმარებით დაიბეჭდა გ. ჩოხელის მოთხრობების კრებული და ბოლოს სწორედ მისი მხარდაჭერით გამოდის ჩვენი ჟურნალიც.

2013 წელს პატრიარქმა ყოველი შაბათი დღე წიგნის კითხვის დღედ გამოაცხადა. ქალბატონმა ციალამ პატრიარქი საქალაქო ბიბლიოთეკაში მოიწვია. იყო ძალიან თბილი შეხვედრა ბიბლიოთეკის თანამშრომლებსა და მკითხველებთან.

ქალბატონ ციალას არ ჰქონია სულ ია-ვარდით



მოფენილი გზა თავისი დირექტორობის მანძილზე. ალბათ გახსოვთ ის დრო, როცა საქალაქო ბიბლიოთეკას საფრთხე დაემუქრა დარჩენილიყო შენობის გარეშე. ქალბატონმა ციალამ შეუძლებელი შეძლო: შენობაც შეინარჩუნა და თანამშრომლებიც არ დატოვა უმუშევრად.

ქალბატონი ციალა მუდმივ ძიებაშია. ზრუნავს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გახსნილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, არა მარტო თანამშრომლებისათვის, არამედ ნებისმიერი მსურველისათვის, რომელიც კურსების დამთავრების შემდეგ სერტიფიკატს ღებულობს.

მას მიღებული აქვს საპატიო ბიბლიოთეკარისა და „შრომის ვეტერანის“ წოდებები, აქვს მრავალი ჯილდო: „ქართული კულტურის ამაგდარი“ და „სიყვარულის ორდენი“. განსაკუთრებით ეს ორდენი უყვარს და ეამაყება. ეს არის ჭეშმარიტად ხალხის, თანამშრომლების დიდი არმიის სიყვარულის ორდენი, რომელსაც იგი სათუთად ინახავს.

ქალბატონ ციალას ვუსურვებ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კიდევ მრავალი სიკეთის გაკეთებას, რაც ასე ჭირდება ჩვენს ბიბლიოთეკარებს.



ლია ვალიაშვილი

ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკარი

ჩვენნი კვირვასი კოლეგის დიდი ღვაწლი

მისი სახელი ჩემში მუდამ ინვევს კდემამოსილებს, მონინებისა და პატივისცემის გრძნობას. ქალბატონ ეთერ თოხაძე გამოირჩევა თავისი სულიერი სიმდიდრით, გონიერებით, საორგანიზაციო ნიჭით, მაღალი ერუდიციითა და პროფესიონალიზმით. მისი პიროვნება ასოცირდება იმ ღირებულებებთან, რაც ასე ფასეულია ადამიანში.

ეთერ თოხაძე დაიბადა ქ. თბილისში, ინტელიგენტურ ოჯახში, 1940 წელს დაამთავრა თბილისის პირველი საცდელ-საჩვენებელი საშუალო სკოლა, რომელშიც სხვადასხვა დროს აღიზარდნენ ცნობილი პიროვნებები: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ჩუბინაშვილი, ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, ივანე მაჩაბელი, ზაქარია ფალიაშვილი, კოტე მარჯანიშვილი, მრავალი თანამედროვე აკადემიკოსი და პროფესორი. ამავე წელსვე სწავლა განაგრძო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც 1946 წელს დაამთავრა წარჩინებით. ქალბატონი ეთერი ემზადებოდა ასპირანტურაში ჩასაბარებლად - ხელოვნების ისტორიის სპეციალობით, მაგრამ შესაფერისი ვაკანსია იმ წელს არ გამოიყო, ამიტომ ისტორიის ფაკულტეტის დეკანის - პროფ. იასე ცინცაძის რჩევით, გადაწყვიტა დროებით მუშაობა დაენყო თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში. დროებით მოსული ქალბატონი ეთერი ისე გაიტაცა საბიბლიოთეკო საქმიანობამ, რომ მან აქ 61 წელი დაჰყო. მუშაობდა საბიბლიოთეკო საქმის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებთან, როგორებიც იყვნენ: ტასო კასრაძე, გიორგი ბაქრაძე, დევი აბაშიძე, პოლიხრონ ცინცაძე, ლუსი კალმაგოროვა და სხვები.



ამ პერიოდს დაემთხვა მისი ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა - თავისი ცხოვრება სამამულო ომიდან დაბრუნებულ ახალგაზრდას, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტს და ამავე დროს თსუ-ს საქმეთა მმართველს, არჩილ თოხაძეს დაუკავშირა. 1949 წელს შეეძინათ ვაჟი - არჩილ, რომელმაც ორი ფაკულტეტი იურიდიული და ეკონომიური დაამთავრა. ახლა ქალბატონი ეთერი დიდი ბებიაა და მალე ალბათ მეოთხე თაობასაც მოესწრება.

ქალბატონ ეთერ თოხაძის ბიბლიოგრაფიით გატაცებასა და დაუფლებადი დიდი როლი ითამაშა ტასო კასრაძემ, რომელიც საკანდიდატო დისერტაციის დაცვის შემდეგ მიწვეულ იქნა პედ. ინსტიტუტში ბიბლიოთეკათ მცოდნეობის კათედრაზე, ხოლო მისი ადგილი დევი აბაშიძემ დაიკავა. 1960 წლიდან ამ განყოფილების გამგედ ეთერ თოხაძე დაინიშნა. 1974 წელს თსუ-ს რექტორმა დავით ჩხიკვიშვილმა, მარიკა ლორთქიფანიძისა და ოთარ ჯაფარიძის რეკომენდაციით, სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში წარადგინა ქალბატონი ეთერ თოხაძე.

ბატონმა შოთა აფაქიძემ და ქალბატონმა ეთერ თოხაძემ 30 წლის მანძილზე ერთად ითანამშრომლეს და მართეს თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკა 10 დარგობრივი საფაკულტეტო ფილიალებით. თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკა იყო საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების მეთოდური ცენტრი, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა როგორც საქართველოს, ისე ყოფილი

საბჭოთა კავშირის, აგრეთვე საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებთან.

ეთერ თოხაძე წარმოადგენს ქართული საბიბლიოთეკო საქმის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის სკოლის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს. იგი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწეოდა. მონაწილეობა აქვს მიღებული მრავალ კონფერენციაში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. არის მრავალი გამოცემის ავტორი, რედაქტორი და რეცენზენტი. გამოქვეყნებული აქვს 50-მდე ნაშრომი, მათ შორის ორი მონოგრაფია ქართულ და რუსულ ენებზე. აქვს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომი. დავასახელებ ზოგიერთს: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისათვის“, „სიბრძნის საუნჯე“, „უნივერსიტეტის პირმშო“, „სამეცნიერო ინფორმაციის ორგანიზაცია საბჭოთა კავშირში“, „სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ (თსუ-ის საბიბლიო კრებულში), „სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ (ჟურნალ „მეცნიერებასა და ტექნიკაში“) და მრავალი სხვა. სხვებთან ერთად აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული 1996 წელს მიღებული საბიბლიოთეკო კანონის, აგრეთვე 1999 წელს „საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების ბიბლიოთეკების დებულების“ პროექტის შედგენაში. შედგენილი აქვს დიდი ქართული მეცნიერების შრომების

პერსონალური ბიბლიოგრაფიები. უცვლელი რედაქტორი იყო თსუ-ს შრომების ბიბლიოგრაფიისა, „ქართულ ენციკლოპედიაში“ გამოქვეყნებული აქვს სტატიები: „თსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკა“ და „თსუ-ის ფუნდამენტური ბიბლიოთეკა“. შედგენილი აქვს უნივერსიტეტის თანამშრომელთა ბიბლიოგრაფიული ლექსიკონი 1918-1928 წ. წ. გარდა საბიბლიოთეკო საქმიანობისა, ქალბატონი ეთერი ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობასაც.

რუსულიდან თარგმნა მრავალი საბავშვო მოთხრობა, რომელიც იბეჭდებოდა საყმანვილო ჟურნალ „პიონერში“. ასევე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობასაც. წლების განმავლობაში მიწვეული იყო სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში კულტურისა და ესთეტიკური აღზრდის ფაკულტეტის ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილებაზე ჯერ საგამოცდო კომისიის მუდმივ წევრად, ხოლო შემდეგ - კომისიის თავმჯდომარედ. თავისი არსებობის მანძილზე სხვადასხვა დროს კათედრასთან მჭიდრო კავშირში მოღვაწეობდნენ საქართველოს უდიდესი ბიბლიოთეკების ცნობილი სპეციალისტები ვლადიმერ უზნაძე, დევი აბაშიძე, გრიგოლ ჩხაიძე, თბილისის საბიბლიოთეკო გაერთიანების გენერალური დირექტორი ციალა კალმახელიძე და სხვები. ქალბატონი ეთერ თოხაძე აქტიურ საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწეოდა, იყო თსუ-ის „ამხანაგური სასამართლოს“ წევრი, უნივერსიტეტის „ქალთა საბჭოს“ წევრი. ორგანიზატორი იყო ახალი ბიბლიოთეკების გახსნისა და მონესრიგების. განსაკუთრებული გულისყურით ეკიდებოდა ბიბლიოთეკაში ახალგაზრდა კადრების მომზადებისა და დანიაურების საქმეს. მუშაობის ხანგრძლივ პერიოდში მას მოუწია თითქმის ყველა პროფილით ელვანა. ამ გამოცდილებამ ხელი შეუწყო, ის ნაცადი და მაღალი პროფესიული ხელმძღვანელი გამოსულიყო.

დაიხ, ქალბატონ ეთერ თოხაძემ ივანე ჯავახიშვილის

სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნდამენტურ ბიბლიოთეკაში რიგითი ბიბლიოთეკარიდან დირექტორის მოადგილის თანამდებობამდე საკმაოდ რთული, ძნელი და მძიმე გზა განვლო.

მისი ღვაწლი არაერთხელ იქნა აღნიშნული საპატიო სიგელებითა და ჯილდოებით. 1966 წელს მინიჭებული აქვს „საქართველოს საპატიო ბიბლიოთეკარის“, ხოლო 1971 წელს დაჯილდოვებულია სამკერდე ნიშნით. 1998 წელს თსუ-ის 80 წელთან დაკავშირებით მიღებული აქვს პრეზიდენტის მადლობის წერილი, 2001 წელს დაჯილდოვდა „ღირსების ორდენით“.

2013 წელს თსუ-ს ბიბლიოთეკის დირექციის ინიციატივით შედგა პროექტი 1712 წელს ვახტანგ მეექვსეს მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ხელნაწერის შექმნა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა პიროვნებებმა, მათ შორის ქალბატონ ეთერ თოხაძემ, რომელმაც ერთ-ერთი ფურცელი გადაწერა.

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება განვლო პატიოსანი და ღირსეული ცხოვრებით.

და დღეს, როცა ის უკვე ასე ხანდაზმულია, შეუძლია გადახედოს თავის ცხოვრებას და აღმოაჩინოს, რომ კიდევ ერთხელ აქვს შესაძლებლობა ისიამოვნოს და იამაყოს კიდევ.

ქალბატონი ეთერი დღემდე უზომოდაა შეყვარებული თავის საქმეზე. მიუხედავად ხანდაზმულობისა, არ არსებობს ნებისმიერი საკითხი საბიბლიოთეკო სფეროდან, რომ მან ამომწურავი პასუხი არ გასცეს, ის ხომ საბიბლიოთეკო საქმის ნამდვილი ცოცხალი ენციკლოპედიაა.

ჩვენ, მისი უმცროსი კოლეგები, მისგან ვსწავლობდით არამარტო საბიბლიოთეკო საქმეს, არამედ ადამიანურ ურთიერთობებს, კოლეგიალობას, თანადგომას, მეგობრობას და სხვა სულიერ ღირებულებებს.

დღეს ქალბატონ ეთერს არ შეუწყვეტია ჩვენთან ურთიერთობა, ზოგჯერ ვსტუმრობთ კიდევ მას. ხშირად გვაქვს სატელეფონო საუბრები, სიყვარულით მოგვიკითხავს ხოლმე, აინტერესებს ჩვენი წარმატებები პირად ცხოვრებასა თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში, გვარიგებს და რჩევებს გვაძლევს, როგორც უფროსი მეგობარი. უდიდესი მადლობა მას ამისთვის.

მინდა სულთა და გულთა მივულოცო ქალბატონ ეთერს დაბადებიდან 90 წლის იუბილზე, ვუსურვო ჩვენ საყვარელ უფროს მეგობარსა და ძვირფას კოლეგას მრავალჟამიერი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ბედნიერება დადგომა თავის ლამაზ, ტრადიციულ ოჯახთან ერთად.

ინტერვიუ თბილისის №51 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარ
რუსუდან მარკოზიასთან

„წიგნი არ ჩამოვა თაროდან“

ბიბლიოთეკის ძირითადი მისია, მუდმივი განათლების უზრუნველყოფაა. ყველა ტიპის ბიბლიოთეკის ამოცანაა, დაეხმაროს მკითხველს განათლების მიღებაში. თავდაპირველად, ბიბლიოთეკები საყოველთაო საზოგადოებრივი სარგებლობისთვის შეიქმნა. წიგნებითა და ფილმებით, მწერლებთან შეხვედრებითა და ხელოვანთა ღონისძიებებით, მოძრავი გამოფენებითა და სხვა კულტურული პროგრამებით ბიბლიოთეკა ხელს უწყობს საზოგადოების დიალოგს. ასეთი ტიპის პროგრამები ამდიდრებს და აკმაყოფილებს ბიბლიოთეკისა და მკითხველის ინტელექტუალურ მოთხოვნებს.

ბიბლიოთეკარის ღვაწლი განუსაზღვრელია, მას ძალიან შრომატევადი ფუნქცია აკისრია, და რამდენადაა „დაფასებული“ მათი საქმიანობა, კარგად ჩანს როცა ხელფასი ესოდენ მცირეა და სამინისტროს პედაგოგის რანგშიც კი არ გაჰყავს ბიბლიოთეკარი. მათი ანაზღაურება, ჯერჯერობით, ისევ პრობლემას წარმოადგენს.

ჩვენ დავინტერესდით, დღეისათვის რა მდგომარეობაა სასკოლო ბიბლიოთეკებში, რამდენად ახორციელებენ ისინი თავიანთ ფუნქციებს და დაკისრებულ მოვალეობებს, როგორია მათი მუშაობის ფორმატი. ამ ინტერესით 13 დეკემბერს ვენვეით ვალაქტოში ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №51 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარს – ქალბატონ რუსუდან მარკოზიას, რომელიც ხელმძღვანელობდა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ სალამოს, სახელმწოდებით „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“.

მოსწავლეებმა წარმოაჩინეს პოეტის შემოქმედებითი ცხოვრება: ბავშვობა, სტუდენტობა, პოლიტიკაში ჩართულობა, ეროვნულობა, სამშობლოსადმი ტკივილი. წინა პლანზე წამოწეული იყო ისეთი დეტალები, რომლებიც ნაკლებად ცნობილია საზოგადოებისათვის. ამდენად, ასეთი ღონისძიებები საინტერესო და შემეცნებითია არა მარტო სკოლის მოსწავლეებისათვის, არამედ მთლიანად

საზოგადოებისათვის. სალამოს ამშვენებდა პოეტის მშობლიური სოფლის (წალენჯიხის) მოტივებთან და პოეტთან დაკავშირებული უახლოესი გარემოცვის ფოტოარქივის მასალები. სცენა მორთული იყო სხვადასხვა აქსესუარით: სანთლები, ნაკეთობები, ძველი ნივთები, რომლებიც უფრო შთამბეჭდავს ხდიდა გარემოს. ღონისძიების სცენარი იმდენად დახვეწილი იყო, რომ უახლოვებოდა თეატრალურ წარმოდგენას... სალამოს დასასრულს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ქალბატონი რუსუდანი ერთგვარად აღამაზებს მოსწავლეთა ცხოვრებას.

ჩვენ გადავწყვიტეთ ინტერვიუ მიგველო ამ ქალბატონისაგან, რომელიც ერთდროულად ხელმძღვანელობს ბიბლიოთეკას და ამასთანავე ასეთი ტიპის კულტურულ ღონისძიებებს აწყობს.

რუსუდან მარკოზიამ მოკლე შესავლით დაიწყო:

– 1987 წლის 13 თებერვალს მოვედი ამ ბიბლიოთეკაში, იმ დროს, როცა მხოლოდ სახელმძღვანელოები იყო ყურადღების საგანი. საჯარო ბიბლიოთეკას აქვს არაჩვეულებრივი ფონდი, მაგრამ უჭირს მკითხველი, აქ, კი სკოლის ბიბლიოთეკებში – პირიქითაა, ფონდია განსხვავებული და ესაა.

– ქალბატონო რუსუდან, დღესდღეობით რამდენად გაქვთ დირექციისგან ხელშეწყობა ფონდის შესავსებად?

– ფონდის აწყობა 6 წლის წინ დაიწყო, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შევქმენით, ახალი თაროები გვაკეთეთ, წიგნები შევიძინეთ და დღესაც არაჩვეულებრივად გვიწყობენ ხელს; დაახლოებით წელიწადში 4 ათასი ლარის წიგნს ვიძინებთ ბიუჯეტიდან და ვავსებთ ფონდს ახალი წიგნებით. აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ ჩვენ სკოლაში დაახლოებით 2500 მოსწავლეა, ბიბლიოთეკის ფონდი კი 6400 წიგნს შეადგენს. აშკარაა ფონდის უკმარობა. ის არ აკმაყოფილებს მკითხველის მოთხოვნას, განსაკუთრებით



საბავშვო ლიტერატურა ჭირდა თავიდანვე და დღესაც ეს პრობლემას წარმოადგენს.

- ნიგნის შერჩევის პროცესში რამდენად ითვალისწინებთ მოსწავლეთა ინტერესებს?

- ეს აუცილებელი პროცესია; ვითვალისწინებთ მოსწავლეთა ასაკს, ასევე აუცილებელია მასწავლებლისა და ბიბლიოთეკარის თანამშრომლობა, მე დახლოებით თვეში 3-ჯერ შევდივარ კლასში, ვკითხულობ, რა ხდება, რა წავიკითხეთ, რა ნიგნი გვინდა, რაც საჭირო და აუცილებელია, ვეკითხები მასწავლებლებს და ა. შ. ამის გარეშე ბიბლიოთეკარის საქმიანობა წარმოუდგენელია.



- რა ფორმით ცდილობთ მოსწავლეთა მოზიდვას ბიბლიოთეკაში?

- როცა ახალ ნიგნს ვღებულობ, ვადგენ საინფორმაციო სიას, რომელსაც ვაკრავ სამასწავლებლოში, ასევე დერეფნებში. პირველ რიგში უნდა იცოდნენ კლასის დამრიგებლებმა, რომ კავშირი არ განწყვიტონ ბიბლიოთეკასთან, ამას მოაქვს შედეგი. გვყავდა რამდენიმე მოსწავლე, რომელსაც უჭირდა კითხვა, ამის შესახებ მე პედსაბჭოზე დავაყენე საკითხი. ეს მოსწავლეები დავიბარეთ ბიბლიოთეკაში, კვირაში რამდენიმეჯერ მოდიოდნენ ჩემთან და ერთად ვმუშაობდით. ამან ძალიან დიდ შედეგამდე მიგვიყვანა; რაც მთავარია, მათ უხარიათ, რომ ეს პრობლემა აღარა აქვთ.

მინდა ავლიშნო, რომ მთავარი ის არ არის, მარტო მხატვრული ნიგნი წაიკითხოს მოსწავლემ, თუ სხვა განყოფილებები უქმად დარჩა; ამისათვის ინტენსიური კონტაქტი მაქვს სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან, ერთად ვატარებთ ღონისძიებებს, რაც მოსწავლეებს ინტერესსა და სტიმულს უჩენს, უბიძგებს ხშირი კონტაქტი ჰქონდეთ ბიბლიოთეკასთან.

- როგორც ჩანს, ამ ღონისძიებების ფორმატი განსხვავებულია.

- რა თქმა უნდა, გვაქვს დარგობრივი ღონისძიებები. მაგალითად, ბიოლოგიაში გვექონდა ღონისძიება სახელწოდებით „ჩვენ გვიყვარს ჩვენი ბუნება“, ასევე გვექონდა მათემატიკაშიც, ხშირად ვანყობთ ლიტერატურულ საღამოებს, კონფერენციებს, პრეზენტაციებს, ასევე მოწვეული გვყავდა მწერლები: ლაშა ბუღაძე, დათო ტურაშვილი.

არ მიმანია სწორად, როცა ბიბლიოთეკარს ავალბენ სახელმძღვანელოების საქმის ორგანიზაციას, ვგულისხმობ ნიგნების შეგროვებასა და დარიგებას. ეს მექანიკური საქმეა, ბიბლიოთეკარმა თავისი საქმე უნდა აკეთოს შემოქმედებითად, კითხვა ასწავლოს მოსწავლეს, ასევე ნიგნთან ურთიერთობა და მიახლოება.

- რა ღონისძიებებს ვგეგმავთ სამომავლოდ?

- პირველ რიგში უნდა გავაკეთო ივანე მაჩაბლის ლიტერატურული საღამო მე-11 კლასელებთან, ასევე უახლოეს მომავალში ხელოვნების პედაგოგთან ერთად ვგეგმავ ღონისძიებას ფიროსმანის შესახებ. მიქელანჯელოზე დანყვეთი კლასებში - ქართველი ქალის შესახებ სამშობლოს თემატიკაზე მაქვს ჩაფიქრებული ღონისძიებები, რასაც ამ სასწავლო წლის ბოლომდე ვგეგმავ გავაკეთოთ. მინდა გითხრა, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ მსგავსი ტიპის ღონისძიებებში მონაწილეობა, ისინი იმდენად თავისუფლები და გახსნილები არიან, ზოგჯერ ჩემშიც კი ინვესს გაცეხას, ეს გარკვეულწილად პედაგოგების დამსახურებაა, რადგან ისინი, ეტყობა, მეგობრულად არიან განწყობილი მოსწავლეებთან.

- ქალაბტონო რუსუდან, თქვენი აზრით, თანამედროვე ელექტრონული ტექნოლოგიების

განვითარების ფონზე არსებობს თუ არა საშიშროება იმისა, რომ ნიგნი დაკარგავს თავის ფუნქციას?

- ვხედავ ამ საშიშროებას და ვამჩნევ, ამდენი წლის პრაქტიკულმა მუშაობამ მაჩვენა, რომ ბავშვი უნდა მივიდეს ნიგნთან, გადაფურცლოს და შეივრძნოს. მე არ ვარ წინააღმდეგი ტექნოლოგიების განვითარებისა, ის თავისთავად ვითარდება, მაგრამ ზომიერება აუცილებელია. კულტურულ საღამოებს რომ ვამზადებდი მოსწავლეებთან ერთად, იყო შემთხვევა, როცა ერთი მოსწავლე ინტერნეტით ეძებდა მასალებს, ძალიან გავუბრაზდი, რატომ, როცა ჩვენ ამაზე რამდენიმე ნიგნი მოგვეპოვება. ამდენად, აუცილებელია ნიგნთან ახლოს ყოფნა. მე მაინც მჯერა, რომ ნიგნი არ ჩამოვა თაროდან, აუცილებლად მივა ის მკითხველამდე ყოველთვის.

ამდენად, ამ ქალაბტონის მსგავსად, ისიამოვნეთ იდეების ცხოვრებაში დანერგვითა და ისეთი კულტურული პროგრამების განხორციელებით, რომლებიც ნამდვილად განსხვავებულ პრეცედენტს წარმოადგენს... როგორც ვხედავთ, დღევანდელ „ონლაინ“ სამყაროში ბიბლიოთეკები ისევე რჩება კონტაქტების, საზოგადოებრივი თავშეყრის და კულტურის ადგილად. საზოგადოებას სჭირდება სწორედ ის ადგილები, სადაც წარმოდგენილი იქნება მათი ინტერესების შესაბამისი პროგრამები, აუდიტორიის ადგილი, სადაც მათი წევრები თავს სასურველ სტუმრად იგრძნობენ...

**ინტერვიუ აიღო
სალომე გუბია**

კორესპონდენციები

მზია ივანიძე

ასპინძის ცენტრალური ბიბლიოთეკის მკითხველი

„ლექსო ნუ დაიპარებები“

2014 წლის 28 თებერვლია, ზამთრის ბოლო დღე. ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სტუმართმოყვარე დარბაზი კვლავ ახმაურდა. დარბაზს ათობოდა ძალამოცემული მზე და თბილი ატმოსფერო. მხატვრული კითხვისა და პოეზიის მოყვარულთ ავესოთ ოთახი.

ლიტერატურული დილა: „ლექსო, ამოგთქომ ოხერო“ თემატურად ქართული ხალხური სატრფიალო პოეზიის ჟანრით იყო წარმოდგენილი. ღონისძიება წუთიერი დუმილით დაიწყო, რითაც პატივი მიაგეს მოძმე უკრაინაში დაღუპულთა ხსოვნას.

ხალხური სიტყვიერების მარგალიტებს მსმენელებს ოსტატურად აწოდებდნენ VIII-IX კლასის მოსწავლეები, მათი ლიტერატურის მასწავლებელი ქალბატონი თინათინ წითლანაძე და ადგილობრივი სახალხო პოეტი ანა ბერიძე.

თემატურად სწორად დალაგებულ ჟანრებს: ქებას, საგმიროს, შაირს, წერილს გასდევდა ლამაზად მორგებული ხალხურივე სიმღერები, რომელთაც ხალხურ საკრავების თანხლებით ასრულებდნენ: ცირა საქიძე, ანა ინაძე და მარიამ მაგრაქველიძე.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: ლევან და ფიქრია გიგაშვილები, ლევან და ვანიკო მაგრაქველიძეები, დაჩი და მარი მელიქიძეები, ვასიკო, თამარი და ნინო ბერიძეები, მანანა ზედგინიძე და სხვები.

ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს, მათი ყოველი ღონისძიება სასიამოვნო, საინტერესო და მსუბუქია. ღონისძიების მონაწილეთ თუ მოწვეულ სტუმრებს რჩებათ კვლავ მოსვლისა და ახალ ღონისძიებაში მონაწილეობის სურვილი. ლიტერატურული დილის წამყვანმა და ორგანიზატორმა ქალბატონმა



ნუნუ ბუჩუკურმა (მომსახურების განყოფილების მთავარი ბიბლიოთეკარი) დარბაზში მყოფთ გააცნო უახლოესი (მარტი, აპრილი, მაისის) გეგმები და დაპირდა, რომ კიდევ უფრო გაამრავლდებოდა და ტექნიკური საშუალებებით გაამდიდრებდა მომავალში ჩასატარებელი ღონისძიებების არეალს. ლიტერატურულ დილას ესწრებოდნენ რაიონის მუნიციპალიტეტის კულტურის განყოფილებისა და პედ. კოლექტივის წარმომადგენლები. მოწვეულ სტუმართა შორის წმინდა გიორგის ტაძრის მოძღვარმა მამაო ზაქარიამ დალოცა სტუმარ-მასპინძელი და მშვიდობიანი თანაცხოვრება უსურვა ბიბლიოთეკას, ნიგნსა და მკითხველს.

მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორმა ქალბატონმა ნინო ბერიძემ მადლობა გადაუხადა მობრძანებულ სტუმრებს, ღონისძიების მონაწილეებს, ორგანიზატორს და გამოთქვა რწმენა, რომ ხვალინდელი აჯობებდა დღეისას.



ჯამილა გაჯიევა

მირზა ფათალი ახუნდოვის სახლ-მუზეუმი თბილისში

მე-19 საუკუნეში მთელი ამიერკავკასიის პოლიტიკურ და კულტურულ ცენტრს თბილისი წარმოადგენდა, ამიტომაც ამ რეგიონის ხალხთა კულტურა დაკავშირებულია თბილისთან და, შეიძლება ითქვას, ამ ქალაქშია თავმოყრილი.

აზერბაიჯანული დრამატურგიის ფუძემდებლის, ფილოსოფოსის, განმანათლებლისა და მწერლის მ. ფ. ახუნდოვის ცხოვრება და მოღვაწეობა მჭიდროდა დაკავშირებული თბილისთან.

მ. ფ. ახუნდოვი დაიბადა 1812 წელს ქალაქ ნუხში (შუქი), ბავშვობაში შეისწავლა სპარსული და აზერბაიჯანული ენები, ღვთისმეტყველება, აღმოსავლური კლასიკური ლიტ-

ლიერებლებისათვის.

დღეს უკვე რესტავრაციის წყალობით, მუზეუმის ნაგებობა საქართველოში ერთ-ერთ საუკეთესო არქიტექტურულ ნიმუშს წარმოადგენს და თანამედროვე სტანდარტებს შეესაბამება. აქ წარმოდგენილი ექსპონატები აზერბაიჯანის მდიდარ კულტურას ასახავენ.

სტაციონარულ ექპოზიციებს შორის შეიძლება გამოვყოთ: 1851 წელს გაზეთ „Kavkaz“-ში პირველად გამოქვეყნებული პიესები, მწერლის ხელნაწერი ახალი აზერბაიჯანული ანბანის პროექტისა, წიგნების ყდები, რომლებიც გამოცემულია ინგლისურ, გერმანულ, რუსულ, ფრანგულ და სხვა ენებზე, წერილები. აქვეა მ. ფ. ახუნდოვის ვაჟის – რამიდ ბეის წერილები მამისადმი.

ექსპოზიცია გამოფენილია მუზეუმის ექვს დარბაზში.

პირველი დარბაზის ექსპონატები წარმოაჩენენ აზერბაიჯანის უძველეს მდიდარ კულტურას;

მეორეი – მ. ფ. ახუნდოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას;

მესამე დარბაზი ასახავს მწერლის სასტუმრო ოთახს, რომელიც აღდგენილია ფოტოგრაფიული ფრაგმენტების მიხედვით;

მეოთხე დარბაზი ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტებითა და მუსიკალური ნაწარმოებების ჩანაწერებითაა წარმოდგენილი, რომელსაც თვალსაჩინო კლასიკური შემსრულებლები ასრულებენ;

მესუთე დარბაზი – ეს მ. ფ. ახუნდოვის სა-მუშაო ოთახია მისი ცნობილი საწერი მაგიდით; მეექვსე დარბაზი ასახავს საქართველოსა და აზერბაიჯანის მეგობრულ ურთიერთკავშირებს;

მესამე სართულზე არის დარბაზი კონფერენციებისათვის სრული ტექნიკური აღჭურვილობებით.

მუზეუმში ექსპონირებულია აგრეთვე სხვა

მნიშვნელოვანი დოკუმენტები.

აქ წარმოებს აზერბაიჯანელი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი დოკუმენტები შესწავლა, რომლებიც დაცულია საქართველოს მუზეუმებსა და არქივებში, მ. ფ. ახუნდოვის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, მისი ნაწარმოებების თარგმანებთან, მის შესახებ არსებულ ლიტერატურულ გამოცემებთან დაკავშირებული მასალები; აქ წარმოდგენილია გამოცემა „მ. ფ. ახუნდოვი და საქართველო“ (ქართულ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ ენებზე).

საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ერთობლივად გამოცემულია სახელმწიფო მუზეუმში დაცული ნოხების კატალოგი.

მუზეუმში ტარდება გამოფენები კულტურის თემატიკაზე, შესვენებები, პრეზენტაციები, შემოქმედებითი საღამოები... ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს უზიარებენ პოეტები, აშულები, პედაგოგები, ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები მთელი ქვეყნის მასშტაბით.

მუზეუმის თანამშრომლები წარმატებით ახორციელებენ კულტურის სამინისტროს პროექტებს. ერთ-ერთი განსაკუთრებით საყურადღებოა ნოხებისა და გობელინების ქსოვის ტრადიციული ტექნიკის შენარჩუნების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა სწავლებას ამ პროფესიის დასაუფლებლად. დარბაზებში გამოფენილია შესატყვისი



ერატურა.

1834 წელს მ. ფ. ახუნდოვი თბილისში ჩამოვიდა და კავკასიის მთავარმართებლის სამოქალაქო ნაწილის კანცელარიაში აღმოსავლური ენების მთარგმნელის რანგში დაინიშნა მუშაობა.

1861 წელს მ. ფ. ახუნდოვი თავისი სახსრებით ძველ თბილისში მტკვრის ხედაზე გააშენა ორსართულიანი სახლი. ამ სახლში ცხოვრობდა ის სიცოცხლის ბოლომდე და აქ შექმნა თავისი ნაწარმოებები.

ამჯერად თბილისის ცენტრში, ძველ უბანში ეს სახლი წარმოადგენს აზერბაიჯანის კულტურული მემკვიდრეობის ძეგელს. მასში მოთავსებულია მ. ფ. ახუნდოვის სახელობის მუზეუმი და კულტურის ცენტრი. ის წარმოადგენს ამიერკავკასიაში ერთადერთ მსხვილ მუზეუმს, რომელიც დაკავშირებულია მ. ფ. ახუნდოვის სახელთან.

1982 წელს საქართველოში მცხოვრებ აზერბაიჯანელი ინტელიგენციის თხოვნით საქართველოს მაშინდელი ხელმძღვანელობის მიერ მ. ფ. ახუნდოვის დაბადებიდან 170 წლისთავთან დაკავშირებით გადაწყდა მწერლის სახელობის მუზეუმის შექმნა, ხოლო 1996 წელს მუზეუმს ჩაუტარდა რესტავრაცია და მასთან დაინიშნა მოქმედება აზერბაიჯანის კულტურულმა ცენტრმა. რეკონსტრუქციის შემდეგ 2013 წლის მაისში რესტავრირებული მუზეუმი გაიხსნა დამთვა-

ექსპონატები, რომლებიც შესრულებულია ხელსაქმის ოსტატების მიერ საქართველოს აზერბაიჯანული სოფლებიდან: ლამბალო, კარჩოფი, ქილსა, ფახრალი და სხვ. მუზეუმთან შექმნილია ნოხების ქსოვის, ხალხური და კლასიკური მუსიკისა და ცალკე მუტამას სტუდია-წრეები, ფერწერის სტუდია საქართველოს მხატვართა კავშირის წევრის ისმაილ რზაევის ხელმძღვანელობით.

მუზეუმთან არსებული ლიტერატურული კაფე „მუსიე ყორდანი“ (მწერლის ერთ-ერთი კომედიური პერსონაჟის სახელი) მყუდრო სავანეს წარმოადგენს, რომელიც ავღანბრის კოლორიტულ ხედს გაჰყურებს, მომსვენლებს ფრანგული საუზმითა და სასმელებით უმასპინძლდება.

ლიტერატურული კაფე 2 000-მდე ნიგნს ფლობს. მომხმარებლები იყენებენ ელექტრონულ კატალოგს. კაფეში ტარდება შეხვედრები და პრეზენტაციები. შეხვედრები მოეწყო მერაბ აბრამიშვილთან და რატი ამაღლობლთან.

საგამოფენო გალერეაში იმართება მხატვრული ნაწარმებისა და ნაციონალური ჩასაცემელ-დასახურის გამოფენა-გაყიდვები.

მუზეუმში დაცულია ცნობილი ქართველი მხატვრების ნამუშევრები. აქ შეიძლება იხილოთ ეკატერინე ბაღდაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის, ავთანდილ ვარაზის, მერაბ აბრამიშვილის, მიხეილ ჯანაშვილის, კირილე ზდნოვიჩის და სხვათა ფერწერული ტილოები; გვხვდება მსოფლიოს ისეთი გამოჩენილი მხატვრების ნაწარმოებები, როგორც არიან: ბ. კუსტოდინევი, ი. რეპინი, ნ. ალტმანი, ა. შილდერი, ვ. სტახოვსკი, ვ. შულცი, ა. რედკოვსკი და სხვანი.

მუზეუმთან არსებულ ბიბლიოთეკაში ფონდი ძირითადად ივსება დოკუმენტური ლიტერატურით, რომელიც უმთავრესად მ. ვ. ახუნდოვთან და ქართველ-აზერბაიჯანელ ხალხთა ურთიერთობასთანაა დაკავშირებული, აგრეთვე სამართლებრივი დოკუმენტები, ლიტერატურა ხელოვნების შესახებ და სხვა ჰუმანიტარული დარგების ნაწარმოებები. ეს ფონდი ჩვენს ქვეყანაში ყველაზე დიდი თავმოყრა აზერბაიჯანული ლიტერატურისა. ბიბლიოთეკის მომხმარებლები არიან სხვადასხვა ასაკისა და კატეგორიის მკითხველები. ესენი არიან: სკოლების მოსწავლეები, მწერლები, პოეტები, რეჟისორები, მსახიობები, ხელოვნების მუშაკები, იურისტები და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ფონდის კომპლექტაციისას პრიორიტეტული ადგილი უჭირავს ნიგნებს, რომლებიც ქართულიდან აზერბაიჯანულზეა თარგმნილი, ან - პირიქით. ამ თვალსაზრისით, ასეთი მდიდარი ლიტერატურა საქართველოში სხვაგან არსად არ არის. სხვათა შორის, ამ ბოლო დროს შესამჩნევად გამრავდა თარგმანები ორივე ენიდან.

თავის დროს აკაკი წერეთელმა რუსულიდან თარგმნა „ლენქორანის ხანის ვეზირის თავგადასავალი, რომელიც მხატვრული თარგმანის ნიმუშად არის აღიარებული. სხვათა შორის, სხვიტორის სახლ-მუზეუმში ბელინსკის, პუშკინის, ტარას შევჩენკოს და სხვა კლასიკოსთა გამოცემების გვერდით დაცულია მირზა ფატალი ახუნდოვის 1853 წელს თბილისში რუსულ ენაზე გამოცემული კომედიების კრებული. ცნობილია, რომ მ. ფ. ახუნდოვი თავის კომედიებს თვითონვე თარგმნიდა რუსულად.

1898 წ. ქართულ სცენაზე თბილისში დაიდგა მ. ფ. ახუნდოვის კომედია „ლენქორანის სახანოს ვეზირი“ სათაურით „ხანის ვეზირი“, რომელიც აკაკი წერეთელმა თარგმნა. წარმოდგენა დიდი წარმატებით შედგა, ქართულ-აზერბაიჯანული კულტურული ურთიერთობების მნიშვნელოვან მოვლენად იქცა.

1898 წლის „ცნობის ფრცულში“ (№447) აკაკი წერდა, რომ ჩვენ, ქართველები არ ვიცნობთ არც ამ მწერალს და არც ჩვენი მეზობელი თათრების (აზერბაიჯანელების) თეატრს, ამიტომაც მოკიდა მან ხელი მ. ფ. ახუნდოვის პიესის თარგმანს, რომ შესულიყო ის „კრებულში“.

1898 წელს „აკაკი თეიური კრებულში“ (№7) აკაკი აქვეყნებ



ნებს შენიშვნებს თარგმანთან დაკავშირებით, რომელშიც ის იძლევა მ. ფ. ახუნდოვის შესახებ ცნობებს და მაღალ შეფასებას აძლევს მის შემოქმედებას. აღნიშნავს, რომ მისი ნაწარმოებები თარგმნილია სხვადასხვა ენებზე. ამასთან, ხაზს უსვამს, რომ ნიჭიერმა კრიტიკოსმა ანატოლი გრიგორიევმა, რომელიც კარგად ერკვევა ხელოვნებაში, ახუნდოვი მოლიერს შეაღარა.

თბილისში საცხოვრებლად გადმოსვლისთანავე მ. ფ. ახუნდოვი დაუახლოვდა რუსეთიდან კავკასიაში გამოსახლებულ პროგრესულად განწყობილ მოწინავე ინტელიგენციას, აგრეთვე ქართველ და სომეხ მოღვაწეებს, ახუნდოვის თბილისელ მეგობართ შორის იყვნენ: ა. ბესტუფეე-მარლინსკი, ი. პოლონსკი, ლ. ზაბოლოცკი, ა. ბაკიანოვი, ი. კუტკაშვესკი, მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ალექსანდრე ჭავჭავაძესთან, გიორგი ერისთავთან, ხ. აბოვიანთან. ყოველივე ამან დიდი გავლენა იქონია მ. ფ. ახუნდოვის მწერლად ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

მ. ფ. ახუნდოვის სამწერლო მოღვაწეობა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იღებს სათავეს. მან განსაკუთრებით მიიპყრო ყურადღება, როცა გამოაქვეყნა ლექსი, მიძღვნილი ა. ს. პუშკინის მკვლელობასთან დაკავშირებით, რომელიც მაშინვე თარგმნა ა. ბესტუფეე-მარლინსკიმ, ქართველმა საზოგადოებამ ეს ნაწარმოები დიდი სიმპატიით მიიღო.

1850-1856 წლებში ახუნდოვმა ექვსი ორიგინალური კომედია დაწერა, რომლებშიც ის დაუნდობლად ამხელდა მუქთახორა ბეგებს და, საერთოდ, მთელ ფეოდალურ ჩამორჩენილობას. 1857 წელს დაწერა ცნობილი მოთხრობა „მოტყუებული ვარსკვლავები“, რომელშიც მწვავე კრიტიკით დაესხა თავს შაჰის დესპოტურ წყობას და წამოაყენა სოციალური რეფორმების იდეა.

50-იანი წლებიდან მ. ფ. ახუნდოვი 20 წელზე მეტხანს დაუღლებლად იბრძოდა თეირანულ და სტამბულულ ხელისუფლებასთან არაბული ანბანის რეფორმის განხორციელებასათვის. მიაჩნდა, რომ არაბული დამწერლობის სირთულე ხელს უშლის მასების განათლების საქმის განვითარებას.

თავისი ლიტერატურულ-მხატვრული შემოქმედებით ახუნდოვმა საფუძველი ჩაუყარა რეალისტურ დრამატურგიასა და მხატვრულ პროზას აზერბაიჯანულ ლიტერატურაში.

1958 წლის 10 ივლისს თბილისის ბოტანიკურ ბაღთან, სადაც არის დამარხული მ. ფ. ახუნდოვი შედგა აზერბაიჯანელი ხალხის ამ დიდი შვილის ძეგლის გახსნა - ნიმუში ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხის კულტურული ურთიერთობისა.



ლელა ფარაქა

ხესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი

გასული წელი წლებთან ერთად გადის

ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ (სამი განყოფილება და ორი საცავით) 2013 წელს მომსახურება გაუწია 4410 მკითხველს და გასცა 83,290 ბეჭდვითი ერთეული. აქედან უფროსი-გაზეთებია 7,910 ეგზემპლარი. ინტერნეტით მომსახურება გაუწია 955 მომხმარებელს. გასული წელს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ბევრი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა: პოეზიის საღამო პოეტ ნიკო სამადაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად, საგაზაფხულო ზეიმი - „ეს გაზაფხულიც მოვიდა“, რომელიც ბავშვთა განყოფილებაში ჩატარდა, ღონისძიება თემაზე: „ვიაროთ ქრისტეს გზით“, ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ შეხვედრა მოუწყო მწერალ დათო ტურაშვილს და სხვ.

ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ შეიძინა კომპიუტერული პროგრამა „ოფენბილიო“ და დღემდე მიმდინარეობს მთლიანი კატალოგის ჩატვირთვა ინტერნეტში, რაც შესაძლებელს გახდის მკითხველების კომპიუტერულ მომსახურებას. 2013 წლის 27 მაისს, ბიბლიოთეკის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ჩატარდა თემატური საღამო - ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავთან დაკავშირებით. 14 ოქტომბერს საბავშვო განყოფილებაში ჩატარდა ღონისძიება სვეტიცხოვლობის დღესასწაულთან დაკავშირებით. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საბავშვო ორგანიზაციამ „ორიონი“. მათ დაათვალიერეს საბავშვო ბიბლიოთეკა და ახლად შექმნილი საბავშვო ლიტერატურა. საბავშვო ბიბლიოთეკის გაცნობის მიზნით მოეწყო შეხვედრა მე-7 საჯარო სკოლის პირველკლასელებთან. მათ დაათვალიერეს ახლად შექმნილი საბავშვო ლიტერატურა. ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა დიალოგი თემაზე: „გადავარჩინოთ ჩვენი ქალაქი ეკოლოგიურ დაბინძურებისაგან“. დიალოგი გაიმართა პოლონური პროგრამის ფარგლებში, ესწრებოდნენ: ქუთაისის სამეცნიერო განყოფილების გამგე ეკატერინე ბარაბაძე, პროექტის ტრენერი ნატო სოსხაძე და ნინო მერკვილაძე-ბენეფიციარები, „ჯორჯიან მანაგეზის“ ქარხნის წარმომადგენლები, რაიონის ექიმები, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციის თანამშრომლები, რაიონის თითქმის მთელი ინტელიგენცია

და ბიბლიოთეკის მკითხველები; მომზადდა და „ჯორჯიან მანაგეზის“ დირექტორს გაეგზავნა წერილი დიალოგის მონაწილეთა ხელმოწერებით, ჩვენი ქალაქის ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან ასაცილებლად. სოფ. პირველი სვირის განყოფილებამ ჩაატარა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 175 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო; მაისის თვიდან ცენტრალურ ბიბლიოთეკის საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობდნენ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებიც გვეხმარებოდნენ განვითარების 10 თვიანი პროგრამის - „მეტი სიახლოვე განათლებასთან, ინფორმაციისა და დასაქმებასთან, საქართველოს ბიბლიოთეკარების პასუხი თანამედროვე გამოწვევების“ განხორციელებაში. ამ პროგრამის ფარგლებში ცენტრალურ ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა 5000 ლარის ღირებულების ტექნიკა. სხვადასხვა სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ბიბლიოთეკის თითქმის ყველა სპეციალისტმა, ხოლო 5 დეკემბერს გაიმართა პროგრამის შემადგამებელი კონფერენცია ქ. ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს ჩვენი ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. მათ გადაეცათ სერთიფიკატები.

2013 წლის სექტემბრის ბოლოს ბიბლიოთეკამ შეიძინა 300 ლარის ღირებულების ახალი წიგნები. მთელი წლით გამოწერილ იქნა 4100 ლარის ღირებულების უფროსი-გაზეთები. 2013 წლის ოქტომბერში ერთი კვირის განმავლობაში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მიმდინარეობდა ახალი წიგნების გამოფენა-დათვალიერება.

2013 წლის ზაფხულში ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ექსკურსიაზე იმყოფებოდა №5 საჯარო სკოლის მესამეკლასელები და კერძო სკოლა „ორნანტის“ პირველკლასელები, რომლებმაც დაათვალიერეს ბიბლიოთეკა და ახალშექმნილი ლიტერატურა. ზაფხულში მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ გამოყოფილი თანხით შეკეთდა სოფ. სვირისა და სოფ. კვალითის ბიბლიოთეკების სახურავები.

ვცდილობთ, ეს წელი კიდევ უფრო ნაყოფიერი და წარმატებული იყოს.

ირმა ქარსალაქა

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომელი

„ცოცხალი ბიბლიოთეკა-კულტურული ბაზრობა“

რეაბილიტაციისა და განვითარების საქველმოქმედო ცენტრმა „თანაზიარმა“ და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ პარტნიორული თანამშრომლობით განახორციელეს მინი პროექტი: „ცოცხალი ბიბლიოთეკა-კულტურული ბაზრობა“, რომელიც ჩატარდა პროექტით „კულტურის განვითარება საზოგადოების წინსვლის საწინდარია“. ამ ფარგლებში დაფინანსდა ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა „კულტურის“ მხარდაჭერით. (პროექტის ხელმძღვანელი - მანანა გვარამია, ასისტენტი - ირმა კვიციანი):

- პროექტი განხორციელდა რამდენიმე ეტაპად:
1. ჩატარდა პრეზენტაცია;
2. გაიმართა შეხვედრები „ცოცხალ წიგნებთან“ - ექსპერტებთან, რომლებიც მუშაობენ ხალხური კულ-

ტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა იშვიათ დარგებში;
3. ბოლოს გაიმართა მთავარი ღონისძიება - „ცოცხალი ბიბლიოთეკა - კულტურული ბაზრობა“.

1. პროექტის განხორციელება დაიწყო პროექტის პრეზენტაციით, შესავალი სიტყვა წარმოთქვა „თანაზიარის“ ხელმძღვანელმა ხათუნა ბეჭვაიამ, საზოგადოებას პროექტი წარუდგინა პროექტის კოორდინატორმა მანანა გვარამიამ.

პრეზენტაცია ჩატარდა 15 ოქტომბერს. ღონისძიებას ესწრებოდნენ არასამთავრობო, სამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, სტუდენტები, მოსწავლეები, პროექტის მონაწილე „ცოცხალი წიგნები“, ცენტრალური ბიბლიოთეკისა და კავშირის „თანაზიარის“ თანამშრომლები; პროექტმა საზოგადოების მოწონება



დაიშინებენ.

2. პროექტის ჯგუფის წევრები: კოორდინატორი, ასისტენტი და ოპერატორი შეხვდნენ პროექტის მონაწილე „ცოცხალ წიგნებს“ – ექსპერტებს, მათთან შეთანხმებისა და მათი კატალოგისთვის მონაცემების შეგროვების მიზნით. ოპერატორი იღებდა კადრებს მათი საქმიანობის შესახებ. შეხვედრების უმეტესი ნაწილი მიმდინარეობდა მათ სახელოსნოებში, რაც აისახება ვიდეოსიუჟეტში, ძალიან საინტერესო იყო ეს შეხვედრები პროექტზე მომუშავე ჯგუფისთვის, ამ შეხვედრებმა წარმოაჩინა უდიდესი ღირსებები ქართული ხალხური კულტურული მემკვიდრეობის.

შეხვედრების დამთავრების შემდეგ შეიქმნა კატალოგები, შედგენილ იქნა მოსაწვევი, ბუკლეტები, აფიშები, რომლებიც გავრცელდა როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ასევე სოფლებში, ადგილობრივი დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ოდიშის“ ეთერით გაშვებულ იქნა მორბენალი სტრიქონი.

3. ბოლოს შედგა მთავარი ღონისძიება. 22 ნოემბერს ზუგდიდის ცენტრალურ ბულვარში, ზვიად გამსახურდიას ძეგლთან, ღია ცის ქვეშ ჩატარდა „ცოცხალი ბიბლიოთეკა-კულტურული ბაზრობა“. ეს იყო „ნამდივლი ბიბლიოთეკა“, განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ წიგნები ცოცხალი ადამიანები იყვნენ, ხალხური კულტურის იშვიათ სახეობებზე მომუშავენი, თავიანთი საქმის ექსპერტები, ხოლო წიგნების მკითხველები სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის დაინტერესებული ადამიანები.

მონაწილეობა მიიღო 15 „ცოცხალმა წიგნმა“ – სამეგრელოს კულტურული მემკვიდრეობის გამგრძელებლებმა; ესენი იყვნენ: ხალხური სიმღერების ლოტბარი ქეთევან კილასონია; ხეზე კვეთის ოსტატები – თენგიზ მიქენაია, მურადი საჯაია; ქარგვისა და თექის ოსტატი ეკა ჯოლოგუა; კერამიკოსი რუბენ აბსანძე; ჩონგურის, ფანდურის დამზადების ოსტატი ლევან ღვინჯილია; ფოლკლორული ანსამბლი „ოდიშა“ (ხელმძღვანელი მერაბ ბიგვავა); ქართული ქრისტიანული კულტურის (ხატწერა, რიტუალები, ნიშნები, ჩაცმულობა) მწარმოებელთა წარმომადგენელი დეკანოზი ანდრია (შალვა) კე-მულარია; პანტომიმის თეატრის მსახიობი გიორგი ქობა-ლია; ტინიუქი მინაქარის ნაწარმთა წარმომადგენელი სანდრო მიქენაია; ზუგდიდის ისტორიული მუზეუმის ექსპოზიციის კურატორი ციალა თითმერია, ეროვნული ხალხური სამოსის დიზაინერი ნონა კვიციანი; სოციალური სანარმო „ენგური 1-ის“ ხელმძღვანელი ირუზა კაკავა და მისი მოსწავლეები; შესაძლებლობაზე ზღუდული ადამიანები დათო ქვარაია და მარიამ ხახუბია; აქედან ორმა მოხალისეობით მიიღო მონაწილეობა, ჰონორარის გარეშე – მურად საჯაიამ და სანდრო მიქენაიამ.

„ცოცხალი წიგნები“ ბულვარში განთავსდნენ სკამებზე, მათ წინ იდგა სკამები მკითხველისთვის.

მკითხველს გასაუბრებლად შეეძლო „ცოცხალი წიგნების“ წაკითხვა, ასევე შესაძლებელი იყო მათი ნამუშევრების დათვალიერება. ბიბლიოთეკარებთან რეგისტრაცია გაიარა 78 მკითხველმა. ამას გარდა, ძალიან ბევრი რეგისტრაციის გარეშე მიდიოდა თავისუფალ „ცოცხალ წიგნებთან“. იყო პირისპირ საუბრები, ასევე ჯგუფურადაც სხდებოდნენ „ცოცხალ წიგნებთან“, ყველა წიგნთან, მეტ-ნაკლებად, იყო გარკვეული რაოდენობა მკითხველებისა. აღსანიშნავია, რომ თავისუფალ დროს თვითონ „ცოცხალი წიგნები“ საუბრობდნენ პირისპირ, ერთმანეთის დიდი ინტერესი ჰქონდათ გამომდინარე თავიანთი საქმიანობიდან.



პარალელურად გაიმართა „ცოცხალი წიგნების“ ნამუშევრების გამოფენა. წარმოდგენილი იყო ხეზე კვეთის, ნაქარგობის, თექის, ტინიუქი მინაქარის ნამუშევრები, ეროვნული სამოსი; აღსანიშნავია, რომ სოციალური სანარმო „ენგური“-ის შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებმა წარმოადგინეს თავიანთი ნამუშევრები. ვიზუალმა თავისი გააკეთა – იყო დიდი დაინტერესება, რამდენიმე „ცოცხალ წიგნს“ მისცეს შეკვეთები. ამასთან ერთად, მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიშთან“ არსებულმა ანსამბლმა „ოდიშამ“ და მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ვაჟთა ვოკალურმა გუნდმა ღონისძიების მიმდინარეობის დროს შეასრულეს მუსიკალური ნომრები.

პროექტში მოხალისეებად ჩართული იყვნენ ბიბლიოთეკის ახალგაზრდა მკითხველები: მარიამ კუკავა, კატო ჯღამაძე, მერი ჯალალონია, გიორგი ბულია, ხატია გოგია, რომლებმაც ცენტრალურ ბულვარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე დააარსეს ღონისძიების ბუკლეტები, მოსაწვევები, ღონისძიების მიმდინარეობის პროცესში მოხალისეები საზოგადოებას უმასპინძლდებოდნენ ტკბილეულით, ჩურჩხელებითა და წყლებით.

პროექტის განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს „თანაზიარისა“ და ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა. აღსანიშნავია პროექტის მიმართ დიდი ინტერესი. ეს იყო ზუგდიდის ცხოვრებაში ერთ-ერთი უჩვეულო დღე ღონისძიების ფორმის ინოვაციურობით. აქ იყო არამარტო გამოფენა, არამედ კვალიფიციური დიალოგი ადამიანებთან, რომლებიც ენთუზიანებით აკეთებენ თავიანთ საყვარელ საქმეს, არიან კულტურის იშვიათ დარგებში მოღვაწენი. უნდა აღინიშნოს, რომ ღონისძიება გასცდა ზუგდიდის ფარგლებს, მან შეიძინა რეგიონალური მნიშვნელობა, რადგანაც მასში მონაწილეობდნენ „ცოცხალი წიგნები“ წალენჯიხისა და ჩხოროწყუს რაიონებიდან, მაგალითად, მოქანდაკე მურად საჯაია, ხალხური საკრავების – ჩონგურისა და ფანდურის ოსტატი ლევან ღვინჯილია (აღმოჩნდა, რომ ამ საკრავების დამზადებაზე ზუგდიდში არავინ არ მუშაობს), სოციალური სანარმო „ენგური 1-ის“ მოსწავლე მარიამ ხახუბია (დევნილი აფხაზეთიდან – ოჩამჩირე).

პროექტის განხორციელების მიმდინარეობის ირგვლივ ინფორმაციის სისტემატურად თავსდებოდა სოციალურ ქსელში, სადაც იყო მოწონებები და დადებითი შეფასებები, კომენტარები. მომზადდა ვიდეოსიუჟეტი პროექტის მიმდინარეობის შესახებ. პროექტმა აჩვენა მსგავსი ღონისძიებების ჩატარების აქტუალობა. გადაწყდა, რომ ღონისძიება გადაიტყვეს ტრადიციად და ჩატარდეს ყოველი წლის შემოდგომაზე.



ცილა ნაბიარიძე

ზესტაფონის ცენტრალური ბიბლიოთეკის სპეციალისტი

„პოეტის გულში ზღვა სინათლეა“

ზესტაფონის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მკითხველებს ყოველთვის მიუხარიათ, რადგან აქ ხვდებით თბილი გარემო და სრულყოფილი მომსახურება. სამკითხველო დარბაზი მუდამ სავსეა მკითხველებით, ზოგს გაზეთი უჭირავს ხელში, ზოგი ენციკლოპედიაში ეძებს მასალებს, ზოგი უახლესი ტექნოლოგიებით სარგებლობს და სხვა.

2014 წლის 18 თებერვალს ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შეიკრიბნენ პოეზიის მოყვარულნი, აქ იმართებოდა ბიბლიოთეკის თანამშრომლის – პოეტ გოჩა

ლონისძიება შესავალი სიტყვით გახსნა ბიბლიოთეკის დირექტორმა ლელა ფერაძემ. გოჩა სხილაძის შემოქმედებაზე ისაუბრა პოეტმა მალხაზ მაჭავარიანმა, მანვე წაიკითხა მისი ჩანახატი „ხელები“. პოეტმა წიგნიდან „ამბორი სიბნელეში“ წაიკითხა რამდენიმე ლექსი, პარალელურად მის ჩანახატებს კითხულობდა ახალგაზრდა პოეტი ნინო ჭუმბურიძე.

მისასაღმებელი სიტყვითა და დიდი ემოციური მუხტით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ გამომსვლელები: ქუთაისელი პოეტი, მწერალი ცირა ყურაშვილი, პოეტი ნანა ჩიტორელიძე, ექიმი დიმა ჯუღელი, გია ნებიერიძე, ზაზა დავლაძე, ზაზა გოგიაშვილი, პედაგოგი ირინა ლანჩავა, საკრებულოს თავმჯდომარე თამაზ ბეჟუაშვილი. პოეტის ქალიშვილმა ნია სხილაძემ წაიკითხა ლექსი „ნია“.

ლონისძიება მიმდინარეობდა მუსიკის ფონზე, რომელსაც ფორტეპიანოზე ასრულებდა სოფო ოყროშიძე.

... და ბოლოს, პოეტმა გ. სხილაძემ ისაუბრა, თუ რამ განაპირობა მისი პოეზიისადმი მიდრეკილება და ამაღლებული გრძნობით წაიკითხა თავისი ლექსები. დამსწრე საზოგადოებამ მხიარული და იმედიანი განწყობილებით დატოვა დარბაზი. ეს დღე უდავოდ დიდხანს ემახსოვრებათ საღამოთი მოხიბლულ სტუმრებს, მონაწილეებსა და ბიბლიოთეკის მკითხველებს.



სხილაძის წიგნის – „ამბორი სიბნელეში“ პრეზენტაცია. პოეტს გამოცემული აქვს აგრეთვე ლექსთა კრებულები: „მკვდარი მზე“ და „დიდი მზესუმზირა“. ამ ლექსებით თავად ავტორმა საკმაოდ სხარტად და დამაჯერებლად წარმოგვიდგინა საკუთარი თავი.

საინტერესო იყო პოეტ რ. ჩილაჩავას გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ გოჩა სხილაძეს ბევრი ნაუკითხავს, უფიქრია და განუცდია, რაც აშკარად ჩანს მის ფაქიზ ლექსებსა და ესეისტურ მინიატურებში. პოეზია ყოველთვის არ ნიშნავს განსაკუთრებულ აზრებს, მაგრამ ყოველთვის მიელტვის ნებისმიერი აზრის ოსტატურად გამოხატვისაკენ, ლექსი პოეტისათვის ტელესკოპია, საიდანაც მთელი სამყარო მოჩანს თავისი ამაღლებული მშვენიერებითა და უმანკოებით, ზოგჯერ – ტრაგიზმით და სიმპხინჯით. თანადგომა, თანაგანცდა, თანაზიარება მისი მინიერი ყოფის მახასიათებელია, ერთგვარი საფირმო ნიშანია. მის სულსა და გონებას მეტწილად კაცობრიობის მარადიული სატიკვირები ალღევებს და აფორიაქებს.

გოჩა სხილაძის ბიოგრაფია სწორედ მის ლექსებშია. მინდა ხაზი გავუსვა პოეტის შინაგან, ბუნებრივ და სასურველ კავშირს იმ დიად წინამორბედებთან, საიდანაც ბუნებრივად ამოიზრდება ხოლმე პოეტური ხის ახალი და ჭეშმარიტი ნერვი.

ლონისძიებას ესწრებოდნენ: საკრებულოს წევრები, კულტურის სამსახურის თანამშრომლები, მწერალთა კავშირის წევრი, მწერალი და პოეტი ცირა ყურაშვილი, რაიონის ინტელიგენცია და ბიბლიოთეკის მკითხველები.

პოეზია სანთლების უქვე

2014 წლის 31 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ სამკითხველო დარბაზში ჩაატარა „პოეზიის“ საღამო რაიონის ახალგაზრდა პოეტთა მონაწილეობით. ლონისძიებაში მონაწილეობდნენ რაიონის ყველა საჯარო სკოლის მოსწავლეები, რომლებიც გაერთიანებული არიან სამოქალაქო კლუბ „ფინიქსი“. კლუბს ხელმძღვანელობს მე-6 საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე მურმან ალავიძე. საკუთარი ლექსების კითხვით ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ახალგაზრდა პოეტები. ესენი არიან: მურმან ალავიძე, მიხეილ სიხარულიძე, ნინო ჭუმბურიძე, მირანდა ღლონტი, მაკა ლიპარიძე, გიორგი ლეკვეიშვილი, ალექსი ხიდაშელი და დავით მახარაძე.

ლონისძიებას ესწრებოდნენ კულტურის სამსახურის უფროსი ხათუნა ასათიანი, თანამშრომლები: მარინა ჭელიძე, ნანუკა პერანიძე, პედაგოგები და ბიბლიოთეკის მკითხველები. ახალგაზრდა პოეტებს მიესალმნენ: კულტურის სამსახურის უფროსი ხათუნა ასათიანი, ბიბლიოთეკის დირექტორი ლელა ფერაძე, პოეტი მალხაზ მაჭავარიანი, ბიბლიოთეკის თანამშრომლები: ელიკო კაკოიშვილი და პოეტი გოჩა სხილაძე. ლონისძიებას განსაკუთრებული სიღამაზე შემატეს ანსამბლ „შეგარდენის“ მოცეკვავე გოგონებმა, რომლებმაც შეასრულეს

„ყვავილების ცეკვა“ (ხელმძღვანელი ღობრაძე). ფორტეპიანოზე მოცარტის ნაწარმოები შეასრულა სოფიკო ოყროშიძემ, ხოლო ელენე ძაბირაძემ იმღერა ნინო ქათამაძის სიმღერა მისი რეპერტუარიდან. ღონისძიებამ დიდი მონონება დაიმსახურა და ამ საღამომ ნათლად დაგვანახა, რომ საქართველოში იზრდებიან პოეზიის მოყვარული მომავალი თაობები, ცხადია, ამ ახალგაზრდა ჭაბუკებს არ მოეთხოვებათ შემოქმედებითი სრულყოფილება, მაგრამ იმას კი ნამდვილად მოველით, რომ ისინი უეჭველად იტყვიან ახალ სიტყვას და შემოქმედებით პიროვნებად მოგვევლინებიან. ცენტრალური ბიბლიოთეკის თანამშრომლებს კიდევ მრავალი ლამაზი ღონისძიების ჩატარება აქვთ გათვალისწინებული, რომ უფრო გაუმჯობესდეს მკითხველთა მომსახურების საქმე.



რუსუდან ფალავა

53-ე საჯარო ბიბლიოთეკის გამგე

ჩვენი საყვარელი მკითხველი

როდესაც ჩვენი ქალაქის ცნობილმა და მკითხველებთან მუშაობაში გამორჩეულმა ბიბლიოთეკარებმა თავიანთ საყვარელ და გამორჩეულ მკითხველზე ინფორმაცია მოგვანოდეს, ყურადღებით გავეცანით და ჩავინერეთ კიდევ. სიამოვნებით ვთავაზობთ ჩვენი ჟურნალის მოყვარულებს მათ ნაამბობს. იმედი გვაქვს, გამორჩეული და ერთგული მკითხველები თქვენცა გყავთ და სასურველი იქნება, თუ მათაც გაგაცნობთ, ძვირფასო ბიბლიოთეკარებო. მე კი მინდა აქ ერთ-ერთ ჩვენს შესანიშნავ მკითხველზე შევჩეროთ თქვენი ყურადღება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ „საქართველოს ბიბლიოთეკა“ - ჩვენი საყვარელი ჟურნალია. მის ფურცლებზე ბევრჯერ დანერგულა ბიბლიოთეკებისა და საკუთარ პროფესიაზე შეყვარებულთა, მაგდარი ბიბლიოთეკარების საქმიანობის ამსახველი წერილები, რაც თავისთავად კარგია და აუცილებელი, მაგრამ ბიბლიოთეკების მუშაობის მთავარი მისია და მათი მამოძრავებელი ძალა მკითხველია.

მე მინდა ერთ გამორჩეულ, ქართული პოეზიით გატაცებულ მკითხველზე მოგიტხროთ. იგი ჩუმად, მოკრძალებულად ცხოვრობს, ეწევა შრომის ყოველდღიურ ჭაპანს არსებობისათვის, მაგრამ გულში ლიტერატურის სიყვარულის ჩაუქრობელი კვარი უნთია, თვლებიდან სხვაგვარი სხივი უკრთის, ეს ქალბატონი ლამარა მსტოიანია, ნამდვილი თბილისელი მოქალაქე, ეროვნებით ქურთი, 53-ე და ქალაქის მთავარი ბიბლიოთეკების ერთგული მკითხველი, ქართული ხალხური პოეზიის მოტრფიალე, ვაჟა ფშაველას და გოდერძი ჩოხელის შემოქმედების ჭეშმარიტი დამფასებელი, სათნო, გამრჯე და კეთილშობილი ადამიანი.

მიუხედავად უამრავი ყოფითი პრობლემისა, ქალბატონ ლამარას ჩვენს ბიბლიოთეკაში ყოველთვის მოუხარია, ბიბლიოთეკის თანამშრომლები ასევე სიყვარულით ვეგებებით მას. მისთვის ბიბლიოთეკა თბილი კერაა, საკმაოდ რთული ცხოვრებისაგან განტვირთვის, ინტელექტუალური დასვენების ადგილი, სადაც მას შეუძლია ისაუბროს პოეზიაზე, წაიკითხოს ლექსები და ჩვენ, მსმენელებს გვაჩუქოს პოეზიის არა „ხუთი ნუთი“, არამედ

მთელი საათი.

როდესაც ქალაქის მთავარმა ბიბლიოთეკამ გაეროს ეგიდით ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო მოაწყო და ხალხმრავალ აუდიტორიაში სხვადასხვა ბიბლიოთეკების მკითხველთა ჯგუფები გამოდიოდნენ, მათ შორის იყო ჩვენი საყვარელი მკითხველიც. ჩვენი ქალაქის ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა: უკრაინელებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ებრაელებმა და სხვებმა თავიანთი შესაძლებლობები ხელოვნების სხვადასხვა დარგში წარმოაჩინეს. იყო სიმღერები, ცეკვები, მხატვართა ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ ჩვენ, ბიბლიოთეკარები ვამაყობდით იმით, რომ ჩვენმა მკითხველმა, ლამარა მსტოიანმა ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე ცოდნით მსმენელები მოხიბლა, როცა წაიკითხა ვაჟა-ფშაველას ლექსები: „იას უთხარით ტურფასა“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „გული“ და სხვა. ლამარა კითხულობდა სადად, ხალასად, ომახიანად, ისე, როგორც ქართული მთის პოეზიას შეეფერებოდა. საღამოს ჩვენი საყვარელი პოეტი - მზია ხეთაგური უძღვებოდა, რომელმაც ქალბატონი ლამარა, მისივე რედაქტორობით გამოცემული წიგნით - „ჩემი ვაჟა“, დაასაჩუქრა.

ქალბატონი ლამარას ყოველი მოსვლა ბიბლიოთეკაში მეგობრობისა და სიყვარულის გამოვლინების მაგალითია. 53-ე ბიბლიოთეკის გამგემ, ქალბატონმა რუსუდანმა ჩაათავა რა თავისი სათქმელი მეც მინდა მოგიტხროთ გულით ანთებულ ქურთ მანდილოსანზე, ბრძანა თბილისის მთავარი ბიბლიოთეკის მკითხველთა სამსახურის უფროსმა მანონ ხორავამ და დაამატა: - ლამარა მსტოიანი ჩვენს ბიბლიოთეკის მკითხველია, ჩვენს მკითხველებში ერთ-ერთი გამორჩეული, პოეზიისა და ქართული ლიტერატურის დიდი თავყანისმცემელია, სასიხარულოა, რომ ჩვენი მოქალაქე ქურთი ქალბატონი სხვა გამორჩეულ მწერალთა გარდა მგზნებარებით და აღტაცებით კითხულობს ქართველი მწერლების თხზულებებს. მან გვიამბო, თუ როგორ უყვარდა ბავშვობიდანვე კითხვა, რაც მშობლებს გადაჭარბებულად ეჩვენებოდათ, ამიტომ მიმართა ემმაკურ ხერხს, ლამით





სანოლში შეჰქონდა ფარანი და საბნის ქვეშ, მალულად კითხულობდა საყვარელ წიგნებს.

როდესაც ჩვენს ბიბლიოთეკაში ინტერნაციონალური მეგობრობის საღამო ჩავატარეთ, რომელსაც ესწრებოდნენ ქალაქის ხელმძღვანელობიდან სტუმრები, ისმოდა სიმღერები სხვადასხვა ენაზე, უკრაინულად ცეკვავდნენ ქართველები, ქართულად – სომხები და სხვადასხვა ერის შვილები, იგივე ჩვენი მოქალაქენი; მათ შორის იყო ჩვენი საყვარელი მკითხველი ლამარა მსტოიანი. იგი ბავშვივით ღელავდა, რადგანაც პირველად გამოვიდა ასეთი დიდი აუდიტორიის წინაშე, მაგრამ შესანიშნავად წაიკითხა ვაჟასა და გოდერძი ჩოხელის ლექსები და ყველას ყურადღება მიიპყრო. ლამარა მსტოიანი ჩვენი ბიბლიოთეკის ერთ-ერთი შესანიშნავი და მისაბაძი მკითხველია.

მზინა რურუა-ჩისლაძე

ღირსეული დროულად დაგვაფასოთ

სამტრედიის ადგილობრივ გაზეთ „მაცნეში“ დაიბეჭდა ამგვარ გაზეთის პასუხისმგებელი მდივნის ლევან გაბეჩავას წერილი – „ღირსეულთ დროულად დაეუფასოთ ამაგი“.

თითქოსდა ჩვენი ბიბლიოთეკარების სატიკვარი გაახშირდა, სამზუროზე გამოიტანა... წუთისოფელს სამარადისოდ არავინ შერჩენია, მიდის დრო, იცვლებიან თაობები, მაგრამ სამაგალითოდ და ახალგაზრდებისათვის მისათითებლად მუდამ რჩებიან საქმით, შრომით განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული ადამიანები, რომელთა დამსახურებასა და ღვაწლს აფასებენ და მადლიერებით მოიხსენიებენ ყველა დროში. მადლობა ღმერთს, რომ ეს ასეა და ასეთი გამორჩეულები ყველა პროფესიას ჰყავს. მაგრამ დღეისათვის რატომღაც მივიწყებული რჩებიან ბიბლიოთეკარები, არადა, გამორჩეულები მათ შორისაც არიან, რა თქმა უნდა! დიდ საქმეს აკეთებენ. ჩუმად, სხვების შეუწუხებლად ემსახურებიან თავიანთ საყვარელ საქმეს. მკითხველ-მომხმარებელთათვის მიმზიდველს ხდიან იმ სამყაროს, სადაც მართლაც დიდი ხიბლი და სულიერება სუფევს. ვინ და რა ენა ჩამოთვლის იმ წვრილმან საქმიანობას, რასაც ბიბლიოთეკარი ეწევა, მაგრამ როდესაც ყოველივე ამას თანაც ნიჭიერება ახლავს, მაშინ არის, რომ არ იკეტება ბიბლიოთეკის კარი, ცვდება საბიბლიოთეკო დოკუმენტები და შენობა ისეთ სამეცნიერო ტაძრად გვევლინება, რომლის გაუფელელადაც ადამიანი, რაც უნდა

ქონების მფლობელი იყოს იგი, მაინც უღარიბესად რჩება. ბიბლიოთეკარებს, რომლებიც გამორჩეულნი არიან ღმილით, სიყვარულით, მკითხველთან ურთიერთობისა და ზოგადად, მკითხველთა მომსახურების ცოდნით, რომელთაც შეუძლიათ ადამიანთა განვითარება (გნებავთ, გაადამიანება) უდავოდ ეკუთვნით ზემდგომთაგან ყურადღება, რაც უთუოდ უნდა გამოიხატოს კულტურის დამსახურებული მუშაკის, საპატიო ბიბლიოთეკარის, დამსახურებული ბიბლიოთეკარის და ასე შემდეგ ნოდებებით.

უნდა ვთქვა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში არიან ბიბლიოთეკარები, რომლებიც იმსახურებენ ამ ნოდებას. იქნებ ვინმე შემოგვედავოს, ძველი დრო რამ გაგახსენათო, ახლა ეს ნოდებები აღარ არსებობსო, მაგრამ ჩვენ ხომ ვართ ბიბლიოთეკარები, რომლებიც ერთმანეთისაგან განვსხვავდებით, მეტ პატივს ვიმსახურებთ, მეტი ყურადღება გვჭირდება, ალალი იქნება ნებისმიერი ჯილდო, ან დამსახურებული ნოდებების მინიჭება. ქვეყანაში ღირსეული ბიბლიოთეკარები მრავლად გვყვანან. ეს ყველაფერი ხომ ჩვენს მომავალს, ახალგაზრდობას ჭირდება უკეთესი სტიმულისათვის.

იქნებ ბიბლიოთეკარები ერთხელაც ჩრდილიდან გამოვიყვანოთ და სათანადოდ შევაფასოთ მათი ღვაწლი.

ლარისა როგაძა

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე

ბიბლიო 2013

ზუგდიდის ცენტრალური ბიბლიოთეკის 2014 წლის 6 თებერვლის ღონისძიება „ბიბლიო2013“ ტრადიციული ღონისძიებაა და ყოველწლიურად ტარდება. ბიბლიოთეკა ამ დღეს განვლილი წლის მუშაობას აჯამებს, ავლენს საუკეთესო მკითხველს, ბიბლიოთეკარს, განყოფილებას და სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებულებს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექცია აჯილდოვებს სიგელ-

ბით. დამსწრე საზოგადოების წინაშე წლიური ანგარიშით წარსდგა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორის მ. შ. მანანა გვარამია. ასევე ანგარიშით წარსდგნენ განყოფილების გამგეები: ინგა ქარჩავა, ნანი სიჭინავა, დოდო კუხალეიშვილი, ირმა კვირია.

წლის საუკეთესო მკითხველის სიგელი 52 მკითხველს გადაეცა, ესენი არიან: დარსანია ნათია, ბელქანია მიმოზა, ანთია დომენტი, ეხვია გრიშა, ბულია პაატა, ლაგვილავა მაკარი, გამსახურდია

ნანა, ქარაზანაშვილი ნანა, ლულათავა სალომე, გორდულავა მათა, ჩანგელია ელენე, ჩიხლაძე ანა, ხურცია დიმა, ჩხაიძე ეკა, გულუა ირაკლი, ალანია ანა, შენგელია დიმიტრი, სამელია ინგა, სვირავეა ნანა, შურღია ირაკლი, ელეფტერიადი ნანა, ლაშხია ლაზარე, ფაცია თიკო, ამანათიძე ირაკლი, სამუშია ბაია, ფირცხელიანი ავთანდილი, დამენია მარინე, აქუბარდია მარი, თოდუა ანანო, ბელქანია ნინო, ხორავა ილია, ქვარაია ლიმერი, თოდუა მათა, შკურო გურამი, გაგუა გიორგი, თოლორაია ნიკოლოზი, ქობალია გულიკო, ბერულავა მერი, შარაშია თამუნა, გულორდავა გიორგი, შეროზია ნუნუკა, გაბისონია იზა, სოსელია გიორგი, სამუშია მარინა, ძიმცვიშვილი ლიზი, ღვინჯილია სალომე, ყვანია თამუნა, გულუა სოფო, თოდუა მარი, ფარცხვანია სესილი.

დასახელდნენ წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარები: ირმა კვიციანი და ინგა ქარჩავა. სიგელები გადაეცაოთ სამკითხველი დარბაზის თანამშრომლებს: ნანი სიჭინავას, ზეინაზ მორგოშიას და ქეთინო ფონიავას დარბაზის რეაბილიტაციაში განეული ღვანლისთვის.

საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული განყოფილების გამგე ცილა ფაცაცია დაჯილდოვდა ბარათული საინფორმაციო ბაზის შექმნაში განეული ღვანლისთვის.

ლი ღვანლისთვის.

სიგელებით დაჯილდოვდნენ საბავშვო განყოფილება საბიბლიოთეკო საქმეში განეული ღვანლისთვის, ტექნიკური სერვისის განყოფილება საბიბლიოთეკო ფონდების აღრიცხვაში განეული ღვანლისთვის და ამერიკული კუთხე აქტიური კლუბური საქმიანობისთვის.

ასევე სიგელები გადაეცა ჭკადუაშისა და კოკი-ხურჩას სასოფლო ბიბლიოთეკა ფილიალის გამგეებს: კახა ჭითანავას და ლეილა ესათიას საბიბლიოთეკო საქმეში განეული ღვანლისთვის.

ლონისძიებას ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების, მედია-საშუალებების წარმომადგენლები, მკითხველები. ღონისძიების მხატვრულ ნაწილში მონაწილეობა მიიღეს ქალაქ ზუგდიდის მეორე სამუსიკო სკოლის მოსწავლეებმა (დირექტორი ნანა ჭეყია).

ბიბლიოთეკის აქტიურმა მკითხველებმა ნაიკითხეს ლექსები, საღამოზე შესრულებულმა სიმღერებმა და ნაიკითხულებმა ლექსებმა დამსწრე საზოგადოების მონონება დაიმსახურა.

შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა, მონვეულ სტუმრებს მიესალმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე გურგენ სართანია.



რეცენზია

გიორგი სარაჯიშვილი

ერთი საუკუნით დაბვიანებული ერთგონილი წიგნი

დავით გურგენიძე



ანდრია ღაღიანი

ციცილისწიგნობიდან
საქართველოს
ბიბლიოთეკაში

ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საჭადრაკო კომპოზიციის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის დავით გურგენიძის ახალი წიგნის „ანდრია დადიანი – ცილისწამებიდან ჭემმარიტებამდე“ პრეზენტაცია. ავტორი რამდენიმე წლის განმავლობაში იკვლევდა პირველი ქართველი მოჭადრაკის ცხოვრებასა და შემოქმედებას, ანდრიას სახელთან დაკავშირებულ სკანდალური ისტორიის სხვადასხვა ამბებს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ჟურნალ-გაზეთების საჭადრაკო რუბრიკების, ზუგდიდის დადიანების სასახლეების მუზეუმების დღემდე შეუსწავლელი მასალის გამოძიებების შედეგად ანდრია დადიანი თავისი დროის მსოფლიოს საჭადრაკო სამყაროს ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფიგურად წარმოჩნდა.

წიგნის ავტორმა მადლიერების გრძნობით მოიხსენია უცხოელი მკვლევარები, რომლებმაც უანგაროდ მიანოდეს ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, რუსეთის საჭადრაკო ჟურნალებში ანდრიაზე გამოქვეყნებული მასალები.

ფეოდალურმა საგვარეულოებმა, მათ შორის დადიანების გვარმაც (გვარი, როგორც ამბობენ, არის სახელისაგან – „დადი“), ბევრი ისტორიული პიროვნება წარმოაჩინა. მათ შორისაა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის ვაჟი ანდრია დადიანი (1850–1910). ჭადრაკი მისი ცხოვრების უმთავრესი გატაცება იყო. გერმანიაში, ჰაიდელ-



ბერგის უნივერსიტეტი დაამთავრა (1873). შემდეგ რუსეთის არმიის გენერალი, იურისტი, მსოფლიოში ცნობილი მოჭადრაკე და ქველმოქმედი გახდა.

ანდრია დადიანის ქველმოქმედებას დიდი მნიშვნელობა ჰქონია საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირების ორგანიზებაში. მე-20 საუკუნის დასაწყისი მონტე-კარლოს ოთხი საერთაშორისო ტურნირით აღინიშნა. 1902 და 1903 წლებში ანდრია ტურნირის პრეზიდენტი. მისი მფარველობით გამართულია 1904 წლის ტურნირიც. ამ შეჯიბრებებში იმ დროის მსოფლიოს ყველა გამოჩენილი მოჭადრაკე ასპარეზობდა. ემ. ლასკერის გარდა. 1903 წელს მომხდარა გახმაურებული კონფლიქტი ანდრიასა და გამოჩენილ რუს მოჭადრაკე მიხეილ ჩიგორინს შორის. იმპერიის რუსულ, შემდგომში საბჭოთა გამოცემებში ანდრიას აუგად მოიხსენიებდნენ, ცილს სწამებდნენ, რომ მოგებულ პარტიებს წინასწარ „თხზავდა“ და წაგებისათვის მეტოქეებს თანხას უხდიდა.

დ. გურგენიძემ დეტალურად შეისწავლა ისტორია და მოძიებული ფაქტებით დაადგინა, რომ პანოვისა და ლუზ-ხოტიმირსკის ცილისწამებლური სტატიები წინასწარ გამიზნულად მოფიქრებული იყო. „კაცმა ისეთი უნდა თქვას, შიგ ტყუილი არ ერიოს; უნდა ღმერთი მოიგონოს, კაცი რომ კაცს მოერიოს“.

ჩიგორინისაგან განსხვავებული აზრისაა მსოფლიოს პირველი ჩემპიონი ვილჰელმ სტიინიცი: „დადიანის თამაშში ჩვენ კვლავ ვხედავთ გაბედულ და მახვილ გენიას“.

ნიგნში მოყვანილია ანდრია დადიანის 338 პარტია და კომბინაცია. ისინი მოცემულია 45 სტატიაში, სადაც პარტიებთან ერთად ვეცნობით ანდრიას მეტოქეებსაც.

ანდრია დადიანის ნათესაურ კავშირებიდან ბევრი საინტერესო მასალა XIX საუკუნის საქართველოს და რუსეთის იმპერიის გამოჩენილ, გავლენიან პიროვნებებზე. აღსანიშნავია სტატიები: „ფესვები“, „ეკატერინე – პოეტების მუზა“, „საიმპერატორო კარის მინისტრი“, „მიურატები საჭადრაკო დაფასთან“, „რაზე წერდა „დროება“, „სიყვარულის სასახლე“, „სმირნოვების სახლის ისტორია“, „ჭადრაკი არისტოკრატთა ცხოვრებაში“, „ნათლია – იმპერატორის მემკვიდრე“, „ნიკოლოზ II-ის ფავორიტი“, „ცხოვრების ბოლო ეპიზოდები“.

საინტერესოა ვრცელი სტატია – „ანდრია ნიგნებსა და ჟურნალ-აგზეტებში“. ავტორმა თავი მოუყარა ანდრიაზე დაწერილ პუბლიკაციებს. რომლებიც ეკუთვნით იონა მეუნარგიას, სერგი ჭილაიას, ვახტანგ ჭელიძეს, ფუცუ დგებუაძე-ფულარიას, იპოლიტე გამსახურდიას, თენგიზ გიორგაძეს და სხვებს. ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ თენგიზ გიორგაძემ პირველმა დაიწყო ანდრია დადიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლა.

საქართველოში ჭადრაკის ისტორიისათვის ფას-

დაუდებელია ტურნირები, მატჩების შედეგები, ნათამაშევი პარტიები, რომლებიც მე-19 საუკუნის საქართველოში იმართებოდა. მათ შესახებ ინფორმაცია სტატიებში: „პროფესიული ჭადრაკის სათავეებთან“, „თბილისის საჭადრაკო მატჩები“ და „დადიანის თანამემამულეები“.

გულისხმიერებით შეუგროვებია ავტორს ის პარტიები, რომლებიც ანდრიამ თანამემამულეებთან ითამაშა. ათ პარტიაში მისი მეტოქე ვასილ მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის უფროსი ძმა ყოფილა. ხუთი პარტია შემორჩენილა ანდრიას ბიძასთან – გრიგოლ დადიანთან (კოლხიდელი) პაექრობიდან, მეფის გამბიტით გათამაშებულა პარტია მამია გურიელთან. აქვე ნახავთ ანდრიას პარტიებს სენაკის მაზრის უფროსთან – გიორგი ბებურიშვილთან, ეკატერინე ჭავჭავაძის მდივანთან – ირაკლი ლორთქიფანიძესთან, დადიანების სასახლის მოძღვართან, – თედორე ხომტარიასთან, ანდრია ერისთავთან და გიორგი წერეთელთან.

ნიგნში გაცნობით ანდრიას იმ თანამემამულეებს, რომლებიც სხვადასხვა სახით ჩართულები იყვნენ იმ დროის რუსეთის საჭადრაკო ცხოვრებაში.

ანდრია თამაშობდა ცნობილ მოჭადრაკეებთან: ს. როზენტალთან, ს. დიუბუასთან, ი. შუმოვთან, ი. კოლიშთან და სხვებთან, პარიზში, რომში, კიევში, თბილისში, პეტერბურგში, მონტე-კარლოში; ტურნირებში იკავებდა პირველ ადგილსაც, ზოგჯერ დაუმარცხებლადაც კი.

თანამშრომლობდა საჭადრაკო ჟურნალებში, აწესებდა პრიზებს ლამაზი პარტიებისათვის. ინგლისის საჭადრაკო ჟურნალმა – „ჩესმანთიმ“ 1892 წელს ერთი ნომერი ანდრიას შემოქმედებას მიუძღვნა. ე. შეფერსის წინასიტყვაობით კიევში ფრანგულ ენაზე გამოიცა (1903) ანდრიას 100 პარტიის დაბოლებები.

აუცილებელია დ. გურგენიძის ნაშრომი გამოიცეს რუსულ და ინგლისურ ენებზე, რითაც ქართველების გინებით „ველიკოდერჟავინჩესტოს“ სენით შეპყრობილ ადამიანებს ვაგრძნობინებთ, არ იყვნენ მართლები და, რომ „რუსეთის იმპერატორებს მეფე ერეკლეს შორსმჭვრეტელობა არ აღმოაჩნდათ: მათ უღალატეს საქართველოს – ამ ღალატით თავის თავს უფრო უღალატეს“ (გრიგოლ რობაქიძე).

ბატონი დავითი მადლობას ეუბნება მრავალ ადამიანს, ვინც რჩევა-დარიგებებს ან მასალებს აწვდიდა. მადლობას ეუბნება შვილებს: თათიას, ტატოს და თორნიკეს, მამის გვერდში დგომისათვის. ჩემი სახელით, უღრმეს მადლობას მოვასხენებ ბატონ დავით გურგენიძეს საქართველოს ისტორიისათვის ესოდენ საჭირო ნიგნის შექმნისათვის. ნიგნში წარმოჩნდა, რომ ერის ფესვებზე ნიჭიერი ადამიანები იდგნენ, რომლებიც გვაამაყებენ და კიდევ ბევრჯერ ვიამაყებთ მათით.

ინფორმაცია


ახალი პროფესიული ჟურნალი

საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ახალი ჟურნალი გამოაქვეყნა, რომელსაც „მარკერი“ ეწოდება. იგი არის კულტურულ-სამეცნიერო და სალიტერატურო პროფილის გამოცემა. სახელწოდების არსი გაშუქებულია რედაქტორის შენიშვნაში, რასაც მკითხველი თავისთავად გაეცნობა. რაკი მითითებული არ არის ჟურნალის პერიოდულობა, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ალბათ გამოქვეყნდება მასალის დაგროვების მიხედვით – არა კონკრეტულად განსაზღვრული პერიოდულობით. ჟურნალის რედაქტორია ირაკლი ხვედელიძე. სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობაში არიან: გიორგი კეკელიძე, ვოვა კიკილაშვილი, მირიან ხოსიტაშვილი, ემზარ ჯგერენაია. მართალია, ჟურნალი არ იძლევა მკვეთრად ჩამოყალიბებულ სამოქმედო პროგრამასა და მიმართულებებს, მაგრამ ამას ნაწილობრივ ემსახურება მთავარი რედაქტორის – ირაკლი ხვედელიძის შესავალი წერილი – ნამძღვარებული ჟურნალის ამ ნომერზე.

პირველ ნომერში გამოქვეყნებული მასალები დაჯგუფებულია რუბრიკების მიხედვით: „ეროვნული ბიბლიოთეკა როგორც კულტურული მემკვიდრის სივრცე“, „წიგნი და მკითხველი, გუტენბერგიდან კითხვის თანამედროვე სტრუქტურამდე“, „ბიბლიოთეკა XXI საუკუნეში“. გამოქვეყნებულია როგორც ქართული, ისე უცხოელი ავტორები სწამრომები.


ჟურნალი დიდი ფორმატისაა, შეიცავს 100 გვერდს, გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე, დართული აქვს შავ-თეთრი ილუსტრაციები.

მიუხედავად რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ხარვეზისა, რაც, ჩვეულებრივ, ხშირად ახლავს ხოლმე სანყისი პერიოდის გამოცემებს, საბიბლიოთეკო სამყაროში ამგვარი ჟურნალის გამოჩენა დიდ მოვლენას წარმოადგენს. იგი უდავოდ ხელს შეუწყობს ჩვენში მინავლებული საბიბლიოთეკო საქმის, წიგნის ისტორიის და ლექტოლოგიის (კითხვათმცოდნეობის) თეორიის გამოცოცხლებას, გააფართოებს პრობლემების კვლევის არიალს, ხელს შეუწყობს მეცნიერული აზროვნებისა და ინფორმაციის განვითარებას.



მარკერი

The Marker



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა
THE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული გამოცემა

საბიბლიოთეკო-ბიბლიოგრაფიული დარგის სპეციალისტებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ბიბლიოგრაფიული ნაშრომი გამოიცა: მიქაბერიძე მაია. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები: 1861-2012; ბიბლიოგრაფია. – თბ., 2013. – 351 გვ. [გარეკანზე: ბიბლიოგრაფია. 1891-2012]. წიგნის რედაქტორია ლ. თავთაქიშვილი.

მისასალმებელი ფაქტია, რომ საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შეძლო გაენახლებინა ანალოგიური გამოცემების შედგენის ტრადიცია. თვითონ ამ წიგნის ანალიზი გვიჩვენებს, რაოდენ დიდი საგამომცემლო მოღვაწეობა გაუწევია ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას. აქ თავმოყრილია ყველა ცალკეული გამოცემისა და სტატიის აღწერილობა ბიბლიოგრაფიული წესრიგით, რაც კი მინიშნებულ წლებში ეროვნულ ბიბლიოთეკას გამოუქვეყნებია დამოუკიდებლად თუ სხვა გამომცემლობებთან ურთიერთობით.

წიგნის დასაწყისი იხსნება ავტორ-შემადგენლის სტატიით – „შემდგენლისასგან“, რომელშიც ავტორი მოკლედ ეხება წინა პერიოდებში გამოცემულ ანალიტიკურ ბიბლიოგრაფიულ მაჩვენებლებს და იძლევა

მათ ზოგად დახასიათებას, აღწერს იმ პერიოდის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ვითარებას, რომელშიც ისინი იქმნებოდა. ამის შემდეგ ცალკე სტატიაში – „პერიოდული გამოცემები“ – მოკლედ მიმოიხილავს იმ პერიოდულ გამოცემებს, რომლებსაც ეროვნული ბიბლიოთეკა გამოსცემდა სხვადასხვა დროს. წიგნის ძირითადი ნაწილის საწყისში მოცემულია შემოკლებებისა და აბრევიატურების განმარტებები, ბოლოში წიგნს დართული აქვს საძიებლები: პერიოდიკა; დაწესებულებები, ორგანიზაციები; გეოგრაფიული; სპეცის წიგნების სათაურები; სპეც-ის პერიოდული გამოცემების სათაურები.

ძირითადი მასალა დალაგებულია თემატურად. ყოველ თემაში შესულია ჯერ წიგნების, შემდეგ პერიოდულ გამოცემები სსტატიების აღწერილობები. ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი დაყოფილია შემდეგ ნაწილებად: „კატალოგები, ბიბლიოგრაფიები. ცნობარები“; „წიგნები. სარეკომენდაციო საძიებლები. ეროვნული ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული სტატიები“; „პერიოდული და გრძელდებიანი გამოცემები“. დასახელებათა აღ-

ნერილობები შესრულებულია აღწერილობის თანამედროვე სტანდარტის მიხედვით. მასალის წყობა ზოგ შემთხვევაში არათანმიმდევრულია – ერთმანეთს ენაცვლება ანბანური და ქრონოლოგიური განლაგებები, რაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს. მაგრამ ეს, მაინცდამაინც, არ ამცირებს ნაშრომის ღირსებას. შეიმჩნევა აგრეთვე ბიბლიოგრაფირების მეთოდებიდან გადახრები და საგამომცემლო ტექნიკური სტანდარტების დარღვევებიც.

საერთოდ, ამოდენა მოცულობისა და სირთულის ნაშრომის ერთი ადამიანის მიერ შედგენა, უდავოდ მეტყველებს იმ ტიტანურ შრომაზე, რაც ავტორს – მაია მიქაბერიძეს გაუწევია. მიუხედავად ზოგი ხარვეზისა, მან შექმნა დიდებული ნაშრომი, რომელმაც თვალნათლივ დაგვანახა, რა დიდი შემოქმედებითი მიღწევები აქვს ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკას და საშუალება მოგვცა, ვეძიოთ ჩვენთვის საჭირო მასალა, სამუდამოდ დავაუნჯოთ ის შთამომავლობისათვის.

ქალბატონ მაიას მიღწევად მიგვაჩნია, რომ ის ყოველ აღწერილობას ურთავს დემიფრაციას ან მოკლე ანოტაციას, რომლებიც უმაღლეს დონეზე მაღალი პროფესიონალურადაა შესრულებული. ამგვარი დახასიათებები ნამდვილად სამაგალითოა, როგორც ქრესტომათიული ნიმუში.

დასახელებული ბიბლიოგრაფიული მაჩვენებელი – როგორც წიგნის, ისე ელექტრონული რესურსის სახით, საქართველოს ყველა ბიბლიოთეკისათვის ფრიად საჭირო წყაროს წარმოადგენს.

მაია მიქაბერიძე




საპარლამენტო პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის პარლამენტის

ბიბლიოგრაფია

1861-2012

დოკუმენტების სამტომეული



საქართველო სპარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილებამ 2013 წელს გამოსცა

სამ ტომისგან შემდგარი კრებული – საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები. სამტომეული ეძღვნება პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას. I ტომი (1990-1991); II ტ. – (1991); III ტ. – (1992-1993). შემდგენელია მზია ხოსიტაშვილი. რამდენადაც სამტომეულის ირგვლივ პირველსავე ტომში მოცემულია სრულყოფილი ანოტაცია, რომელიც ნათელ წარმოადგენას გვადღევს მის შესახებ, გადავწყვიტეთ, მკითხველებს მთლიანად შევთავაზოთ ის ყოველგვარი შემოკლების გარეშე:

„სერიის „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები და ინტერვიუები“ ტომებზე გამოცემა იგეგმება. მასზე მუშაობს პარლამენტის სამეცნიერო საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილება (განყოფილების უფროსი ლ. გველესიანი).


წინამდებარე სამტომეული მოიცავს ბექდურ მედიაში ზვიად გამსახურდიას ხელმოწერით გამოქვეყნებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, მიმართვებსა და ინტერვიუებს. პირველ ტომში შევიდა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეობის პერიოდის მასალები, მეორე ტომში – პრეზიდენტობის პერიოდი, ხოლო მესამე ტომი დაეთმო დევნილობის პერიოდის მიმართვებსა და ინტერვიუებს.

მასალები შეკრიბა, ბიბლიოგრაფიული აღწერილობა დაურთო და გამოსაცემად მოამზადა პარლამენტის სამეცნიერო საინფორმაციო უზრუნველყოფის განყოფილების უფროსმა სპეციალისტმა მზია ხოსიტაშვილმა.

„საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები და ინტერვიუები“ საზოგადოებისათვის ელექტრონულად ხელმისაწვდომია ეროვნული ბიბლიოთეკის ვებგვერდზე www.nplg.gov.ge.

პროექტის ავტორები სიამოვნებით გაიზიარებენ ყველა შენიშვნას და იმედოვნებენ, რომ საქართველოს უახლესი ისტორიის ამსახველი ეს გამოცემა მკითხველი საზოგადოების ყურადღებას დაიმსახურებს“.

ცნობისათვის: სამტომეულ კრებულს არ აქვს დართული შესაფერისი საძიებო აპარატი, რაც უდავოდ ართულებს მასში ძიებისა და კვლევის პროცესს. გეოგრაფიულ, პირთა და დანესებულებათა საძიებლების გარეშე, აგერთვე შენიშვნების უქონლობა, ერთგვარად, აღარბეზს ამ მეტად მნიშვნელოვან გამოცემას.



ქრონიკა

საქართველოს საბიბლიოთეკო ცხოვრების ქრონიკა: მოვლენები, ფაქტები

22 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა საზოგადოების შეხვედრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან ბატონ გ. ოდიშარიასთან შეხვედრაზე ასოციაციის პრეზიდენტმა ქალბატონმა რუსუდან ასათიანმა რამდენიმე შეკითხვით მიმართა მინისტრს. შეკითხვები შეეხებოდა ბიბლიოთეკების წინაშე არსებულ პრობლემებს; გადაწყდა, მოეწყოს სპეციალური შეხვედრა სამინისტროში საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემების ჩამოყალიბებისა და უახლოეს დროში მათი გადაჭრის ღონისძიების შესახებ.

24 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამომცემლობა „დიოგენე“ გამართა

პრესკონფერენცია პროექტ „2014 წიგნიერების წელის“ შესახებ. „დიოგენეს“ ინიციატივას ფართო გამოხმაურება ჰქონდა საზოგადოებაში. დაიბეჭდა ბუკლეტები, შეიქმნა სპეციალური პეტიცია, რომელზედაც ხელი მოაწერა 10, 000-ზე მეტმა მოქალაქემ.

24 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა კვლევის „წიგნების გამოცემა და წიგნებით ვაჭრობა საქართველოში“ შედეგების განხილვა. კვლევა ჩატარდა საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის მიერ.

29 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა მაია მიქაბერიძის მიერ შედგენილი ბიბლიოგრაფიული ნაშრომის „ საქართველოს



პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გამოცემები 1861–2012 წ. წ. წარდგენა.

29 იანვარს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა კონფერენცია ინტეგრირებულ საბიბლიოთეკო სისტემის საკითხებზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ სახელმწიფო და კერძო ბიბლიოთეკების, სასწავლო და კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლები.

31 იანვარს გაიმართა საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის გამგეობის სხდომა. განიხილეს: ასოციაციის 2014 წლის სამუშაოს გეგმა; ასოციაციის მუშაობის ძირითადი მიმართულებები, ჟურნალ „საქართველოს ბიბლიოთეკის“ გამოცემები, საჯარო ბიბლიოთეკების სერვისების განვითარება, ასოციაციის წევრების მოზიდვისა და აღრიცხვის სისტემის ჩამოყალიბების და სხვა. აქტუალური საკითხები. ამავე სხდომაზე გადაწყდა საბიბლიოთეკო დარგში არსებული პრობლემების შესახებ სპეციალური წერილებით მიმართონ საქართველოს პარლამენტის თავჯდომარესა და საქართველოს მუნიციპალიტეტების გამგებლებს.

4 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაიწყო თბილისის საქალაქო ბიბლიოთეკების გამგეთა ხუთდღიანი სემინარები. ბიბლიოთეკარები გაეცნენ ეროვნულ ბიბლიოთეკაში ელექტრონული რესურსებით მომსახურების ფორმებსა და საშუალებებს.

4 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა პროექტის წარდგენა: „ჩვენს ვკითხულობთ, ვსწავლობთ და ვასურათებთ „ვეფხისტყაოსანს“. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ბავშვებმა წარმოადგინეს ნახატები „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე, მათ მიერ შედგენილი ვებგვერდი.

6 თებერვალს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ზვიად გამსახურდიას ოფიციალური დოკუმენტების, მიმართვებისა და ინტერვიუების სამტომეულის წარდგენა, სამტომეული მომზადდა საქართველოს პარლამენტის სამეცნიერო-საინფორმაციო უზრუნველყოფის თანამშრომელთა მიერ. სამტომეული პირველი ნაშრომია სერიისა „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები: ოფიციალური დოკუმენტები, მიმართვები და ინტერვიუები“.

19 თებერვალს გაიმართა საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ჟურნალის „მარკერის“ წარდგენა. დამსწრე საზოგადოებას ჟურნალის დანიშნულებისა და სტრუქტურის შესახებ ესაუბრნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკის გენერალურმა დირექტორი გიორგი კეკელიძე და ჟურნალის რედაქტორი ირაკლი ხვედელიძე.

13 მარტს საქართველოს საზოგადოებამ რუსთაველის სახელობის თეატრში შეხვედრა მოეწყო გამოჩენილ თურქ მწერალს, ნობელის პრემიის ლაურეატს ორჰან დამუქს.

რევიუ

დავით გიგინეიშვილი

„მუსიკოსები ბრემენიდან“

ძმები გრიმების ზღაპრის გმირები „მუსიკოსები ბრემენიდან“ ბევრისთვისაა ცნობილია, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, როგორი მუსიკალური ცხოვრებით ცხოვრობს ბრემენი ამჟამად.

ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია საკონცერტო დარბაზს, რომელსაც „ზარის“ /Die Glocke/ ეწოდება. სიმბოლურია, რომ იგი ბრემენის ულამაზესი რატუშის მარჯვნივ მდებარეობს, ბრემენელი მუსიკოსებისადმი მიძღვნილი სახელგანთქმული სკულპტურა კი - მარცხნივ, რითაც არქიტექტორებმა, როგორც ჩანს, ერთგვარად დაიცვეს „მუსიკალური ბალანსი“ ქალაქის ცენტრში.

„ზარის“ შენობა რამდენიმეჯერ გადაკეთდა, თუმცა როგორც მუსიკალური დარბაზი, იგი მხოლოდ მე-XX საუკუნის დასაწყისიდან გახდა ცნობილი. შუა საუკუნეებში ეს შენობა ჯერ კათედრალური ტაძრის ნაწილი იყო, სადაც შეკრებები იმართებოდა. მოგვიანებით მის ადგილას აშენდა ოქტაგონური შენობა და მხატვართა ასოციაციას გადაეცა. 1915 წლის ხანძარმა ძირფესვიანად შეცვალა შენობის დანიშნულება და მხოლოდ 1928 წლიდან მოქმედებს, როგორც მუსიკალური დარბაზი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მან დაიბრუნა ქალაქის მუსიკალური ცენტრის სტატუსი, მაგრამ დიდი საერთაშორისო რეპუტაცია მას 1997 წლის რენოვაციამ მოუტანა, რომლის შედეგად ხელუხლებლად

დარჩა დარბაზის აკუსტიკური თვისებები, მაგრამ „არტ დეკო“-ს სტილში განახლდა შენობის ფასადი, კორიდორები და შიდა დარბაზები. მუსიკალური სამყაროს სხვადასხვა ავტორიტეტების მიერ დარბაზი ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკალურ შენობად იქნა აღიარებული აკუსტიკური ფედერაციისა და არქიტექტურის გამო. ამჟამად ფუნქციონირებს ორი დარბაზი: ძირითადი დიდი დარბაზი, რომელიც სტუმრობს 1400-დე მსმენელს და მის გვერდზე მყოფი პატარა დარბაზი, სადაც 400-მდე ადამიანი ეტევა. ყოველწლიურად დარბაზებში 300-მდე



სალამო იმართება, რომელშიც, კლასიკური მუსიკის გარდა, უღერს კაბარე, ჯაზი, ხალხური მუსიკა, იდგმება მიუზიკლები.

უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საკონცერტო დარბაზს საოპერო სცენის თითქმის ყველა დიდი ვოკალისტი სტუმრობდა. ჩამოვთვლით მხოლოდ რამდენიმეს: ჩეჩილია ბარტოლი, სიმონე კერმესი, ფილიპ ჟარუსკი, როლანდო ვილიასონი და ჯოის დი დონატო. დარბაზს არც ცალკეული ინსტრუმენტალისტები აკლდებოდნენ (საბინა მეიერი, მარტა არგერიზი, ანა-სოფი ფონ მუტერი და ა.შ.).

ამჟამად, ბაროკოს ეპოქის მუსიკისადმი მომეტებული ინტერესის გამო, ბრემენი მასპინძლობს სახელგანთქმულ ანსამბლებს და შემსრულებლებს. ასევე პოპულარულია იგი ფესტივალის პერიოდში (უსიკფესტ რემენ), რომელიც ყოველწლიურად ტარდება აგვისტო-სექტემბრის თვეში. ამ დროს ქალაქში ჩამოდიან დიდი კოლექტივები და დირიჟორები, რომლებიც ოპერების სრულად დადგმასაც არ არიდებენ თავს.

ამა წლის თებერვლის თვეში, ბაროკო მუსიკის აღიარებული ავტორი იტალიელი დირიჟორი ალესანდრო დე მარკი (ლესანდრო დე არცვი) აძლევდა ორ კონცერტს ბრემენის სახელგანთქმულ დარბაზში. საინტერესო იყო ის ფაქტი, რომ მას ბრემენის ფილარმონიის ორკესტრისათვის უნდა ეხელმძღვანელა და არა მისი ტრადიციული ანსამბლისათვის „ცადემია ონტის ლეგალის“. უცნაური იყო აგრეთვე ის ორდღიანი პროგრამა, რომელიც 'წმინდა ვენეციურ ბაროკოს' ეძღვნებოდა. პირველ დღეს იგემებოდა მხოლოდ კამერული კონცერტი, სადაც ბაროკოს მარგალიტები აჟღერდებოდნენ (ალბინონი, გალუპი, ვივალდი), მათ შორის კონცერტი მანდოლინასათვის ლV93 და კონცერტი 4 ვიოლინოსათვის ლV580, და მარჩელოს ჰობოს რე-მინორული კონცერტი.

მეორე დღეს უნდა შესრულებულიყო ვოკალური ნაწარმოებები, რომელსაც ამერიკელი სოპრანო რობინ იოჰანსენი (ლობინ ჟოჰანსენ) შეასრულებდა. ამ მომღერალს ჩანანერებიდან ვიცნობდი, კერძოდ, ალესანდრო სკარლატის ორატორიიდან „ავიდის პუგნა ეტ ვიცტორია“ („დავითის ბრძოლა და გამარჯვება“ ფირმა ყპერიონ-ზე) ზემოთ ხსენებული ალესანდრო დე მარკის ხელმძღვანელობით. ვოკალური კონცერტი საინტერესო მომეჩვენა და ბრემენის ფილარმონიის პრეს-ოფისის გულითადი დახმარების შედეგად, ამ კონცერტს დავესწარი კიდევც.

როგორც უკანასკნელ დროს დამკვიდრდა, კონცერტში, ვოკალურ ნაწილებში კამერულიც იყო ჩართული. დე მარკი საშუალო სიმაღლის ხმელი და არტისტული პიროვნება აღმოჩნდა. კონცერტის დაწყებამდე, სცენაზე ორი კლავესინი ისე იყო მიდგმული, ერთის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელსაც ორი კლავიატურა ჰქონდა. დე მარკი მარცხნივ დაჯდა, მარჯვნივ - სხვა შემსრულებელი. ორკესტრი ოდნავ არატრადიციულად განლაგდა - მევიოლინეები მთელი რიგის გასწვრივ, სხვა შემსრულებლები (ვიოლა, ჩელო, კონტრაბასი და სასულე და მანდოლინა) მარჯვნივ, ზოგი მარცხნივ განლაგდნენ, როგორც მევიოლინეების წინ, ასევე უკან.

ვოკალური ნაწილი დაიწყო ვივალდის ოპერა 'რლანდო ფინტო პაზო' -დან ნაწყვეტით. არია „ა სპერანზა ვერდეგაიანდო“ ვენეციელი კომპოზიტორის სტილისტური სწრაფი არია აღმოჩნდა. სოპრანოს ლამაზი კამერული ხმა ჰქონდა, იგი ლაღად მღეროდა - მას არ ეშინოდა არც თავბრუსდამხვევი ტრელებსა და არც სწრაფი ტემპის. თავისი მანერითა და ტემპრით რობერტა ინვერნიცის

მოგაგონებდათ. მერვე რიგის შუა ადგილიდან სცენა კარგად ჩანდა და ორკესტრი და ხმა იდეალურად იყო დაბალანსებული. არც ერთი მუსიკალური ფრაზა არ იკარგებოდა და იოჰანსენის ხმა არცთუ ისე პატარა დარბაზს კარგად ავსებდა. ორკესტრი არც ერთ პასაჟში არ სჯაბნიდა მომღერლის ხმას. ტექნიკა და სიმღერის მანერა უნდაუდებელი იყო, ხმა - სუფთა, ტემბრალური შეფერილობის გარეშე. მომღერალი სცენაზე თავდაჭერილი და ნაკლებად ექსპრესიული იყო. მაგრამ გამირის განცდები მაინც კარგად აისახებოდა მის შესრულებაში.

პირველ არიას მოჰყვა ბენედეტო მარჩელოს პატარა ვოკალური შედევრი - არია „ცომე მაი პუოი ვედერმი პინანგერე“ ოპერა 'რიანა' -დან. მასში სევდიანი მელოდია, რომელსაც გადმოსცემენ სიმებიანი ინსტრუმენტები, მსმენელის გულის სიღრმემდე აღწევს თავისი უცნაური და არატრადიციული მელოდიური ინტონაციით, ამას ერთვის ვოკალური ხაზი და ტექსტის გაცნობის გარეშეც მსმენელს ადვილად წარმოუდგება დამწერებელი არიანა, რომელიც ტესემ დატოვა, მიუხედავად იმ დიდი სიყვარულისა და დახმარებისა, რომელიც არიანამ მას გაუწია მინორატორის დამარცხებისათვის. ამ არიის მოსმენა შეიძლება მხოლოდ პატრისია პეტრონის მიერ ჩანერილ დისკზე კონცერტ 'როსსო' -ს ბაროკო არიებს შორის.

ბრემენის ფილარმონიის ორკესტრი ბაროკო მუსიკაში ისეთი გამოცდილი არ არის, როგორც იტალიური, ძველებური მუსიკის ორკესტრები, ამიტომაც საინტერესო იყო, ეს გამოწვევა როგორ მიიღო ბრემენის კოლექტივმა. ვივალდის სავიოლინო კონცერტი რე552 დე მარკიმ ძალზე ორიგინალურად გადაწყვიტა. პირველი ვიოლინოს მიერ (რეინჰოლდ ჰეისე) გადმოცემული მუსიკალური თემის ექვთი გამეორების შემსრულებლები - სამი მევიოლინე ქალბატონი, დე მარკიმ სცენის მარჯვენა ზედა კუთხეში განალაგა - იქ, საიდანაც შემსრულებლები ჩამოდიოდნენ სცენაზე. აკუსტიკურად ტრიომ არაფერი წააგო, დამატებით კიდევ მსმენელმა ზუსტად იცოდა, როდის სრულდებოდა მელოდიური ხაზი პირველი ვიოლინოს მიერ და როდის მისი 'ანარეკლის' მიერ. ტემპი გაცილებით ნელი იყო, ვიდრე საკუთრივ იტალიელი ვირტუოზები სთავაზობენ ხოლმე მსმენელს, მაგრამ შემსრულებლები, პირველ რიგში სიმებიან ინსტრუმენტებზე, ლეგატოს ბოლოში იდნავი წყვეტითა და ოსცილაციით ასრულებდნენ, რაც უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებდა და მთელ შესრულებას აუთენტობის ნიშანს ანიჭებდა. მთელი საღამოს მანძილზე ეს ხერხი არაერთხელ გამეორდა, რაც დე მარკის შესრულების მანერას ასახავდა. ასეთივე მანერა მან თავისი პირველ დიდ ჩანანერშიც გამოავლინა (ვივალდის ორატორია 'იუდიტი ტრიუმფატორი' ფირმა აავე-ზე).

მერე შესრულდა ორი არია ვივალდის ოპერა „ავჯანეტ/ბაიაზეტი“ -დან. დრამატულ არიას „სოსოა სონ დისპრეზუატა“ -ს პირველ ნაწილს აკლდა შესატყვისი დამაბულობა და პერსონაჟის განცდებში ჩანდომბა, მაგრამ იოჰანსენმა მეორე ნაწილში მოახერხა გამირის განცდებისა და მისი ტრაგიზმის სიღრმის გადმოცემა. მეორე არია შესრულდა არნახული სისწრაფით - ახალგაზრდა მომღერალი იმდენად შეუკავებელი იყო, რომ უსწრებდა ორკესტრის აკომპანიმენტს.

აღსანიშნავია ვივალდის 'ნელინადის დრონის' ('ზაფხულის') შესრულებისას ამ ნომრისათვის დირიჟორის მიერ გამოყოფილი პირველი ვიოლინოს (ოლეგ დულიბას) კურსიოზები - ჯერ იყო და მას დაავიანა და თავის ადგილს მევიოლინეებს შორის ეძებდა, მერე იყო და გაახსენდა რომ წინ უნდა გამოვიდეს. ის, რომ იგი დარბაისელი,

(უმეტესად ასაკოვანი) ტრადიციული, გერმანელი მსმენელის ყურადღების ქვეშ მოექცა, მას დიდ უხერხულობაში აგდებდა და იგი ამას არ მალავდა.

შესრულებისას შეცდომები არ იყო და დე მარკი არ მოერიდა მძლავრი ფორტისიმოებს სიმებიანებით (ისინი დიდი სიზუსტით შესრულდა). პირველი ვიოლინოს საქციელი მაყურებლის ყურადღების მიღმა არ დარჩა – მსმენელი გაახალისა და იგი უფრო დიდი ოვაციებით შეხვდა დირიჟორის ამ მიღწევას ბრემენის ფილარმონიურ ორკესტრთან.

კონცერტის მიწურულს შესრულდა ჯერ პორპორას „შემირამიდე რიცონოსციუტა/სემირამიდიდან“ ჰაეროვანი არია, რომელსაც იოჰანსენი იოლად და ჩინებულად გაუმკლავდა. ბოლოს შესრულდა ურთულესი არია ვივალდის „ლიმპიადე/ოლიმპიადიდან“ – „სიამ ნავი ალლ'ონდე ალგენტი“. ეს არია, რომელიც პირველად დიდი აუდიტორიისათვის ცნობადი ჩეჩილია ბარტოლიმ გახადა და მერე უკვე სიმონე კერმესმა ჩანერა თავის სოლო დისკში, სავარაუდოდ ვივალდის შედეგების სიაში შედის. უმძიმესი რულადები და ფიორიტურები, რომელიც მასში გამოყენებულია, მოითხოვს მომღერლისაგან უზადო (ვიტყოდი სუპერ კლასის) ტექნიკასა და არტისტიზმს.

და ეს ყველაფერი ერთი ამოსუნთქვით, ქარიშხალივით სრულდება. არც აქ დაიბნა ახალგაზრდა მომღერალი და შესაშური ტემპი აიღო და აქაც ორკესტრი ეწეოდა მას. მაგრამ მაინც ძნელია იგი ბრწყინვალე ჩეჩილია ბარტოლის შეადარო (ვივალდის სოლო დისკი ჩჩ–ზე და ასევე ვიდეო ჩანანერი), რომელსაც მეტი არტისტიზმი და ტექნიკა გააჩნია.

ცოცხალი შესრულებისათვის იმ საღამოს აუღერებულ ვარიანტი ნამდვილად გულგრილს არავის დატოვებდა ნკრიალა, მძლავრი და მოქნილი ხმის მოსმენით. ოვაციები ხანგრძლივი იყო, ამიტომაც შემსრულებელმა ბისზე მომზადებული არია – ისევ ოპერა 'ოლიმპიადიდან' უკვე შედარებით მშვიდად დაასრულა თანდართული სიმებიანი აქცენტებით.

ვფიქრობ, რომ საღამო, როგორც ჩემთვის, ასევე მსმელელთათვის მოულოდნელად სასიამოვნო აღმოჩნდა – ვოკალისტი თავის საუკეთესო ფორმაში, იშვიათი და ძნელად შესასრულებელი ბაროკო არიები, მანსტრო დე მარკი, ერთგვარად სახეცვლილი ბრემენის ფილარმონიის ორკესტრი, მშვენიერი აკუსტიკა და მადლიერი მსმენელი – განა ეს სრულებით საკმარისი არაა საუკეთესო კონცერტისათვის?

რევიუ

ნ ე კ რ ო ლ ო ბ ი

ნაზი ელიავა

ცოტა ხნის წინათ სენაკის საბიბლიოთეკო სისტემას გამოაკლდა თავის საქმეზე უზომოდ შეყვარებული, ნამდვილი პროფესიონალი – ნაზი ელიავა. დაიბადა სენაკის რაიონის სოფელ ეკში 1948 წელს. ოჯახური პირობების გამო ვერ შეძლო უმაღლესი განათლების მიღება; მიუხედავად ამისა, იმდენად მონდომებული, ნიჭიერი და შრომისყვარე იყო, რომ ტოლს არ უდებდა უმაღლესი განათლების მქონე პირებს. მიუხედავად უკანასკნელ დროს შერყეული ჯანმრთელობისა, მას ბოლო დღემდე არ დაუკლია მზრუნველი ხელი ბიბლიოთეკისა და მკითხველისათვის. მან წიგნის პოპულარიზაციის მიზნით, ახლოს შემოიკრიბა სოფლის ახალგაზრდობა, რამაც განაპირობა ბიბლიოთეკისა და მისი, როგორც პროფესიონალი ბიბლიოთეკარის, პოპულარობა სოფლის მოსახლეობაში. მისი ბიბლიოთეკის ხშირი სტუმრები იყვნენ სოფლად ჩამოსული მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები. ნაზი ელიავამ სოფლის დიდ მუზეუმისათვის შეკრიბა ძვირფასი მასალები, მოიძია სოფლის სკოლის შესახებ საარქივო ჩანაწერები, იქ მომუშავე პედაგოგების ბიოგრაფიული ცნობები. ნაზი ელიავა ბიბლიოთეკაში მუშაობას ღირსეულად უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას: ასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, სკოლაშივე მოაწყო ქართული ენისა და ლიტერატურის კაბინეტი. ბოლო ხანს მოძალებულ სენს შებრძოლებული, არ გატეხილა სულიერად, უჭირდა სიცოცხლესთან განშორება: იგი ვალმობილი წავიდა ჩვენგან – დამაშვრალი, ფრიად მოსიყვარულე საკუთარი კუთხისა და ერისა. ბრძენს უთქვამს: უნდა დაინვა, რომ გაანათო, ქალბატონი ნაზი სწორედ ამგვარად იწოდა საქმისათვის, მთელი გულით აკეთებდა ყველაფერს, თავდადებითა და სიყვარულით, ამიტომაც გაიყოლა მან ხალხის თანაგრძნობა და სიყვარული.

სენაკის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო
გაერთიანება, ყურნალ „საქართველოს
ბიბლიოთეკის“ რედაქცია

„მკითხველთა კონკურსი 2014“

„ეროვნული ბიბლიოთეკის მიზანია, სხვადასხვა აქტივობებით ხელი შევუწყოთ წიგნიერების დონის ამაღლებას ჩვენს ქვეყანაში. ამ მიზნის მისაღწევად ეროვნული ბიბლიოთეკა ბევრ ღონისძიებასა და აქტივობას ახორციელებს. ეს კონკურსიც ერთ-ერთი მიმართულებაა“.

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი ბიორგი კაკალიძე.

„ეს კონკურსი არის მკითხველთან ურთიერთობის კიდევ ერთი გზა. ჩვენთვის ყველა მონაწილე ძალზედ მნიშვნელოვანია“.

ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი.



ბიბლიოთეკების საყურადღებოდ

მიმდინარე წელს ბიბლიოთეკების კვირეული გაიმართება – 28 აპრილიდან 6 მაისამდე.

კვირეული გაიხსნება 28 აპრილს თბილისის მთავარ საქალაქო ბიბლიოთეკაში, დახურვა შედგება 6 მაისს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. კვირეული ტარდება დევიზით: „ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა“

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა ატარებს ორდღიან სემინარებს თემაზე: „ელექტრონული რესურსებით მომსახურების ფორმები და საშუალებები საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში“.

დაინტერესებულ ბიბლიოთეკებს ვთხოვთ დაგვიკავშირდნენ ბიბლიოთეკათმცოდნეობისა და სტანდარტების განყოფილებაში.

ტელ: 297 16 83; 599 93 69 52





14 აპრილი – ფეფაენის ღღე

